საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 თებერვალი **ორშაბათი** 2012
№029 (13635) ფასი 80 თეთრი

# ნიკოლოზ გელაშვილის კმაყოფილება


ნიკოლოზ გელაშვილმა (მარცხნივ) რიხიანად დაიწყო

**როსტოკის „ჰანზასთან" 67-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ნიკოლოზ გელაშვილმა, რამდენიმე წუთში გოლი გაიტანა და გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა. ქართველის გარჯა „შპორტალმა" 2,5 ბალით შეაფასა, რაც დებიუტისთვის ურიგო ნამდვილად არ არის.**

**„ლელო" ნიკოლოზ გელაშვილს გერმანიაში დაუკავშირდა.**

**- გერმანულ მედიაში შენ და "ბოხუმის" მეკარემ ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურეთ, თავად კმაყოფილი ხარ საკუთარი თამაშით?**

- კმაყოფილი ვარ, მით უფრო, რომ თვე და 10 დღე არ მითამაშია. როგორც იცით, ბოლო მატჩი „მეტალურგთან" მქონდა, მერე მხოლოდ ინდივიდუალურად ვემზადებოდი, ახალ გუნდთანაც სულ ოთხჯერ ვივარჯიშე, ამიტომ 25 წუთიც კი ჩემთვის დიდი ნდობა იყო. არ მეგონა, მწვრთნელი ამდენ დროს თუ მომცემდა სათამაშოდ.

მედიის შეფასებას რაც შეეხება, ეს ალბათ, იმით არის განპირობებული, რომ შეცვლაზე შემოსულმა გუნდს გამარჯვება მოვუტანე. ხარვეზები მქონდა, მაგრამ კარგია, გოლი რომ გავიტანე. ინფორმაცია იმაზე, 2007 წლის შემდეგ „ბოხუმს" „ჰანზა" რომ არ დაუმარცხებია, მხოლოდ თამაშის შემდეგ გავიგე.

**- მწვრთნელმა რა გითხრა?**

- მწვრთნელი არ მინახავს, ვინაიდან, სანამ მე გერმანულ მედიას ინტერვიუს ვაძლევდი, ის პრესკონფერენციაზე წავიდა. გუნდელები კი მილოცავდნენ სადებიუტო გოლს და საერთოდაც, მინდა ალვნიშნო, რომ კოლექტივიც ძალიან კარგია და ცალკეული ფეხბურთელებიც. თამაშის წინა დღეს მითხრა ანდრეას ბერგმანმა, რომ მათამაშებდა, თუმცა, დიდი ხნის უთამაშებელი ვიყავი და არ ველოდებოდი ამას, - ცოტა დავილალე კიდეც.

**- ქართველმა ფეხბურთელებმა თუ მოგილოცეს წარმატებული დებიუტი?**

- საქართველოდან ზურაბ იონანიძემ და თემურ ლონლაძემ მომილოცეს, აქ კი ალექსანდრე იაშვილმა დამირეკა და სწორედ მასთან ერთად ვაპირებ გოლის ალნიშვნას. დილით, 10 საათზე ვარჯიში მაქვს, შემდეგ კი კარლსრუეში მივდივარ.

**მაგდა კლდიაშვილი**


გიორგი ნემსაძე

# დინამოს სპორტული დირექტორი მოსამზადებელი ციკლით უკმაყოფილოა


2
ესპანეთიდან თბილისში დაბრუნებულმა დინამომ გუშინ პირველად ივარჯიშა

## ევროპული ფეხბურთი

### პრემიერლიგა

**სუპერმატჩი სტემფორდ ბრიჯზე, არსენალის ზეიმი, სიტის ლიდერობა**


4-10
ჩელსი-მანჩესტერი 3:3

### ბუნდესლიგა

**ბაიერნმა ჰამბურგში წაიფორხილა და პირველობა დორტმუნდს გადაულოცა**

### სერია A

**ლიდერთა შავი დღე და ინტერის უკუნი**

### ლა ლიგა

**ფავორიტებმა მოიგეს, ვითარება უცვლელია**

## ქართველ ფალავანთა უქმეები

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

### ოქრო-ვერცხლი ბულგარეთიდან

სოფიაში ვლადიმერ გეგეშიძე პირველი იყო, ქემალ ხარაბაძე - მეორე

იხ. ხვალინდელ ნომერში

ძიუდო

### ბრინჯაო პარიზიდან

ამირან პაპინაშვილი
დიდ მუზარადზე მესამე იყო

10

ლელო

**მიმდინარეობს გამოკითხვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად**

16

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო



# გიორგი ნემსაძე ამ ეტაპზე დინამო მხოლოდ სახელებით გაძლიერდა



## მოსამზადებელი პერიოდი ჯეროვნად არ იქნა გამოყენებული

**სამშობლოში დაბრუნებულმა "დინამომ" გუშინდელი დღიდან მზადება დიღმის საწვრთნელ ბაზაზე განაგრძო. ახლა კი გთავაზობთ "დინამოს" სპორტული დირექტორის, გიორგი ნემსაძის მიერ ესპანური შეკრების შეფასებას, რომელიც კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ნემსაძე ესპანურ შეკრებაზე "დინამოს" დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ და იქაურ პერიპეტიებს იხსენებს.**

**გიორგი ნემსაძე**: შეკრებაზე საუბრისას თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მზადების პროცესი ორ ნაწილად იყო დაყოფილი, გუნდმა პირველი 10 დღე ბარსელონაში, დანარჩენი პერიოდი კი მარბელასთან ახლოს მდებარე ესტეპონაში გაატარა. მოსამზადებელ ეტაპზე თბილისიდან 26 ფეხბურთელი წავიდა. სანდრო გურული და ანდრეუ გერაუ გუნდს ესპანეთში შეუერთდნენ. შეკრებაზე თბილისიდანვე ტრავმირებულნი გაემგზავრნენ გიორგი რეხვიაშვილი, ლაშა პარუნაშვილი და ლევან კაკუბავა, რომელსაც ფეხი ჰქონდა მოტეხილი და სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა.

ყველა მწვრთნელს საკუთარი შეხედულება გააჩნია. თუმცა, ჩემი აზრით, მოსამზადებელი პერიოდი არასწორად იყო დაგეგმილი,რის გამოც თომაშვილი, ხმალაძე, ძარია, ხოჭოლავა და ანდრეუ დაშავდნენ. მათ კუნთოვანი ქსოვილის სხვადასხვა ტიპის დაზიანებები აქვთ. არასწორად დაგეგმილი ვარჯიშების შედეგად მოსამზადებელი ეტაპი ათ ფეხბურთელს ფაქტობრივად ჩაუვარდა. შედეგად, თბილისში დღევანდელ ვარჯიშზე სრული დატვირთვით მხოლოდ 14-მა ფეხბურთელმა ივარჯიშა, აქედან სამი მეკარეა.

რაც შეეხება ახალწვეულებს, ფაქტობრივად შეკრებამდე იყო გადაწყვეტილი ესპანელი ანდრეუს დამატების საკითხი. მან პირველ ორ თამაშში ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა მოგვიანებით ისიც ლაზარეთში აღმოჩნდა. ბარსელონაში უნდა გარკვეულიყო სანდრო გურულის საკითხი, მაგრამ მწვრთნელმა საბოლოო გადაწყვეტილება მის შესახებ ვერ მიიღო.

იანვარში კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ. გიორგი მერებაშვილი „დინამოს" ოჯახის წევრია და ჩვენი გუნდის მაისურით არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი აქვს ჩატარებული, გულშემატკივარი მას ძალიან კარგად იცნობს და ზედმეტი წარდგენა არ სჭირდება. ირაკლი ძარია კი ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ თავის ყოფილ გუნდში და საერთოდ საქართველოს ჩემპიონატში. გუნდს შეუერთდა კოკა სეფიაშვილიც, რომლის კარგი თამაში გვინახავს და მისი დამატების საკითხზე დიდხანს არ გვიფიქრია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ჩვენს გუნდში სამი მაღალი კლასის მეკარე ირიცხება და დიდი კონკურენციაა. "დინამოს "მაისურით ითამაშებს გოგიტა გოგუაც. მას ქართულ ფეხბურთში საკუთარი სიტყვა ნათქვამი აქვს და იგი დიდი ძალა იქნება ჩვენი გუნდისთვის.

ამ ეტაპზე "დინამო" მხოლოდ სახელებითა და გვარებით გაძლიერდა, ვინაიდან მოსამზადებელი პერიოდი, სამწუხაროდ, ჯეროვნად არ იქნა გამოყენებული.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ "დინამომ" სხვადასხვა გუნდში იჯარის წესით ახალგაზრდა ფეხბურთელები, გიორგი თექთურმანიძე და ირაკლი ლექვთაძე გაანათხოვრა. ჩვენ მომავალში მათი იმედი გვაქვს. მათ ამ ეტაპზე სისტემატიური თამაში და სათამაშო პრაქტიკა ესაჭიროებათ. ასევე იჯარის წესით სეზონის ბოლომდე გორის "დილაში" ითამაშებს გიორგი კახელიშვილიც. მათ მსგავსად ჩვენი დუბლშემადგენლობის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი (ნადირაძე, გველესიანი, ჩაფიძე, გაბაშვილი) იჯარის წესით უმაღლესი ლიგის სხვადასხვა კლუბში გამოვლენ. ისინი უკვე მომწიფებულნი არიან უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ. მათზე იყო მოთხოვნა და საბოლოოდ ჩვენ მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ახალგაზრდებს ჰქონდეთ უმაღლეს ლიგაში თამაშის შესაძლებლობა და საჭირო გამოცდილების მიღების შემდეგ დაუბრუნდნენ თავიანთ გუნდს. თუ ჩვენ ვერ ვხედავთ რომელიმე ფეხბურთელში პერსპექტივას, ასეთი მოთამაშეები უბრალოდ ტოვებენ გუნდს.

მოგეხსენებათ, ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გუნდის სათავეში მთავარი მწვრთნელის პოსტზე გიორგი დევდარიანი იმუშავებს, რომელიც თავისი სამწვრთნელო კარიერის ყველა ეტაპზე, იქნებოდა ეს ბავშვთა ფეხბურთი, სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდები, საფეხბურთო კლუბი "თბილისი" თუ "დინამოს" დუბლშემადგენლობა, ყველგან წარმატებით საქმიანობდა. იგი "დინამოს" ოჯახის წევრია. მას მშვენივრადა აქვს გააზრებული, რა უნდა შეცვალოს მოედანზე და მოედნის მიღმა დროის მოკლე პერიოდში. გიორგიმ ძალიან კარგად იცის, რომ ის დიდი ნდობა, რომელიც მას გუნდის ხელმძღვანელობამ გამოუცხადა, უნდა გამართლდეს. ვიმედოვნებ, რომ ეს დიდი გამოწვევა, რომელიც ალბათ გარდამტეხია მისი სამწვრთნელო კარიერაში, წარმატებული გამოდგება.

www.fcdinamo.ge

ფოტოები: www.fcdinamo.ge

სამზადისი

ზესტაფონი

# ესპანეთში შედეგის [illegible]

**"მარბელას თასის"** მეოთხედფინალში "რუბინთან" განცდილი 1:5-ის შემდეგ "ზესტაფონი" ტურნირის მე-5 ადგილისთვის ბრძოლას განაგრძობს და დღეს რუმინულ "ტიმიშოარას" დაუპირისპირდება.

ორიოდე სიტყვა დღევანდელი მეტოქის შესახებ: "ტიმიშოარა" 1921 წელს დაარსდა, მაგრამ გამოსარჩევ წარმატებებს XXI საუკუნეში მიაღწია – 2009 და 2011 წლებში რუმინეთის ვიცე-ჩემპიონი გახდა. თუმცა გასულ ზაფხულს კლუბს მძიმე ისტორია გადახდა და ფინანსური მაქინაციების გამო რანგით მეორე ლიგაში დააქვეითეს. დღეისთვის "ტიმიშოარა" იქ მეორე ადგილზეა და ელიტაში დაბრუნების ჩინებული შანსი აქვს. ჩვენთვის ნაცნობი ფეხბურთელები იქ არ თამაშობენ და ამიტომ მათი ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ.

რაც შეეხება "მარბელას თასის" მეოთხედფინალს, "ტიმიშოარა" იქ პოლონურ "ლეხთან" 0:5 განადგურდა, არადა, პირველი გოლი 56-ე წუთზე მიიღო.

"ზესტაფონის" ბანაკში კი განსაკუთრებული სიახლეები არ არის. სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონთა კარს დღეს ძირითადი მეკარე როინ კვასხვაძე დაუბრუნდება, რომელსაც ხელი აწუხებდა. მიკროტრავმა მოიშუშა გიორგი ხიდეშელმა, ზურაბ მენთეშაშვილისა და გოგა ბერაიას თამაში კი საეჭვოა.

**განვლილი მატჩებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებსა და მოახლოებული შეხვედრების შესახებ "ზესტაფონის" 27 წლის მცველ ზაალ ელიავას ვესაუბრეთ. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ იგი იმერელთა ღირსებას წლებია, იცავს და მთელი ამ დროის განმავლობაში დაცვის მარცხენა ფლანგზე ფეხი მყარად აქვს მოკიდებული.**

**- რა იყო ესპანეთში ჩატარებულ საწყის ორ მატჩში განცდილი მარცხის მთავარი მიზეზები?**

- "დნიპროსთან" გადახალისებული შემადგენლობით ვითამაშეთ, თორემ ამხელა ანგარიშით ნამდვილად არ წავაგებდით. ანგარიში არც ჩვენსა და "რუბინს" შორის ძალთა თანაფარდობას ასახავს. ამ შეხვედრაში "ზესტაფონმა" მხოლოდ ოთხი შეცვლა გამოიყენა, მაშინ როცა "რუბინმა" მეორე ტაიმში სხვა გუნდი გამოიყვანა. ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციებამდე ჯერ არ მივსულვართ და ეს წაგება, უპირველესად, სწორედ გადაღლილობამ განაპირობა. ვინც პირველი ტაიმი ნახა, დამეთანხმება, რომ მეტოქეს ტოლი არაფერში დავუდეთ. საგანგაშო არაფერია, შეკრება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და საქართველოში კარგად მომზადებულები დავბრუნდებით.

**- წინ კიდევ ორი მატჩი გელოდებათ.**

- ყველანაირად ვეცდებით, რომ ესპანეთში მეტი თამაში აღარ წავაგოთ. დღითიდღე ვუმატებთ და იმის მიუხედავად, რომ ხელწამოსაკრავი მეტოქეები არც დარჩენილ ორ შეხვედრაში გვეყოლება, მაქსიმალურად ვეცდებით, ჩვენი ქომაგები გამარჯვებითა და ხარისხიანი ფეხბურთით გავახაროთ.

**- როგორ შეაფასა "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბმა განვლილი მატჩები და რა დავალებები მოგცათ დარჩენილი თამაშებისთვის?**

- თეორიაზე ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი დეტალურად ირჩევა, მთავარი, რაც გვჭირდება, უფრო მეტად დისციპლინირებული თამაშია და უახლოეს პერიოდში ამას აუცილებლად მივაღწევთ.

**- "ზესტაფონი" სეზონის განახლებას ოპტიმალურ ფორმაში მყოფი შეხვდება თუ საამისოდ გარკვეული დრო ამის შემდეგაც დასჭირდება?**



ზაალ ელიავა

- ვფიქრობ, ესპანური შეკრების ბოლოსთვის ყველაფერი რიგზე გვექნება და ჩემპიონატის განახლებას საუკეთესო კონდიციებით შევხვდებით. ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს არ აქვს იმის უფლება, რომ ოფიციალურ მატჩებში თავისი საუკეთესო თვისებები ვერ გამოავლინოს.

**- საკუთარ ფორმას როგორ შეაფასებ?**

- "ზესტაფონში" ყველა ფეხბურთელი პროგრესირებს და გამონაკლისი არც მე გახლავართ. საკუთარი თავით ბოლომდე კმაყოფილი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი ვარ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# გელაშვილის ბრწყინვალე დებიუტი

## გერმანული მედია ქართველის შეფასებაში ერთსულოვანია



ნიკოლოზ გელაშვილს გოლს ულოცავენ

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ მეორე ბუნდესლიგელი „ბოხუმის" რიგებში ქართველი ფორვარდის - **ნიკოლოზ გელაშვილის** დებიუტი შედგა, თანაც როგორი - შეცვლაზე 8 წუთის შესულმა, გუნდს გამარჯვება მოუტანა.

"ბოხუმის" მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეას ბერგმანმა** 26 წლის ქართველი ახალწვეული 67-ე წუთზე გამოიყვანა მინდორზე, როდესაც ანგარიში 1:1 იყო. გამოცემა „კიკერი" წერს, რომ გელაშვილი გოლის გატანის მომენტში სწორ და კარგ პოზიციაზე იყო.

ქართველმა მაყურებელმაც იხილა ინტერნეტის საშუალებით ეს თამაში. ჩვენებურმა ბურთი იმ დროს მიიღო, როდესაც კარისკენ ზურგით იმყოფებოდა, მაგრამ ბურთის ქუსლით გადაგზავნა კარში არ გასჭირვებია და 2007 წლის შემდეგ „ბოხუმმა" პირველად დაამარცხა ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქე „ჰანზა".

*„ბოხუმელები იერიშზე გადადიოდნენ, მაგრამ გოლი ვერ გაჰქონდათ. მათი შეტევები ნიკოლოზ გელაშვილის მოედანზე გამოსვლამ გააძლიერა. ქართველმა სტიმული მისცა ბოხუმელებს, მეტად მოენდომებინათ და მიუხედავად იმისა, რომ „ჰანზას" კარისკენ დანიშნულმა ჯარიმამ მიზანს ვერ უწია, საბოლოოდ მეტოქეთა შეცდომა, გელაშვილმა გოლად აქცია. ნიკოლოზ გელაშვილი დღის ადამიანი გახდა, რომელმაც „ჰანზასთან" ასე ნანატრი გამარჯვება მოუტანა „ბოხუმს", - იუწყება „კიკერი".*

გამოცემა "დერვესტენი" კი ამბობს, რომ გელაშვილმა ოცნებისა და გამარჯვების გოლი გაიტანა და მოაგებინა თავის გუნდს. გერმანულმა მედიამ ნიკოლოზ გელაშვილის გარდა უმაღლესი შეფასება მისცა „ბოხუმის" მეკარე ლუთეს.

**მაგდა კლდიაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ტრანსფერი

# გადაწყდა: სანდრო გურული დილაში



"დილას" პრესატაშე **ზურაბ კარტოზიას** თქმით, გადაწყდა, რომ გორში გააგრძელებს კარიერას ზაგრების „დინამოს" მეკარე, ხორვატი **მარინ სკენდერი**. სერბმა ნახევარმცველმა **ვლადიმირ კრნჟინაცმა** კი მწვრთნელებზე დადებითი შთაბეჭდილება ვერ დატოვა და კლუბს დატოვებს.

"დილას" მორიგ ახალწვეული კი **სანდრო გურული** იქნება. შეგახსენებთ, რომ 26 წლის ფეხბურთელი იანვრის დასაწყისში თბილისის "დინამოში" ვარჯიშობდა, კლუბს მისი დამატება სურდა და ტრანსფერი რეალური ჩანდა, მაგრამ მაინც ლვოვში გაბრუნდა – ის დღემდე "კარპატის" საკუთრებაა.

ფეხბურთელის მამამ, **გია გურულმა** გუშინ გვითხრა, რომ სანდრო "დილაში" ითამაშებს.

*"ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია, კონტრაქტი შეთანხმებულია და მისი ხელმოწერალა აკლია. ლაპარაკია ნახევარწლიან იჯარაზე, რადგან "კარპატისთან" კონტრაქტი მხოლოდ ორწელიწადნახერში უმთავრდება"*, – გვითხრა გია გურულმა, რომელიც ფიფას აგენტია და შვილის მენეჯერიც გახლავთ.

გვეგონა, რომ სანდროს "დინამოში" ჩარიცხვა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ასე არ მოხდა.

გიას თქმით, სანდრომ პასუხი ვერ მიიღო: *"ბარსელონაში 14 იანვარს კონტრაქტის გასაფორმებლად ჩავედი. წინასწარ რა პირობებიც ითქვა, ის აღარ დამხვდა. არ მესიამოვნა, მაგრამ რაც შემოგვთავაზეს, დავთანხდით. ოღონდ 1 იანვრიდან მიეცით ხელფასი-მეთქი და უარი მითხრეს, ტრანსფერი 1 თებერვლიდან იწყება და იმ დღიდან დაენიშნებაო. ტრანსფერი რა შუაშია? გამოდიოდა, იანვრის ხელფასიც არ უნდა აეღო, როდესაც 14-დან გუნდში ვარჯიშობდა. 18 იანვარისთვის უკანა რეისის ბილეთი ავიღე და ვთხოვე, რომან ფიფიას პასუხი ეთქვათ. 23 იანვარს დავრეკე და კიდევ ვერაფერი რომ ვერ შევიტყვე, რომან ფიფიას ტელეფონი ვითხოვე, პირადად მსურდა დავლაპარაკება. 31-მდე პასუხი ვერ მივიღე და ამიტომ თავად დავურეკე და ვუთხარი, ბილეთები ლვოვის რეისზე გადაეცვალათ და სანდრო ლვოვში დაბრუნდა".*

და რატომ "დილა," და არა "კარპატი", რომელსაც ახლაც ეკუთვნის?

*"კარპატის" მინიმუმ 6 თვე უნდა ჩამოსცილდეს, ფსიქოლოგიური მომენტია – გულთან ძალიან ახლოს მიიტანა ყოფილი მთავარი მწვრთნელის, ოლეგ კონონოვის არაობიექტური მოქცევა. ასეთი რა გაუკეთეს? ხშირად ვუყურებდი გუნდის შეხვედრებს, რატომღაც სხვა ფეხბურთელი ზედი ზედ 5 მატჩს ჩააგდებდა და მაინც ათამაშებდა, სანდროს კი ან არ ათამაშებდა, ან ჩასაფრებული ელოდა, თამაშს როდის ჩააგდებდა და წამოსვლა ამჯობინა. მეტი რა უნდა გაუკეთოს მწვრთნელმა ფეხბურთელს?"* – ამბობს გია გურული.

რაც შეეხება **გიორგი შაშიაშვილსა** და **გიორგი განუგრავას**, დავაზუსტეთ, რომ "დილაში" მათი დამატება გამორიცხულია. რაც შეეხება **ლაშა თოთაძისა** და **მათე ვაწაძის** ტრანსფერებს, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და საგაზაფხულო ეტაპიდან გორის "დილაში" ითამაშებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ალიარება

# მეკარე, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო

ვინც ფეხბურთში საქმიანობს, საერთო მიზნისთვის შრომობს – მაყურებელი სტადიონზე მიიყვანოს და სახლში ნასიამოვნები გაუშვას.

გულშემატკივრის გულის მოგება კი გვარიანად რთულია – საკუთარი საქმე კარგად უნდა იცოდე და ალბათ, ადამიანური თვისებებითაც გამორჩეული უნდა იყო.

ჩვენთან ჯერ ბევრი ხალხი არ დადის ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე, მაგრამ ქართულ საკლუბო ფეხბურთში ბოლო დროს რიხიანი ამბებია და ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს უფრო მეტი ქომაგი სტადიონებზე.



ომარ მიგინეიშვილი

კლუბებიც უკვე განსაკუთრებულად ეკიდებიან გულშემატკივრის ფაქტორს. მაგალითად, ქუთაისის "ტორპედოს" ვებგვერდი გამოკითხვას აწყობს: ვინ მიგაჩნიათ სეზონის პირველ ეტაპზე "ტორპედოს" საუკეთესო ფეხბურთელად. გამოკითხულთა 57,34 პროცენტმა ხმა **ომარ მიგინეიშვილს** მისცა. მიგინეიშვილი ძალიან დიდი უპირატესობით ლიდერობს - მეორე მაჩვენებელი **დავით გამეზარდაშვილს** აქვს, 5,33 პროცენტი.

"ტორპედო" მიმდინარე ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ქომაგთა ყველაზე მეტი ხმა მეკარეს შეხვდა. ასეთი იშვიათად ხდება, ქუთაისელებს მართლაც თავისებურად უყვართ ფეხბურთი და ფეხბურთელები. ისიცაა, რომ ამ დროისთვის "ტორპედოს" შეტევაში გამორჩეული მოთამაშე ძნელად მოეპოვება.

"გულშემატკივარს ასე რომ უყვარხარ, ეს ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. "ტორპედომ" პირველ ლიგაში ორი სეზონი რომ გაატარა, კარში მაშინაც მე ვიდექი და ალბათ, ამ ფაქტორმაც დიდად განაპირობა, ვებგვერდის გამოკითხვაში ბევრმა გულშემატკივარმა რომ მომცა ხმა. ისიცაა, რომ ამ სეზონის პირველ ეტაპზე ურიგოდ ნამდვილად არ მითამაშია. ყველა გულშემატკივარს მადლობას ვუხდი," – გვითხრა მიგინეიშვილმა.

"ტორპედო" ახლახან დაბრუნდა თურქული შეკრებიდან და ქუთაისელთა მეკარეს ამაზეც ვკითხეთ.

"მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში ვერც ერთი მატჩი ვერ მოვიგეთ, შეკრება ნორმალურად უნდა შეფასდეს. მწვრთნელებმა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოცადეს, მუშავდებოდა კომბინაციები. შეკრების შედეგი კი მაშინ გამოჩნდება, სეზონი რომ განახლდება. საკუთარი თავითაც კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, რომ მეორე ეტაპზე უკეთეს ფორმაში ვიქნები".

ომარს შეკრების ბოლო მატჩზეც ვკითხეთ – ქუთაისელებმა ლუგანსკის "ზარიასთან" 1:3 წააგეს და თუ უკრაინულ წყაროებს დავუჯერებთ, ლუგანსკელებს ყველაფერი გამოსდიოდათ...

"შეკრების ბოლო დღე იყო და უფრო ამას ვაბრალებ ყველაფერს. ისიც უნდა ითქვას, რომ ლუგანსკელები ძალიან ხისტად, უხეშადაც კი გვეთამაშებოდნენ და ჩვენი ფეხბურთელები შესაძლოა, ტრავმას ერიდებოდნენ", – გვითხრა ტორპედოელთა მეკარემ.

მიგინეიშვილს "ტორპედოს" გარდა "სამტრედიასა" და "ლოკომოტივში" უთამაშია.

"სამტრედიაში" შვიდი წლის წინ ვიყავი, "ლოკომოტივში" კი მაშინ მივედი, როცა გუნდის პირველი მეკარე დავით გვარამაძე იყო. თამაში არ მიწევდა, თუმცა გვარამაძისგან ბევრი ვისწავლე. მეკარედ მაინც "ტორპედოში" ჩამოვყალიბდი. სათამაშო პრაქტიკა ყველასთვის მნიშვნელოვანია, მეკარისთვის – განსაკუთრებულად".

მიგინეიშვილს საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო გოლკიპერებად **გიორგი ლორია** და **როინ კვასხვაძე** მიაჩნია. საკუთარ თავზე კი ამბობს, რომ: "მცირე ნაკლი ალბათ ყველა კომპონენტში მაქვს, თუმცა ვარჯიშით და პირველ რიგში სათამაშო პრაქტიკით ამის გამოსწორება შეიძლება. ვფიქრობ, ორივე ფეხით ნორმალურად ვთამაშობ და მცველების დაზღვევაც არ გამომდის ურიგოდ. მთავარი, რაც უნდა გამოვასწორო, ხაზზე თამაშია, უკეთესი რეაქცია უნდა მქონდეს."

ხშირად გაიგონებთ, ქართველი მეკარეების უმთავრესი ნაკლი გამოსვლაზე თამაშიაო და მიგინეიშვილს ამაზე ცალკე ვკითხეთ.

"საქართველოს ჩემპიონატში ისეთი ჩაწოდებები არ არის, როგორიც ინგლისის პრემიერლიგაში და ბუნდესლიგაში, თუმცა საქართველოში მოთამაშე მეკარეებს არც თუ იშვიათად გვიწევს კარგ ჩაწოდებასთან გამკლავება. საერთოდაც, საქართველოს ჩემპიონატში არ არის ადვილი თამაში, გუნდები უმეტესად ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობენ და ასეთ დროს ძალიან ძნელია ქულების დაგეგმვა".

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# სპარტაკი და ჯანო: რა უნდათ მოსკოველებს?

## ანჟის მწვრთნელი: პატარაა, მაგრამ ოქროსავით ძვირფასი

მოსკოვის "სპარტაკი" "კოპა დელ სოლზე" ნორვეგიულ "რუსენბორგს" შეხვდა და პენალტების სერიაში 8:9 დამარცხდა. საქართველოს ნაკრების პლეიმეიკერმა **ჯანო ანანიძემ** თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 62-ე წუთზე **ველიტონმა** შეცვალა.

შაბათს კი "სპარტაკს" ჯგუფური ეტაპზე მორიგი შეხვედრა ასევე ნორვეგიულ "მიოლდესთან" ჰქონდა და ამჯერად 3:0 გაიმარჯვა. ჯანო მოედანზე 56-ე წუთზე გამოჩნდა, როდესაც ანგარიში 3:0 იყო.

"სპარტაკის" მატჩებს თვალს ადევნებდა ესპანეთში მყოფი მახაჩყალის "ანჟის" ერთ-ერთი მწვრთნელი **ანდრეი გორდეევი**, რომელმაც "სპორტ-ექსპრესთან" ანანიძეზეც ილაპარაკა.

ბოლო დროს ჯანოს "სპარტაკში" ფლანგზე ათამაშებენ. ჟურნალისტმა გორდეევს ჰკითხა - ანანიძე ცენტრში უფრო ეფექტური არ იქნებოდაო?

*"ანანიძე ნიჭიერი ფეხბურთელია, მე ძალიან მომწონს. მისთვის მთავარია, რაც შეიძლება მეტი ითამაშოს. მასთან დაკავშირებულ ვითარების დრამატიზირებას მოვერიდები: ასაკის კვალობაზე, ჯანო საკმაოდ ჰარმონიულად ვითარდება. დარწმუნებული ვარ, მას "სპარტაკში" დიდი მომავალი აქვს. მართალია, თანამედროვე ფეხბურთში ათლეტიზმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რითაც ჯანო ნამდვილად ვერ გვხიბლავს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო ვერ ენდობიან. ხომ გაგიგიათ, ოქრო პატარა, მაგრამ ძვირფასია. ჩვენს შემთხვევას კი ეს ანდაზა ზედმიწევნით შეეფერება"*,– თქვა გორდეევმა.

ამასობაში რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი კარპინმა** "მონაკოს" უარი შეუთვალა თავდამსხმელ **არისა** და ანანიძის იჯარაზე – ფრანგულ გუნდს სპარტაკელთა დამატება ერთი წლით სურდა.

ოდესღაც სახელოვანი კლუბი ამჯერად საფრანგეთის ლიგა2-ში ასპარეზობს და იქაც ბოლოსწინა მე-19 ადგილზე იმყოფება. გუნდის საკონტროლო პაკეტი რუსმა ბიზნესმენმა **დიმიტრი რბოლვლევმა** შეიძინა და ტექნიკური დირექტორად მოსკოვური კლუბის ერთ-ერთი ყოფილი თავკაცი **ევგენი სმოლენცევი** დანიშნა. მოლაპარაკება სწორედ სმოლენცევმა წამოიწყო. მაგრამ, რუსული მედიის ცნობით, კარპინმა უარით გაისტუმრა.

გაუგებარია ეს ყველაფერი. რუსული მედიის ცნობით, ზამთარში ქართველით ერთდროულად ოთხი ევროპული კლუბი დაინტერესდა - ინგლისური „არსენალი", ესპანური „რასინგი", გერმანული „ჰამბურგი" და ბერძნული „ოლიმპიაკოსი". **არსენ ვენგერის** "არსენალი" მზად იყო, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელში 4 მილიონი ფუნტი გადაეხადა.

სხვათა შორის, თავად ანანიძის ნათქვამია, რომ "არსენალი" იწვევდა, მაგრამ რუსებმა უარი თქვეს.

დეკემბერში ინფორმაცია "სოვეტსკი სპორტმა" გაავრცელა: კლუბსაც არ სურს ნიჭიერი ახალგაზრდის სათადარიგოთა სკამზე ყოფნა და ფეხბურთელის წინსვლა რომ არ შეჩერდეს, შესაძლოა, იჯარით სადმე გაუშვანო.

მაგრამ იანვრის შუა რიცხვებში ფეხბურთელის აგენტმა **რევაზ ჩელებაძემ** წერტილი დასვა, თემა დახურულია, ანანიძე სეზონის ბოლომდე "სპარტაკში" რჩებაო.



ჯანო ანანიძე

ცხადია, ამაზე ვიფიქრეთ, რომ "სპარტაკს" 19 წლის ქართველის ეიმედებოდა, მაგრამ მოგვიანებით კარპინმა ორაზროვნად განაცხადა: *"გუნდში ბევრი ახალგაზრდა გვყავს, მაგალითად, ანანიძე (კიდევ რამდენიმე დაასახელა)... შესაძლოა, ჟურნალისტები მათ დუბლიორებად აღარ თვლით, თუმცა ასაკის მიხედვით, ისინი დუბლიორებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ"*.

ამ ორაზროვანი განცხადების შემდეგ „სპარტაკმა" ინგლისური „ევერტონიდან" ჯანოს პოზიციაზე **დინიარ ბილიალეტდინოვი** დაიმატა. თუმცა ქართველის იჯარაზე ლაპარაკიც შეწყდა.

გულდასაწყვეტი ისაა, შენიანი რომ "არსენალს" უნდა და არ უშვებს "სპარტაკი", სადაც ჯანოს ხშირად არ ათამაშებენ, სხვაგანაც არ უშვებენ და გაუგებარია, რა უნდათ მოსკოველებს?

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი. გაგრა

# ტრავმები, ტრავმები...

"ლელო" უკვე წერდა, რომ ყარალანდის "შახტიორთან" შეხვედრის 74-ე წუთზე "გაგრასა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი **ლაშა კალანდაძემ** დაშავდა. 20 წლის ფეხბურთელმა ტრავმა მეკარესთან შეჯახების შემდეგ მიიღო.

მას კოჭი აქვს გასიებული და გუნდის ექიმმა შეკრების ბოლომდე ვარჯიში აუკრძალა. თუმცა, "გაგრას" პრესატაშე მიხეილ აფხაზავას თქმით, სერიოზული არაფერი სჭირს და მალე კვლავ საერთო ჯგუფში ივარჯიშებს.

იგივე შეიძლება ითქვას **გიორგი ერისთავზეც**, რომელიც პირველ შეხვედრაში დაშავდა და ამის გამო შეცვალეს. ეს უკანასკნელიც ჯერჯერობით ვერ ივარჯიშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტალურგი

# მშვიდობიანი ფინიში

რუსთავის "მეტალურგმა" თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა. წინასწარ დაგეგმილი იყო, რომ **კობა ჟორჟიკაშვილის** გაწვრთნილებს რუმინულ „ტარგუ მურეშთან" უნდა ეთამაშათ. მაგრამ ბოლოს მეტოქე შეიცვალა და "მეტალურგი" ჩინურ კლუბს "ტიანჯინ ტედას" შეხვდა.

მატჩი უგოლო 0:0-ით დასრულდა, რუსთაველებმა კი შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს.

„მეტალურგი": **ბედიაშვილი - სეთურიძე (ქავთარაძე), გ. კვარაცხელია, მახვილაძე, ჯაფარიძე - დობროვოლსკი, რაზმაძე - მიქაბერიძე (სიხარულიძე), თექთურმანიძე, მაისურაძე - ტატანაშვილი.**

ანთალიურ შეკრებაზე რუსთაველებმა სულ სამი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს: „შერიფთან" 0:0 ითამაშეს, ყაზახურ „ასტანასთან" 0:1 წააგეს, რუმინულ „სპორტულთან" კი 2:1 მოიგეს.

დღეს რუსთაველები შეკრებას დაამთავრებენ და სამშობლოში დაბრუნდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონის უქმეები

# გელაშვილმა ყველა დაჩრდილა

ქართული ლეგიონის უქმეებიდან, ყველაზე ღირსშესანიშნავი, რაღა თქმა უნდა, **ნიკოლოზ გელაშვილის** შთამბეჭდავი გერმანული დებიუტი იყო, რომლის შესახებაც ვრცლად დღევანდელი „ლელოს" წინა გვერდებიდან შეიტყობდით. სხვა საინტერესო ამბებზე კი ქვემოთ წაიკითხავთ.

სერია A-ში **კახა კალაძის** "ჯენოამ" რომის "ლაციოს" უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა. გენუელები მე-9 ადგილზე არიან და ევროპის ლიგაზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ, კალაძემ კი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

სერია B-ში "ემპოლი" შინ "კროტონეს" დაუზავდა – 1:1 და კვლავ სახიფათო ზონის სიახლოვეს ტრიალებს. "ემპოლის" რიგებში **ლევან მჭედლიძე** 58-ე წუთიდან გამოჩნდა და მისმა გუნდმა ანგარიში ამის შემდეგ გაათანაბრა, **ირაკლი შეყილაძე** კი მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა.


კახა კალაძე (№13)


ზურაბ ხიზანიშვილი (№6)

პირველ ბუნდესლიგაში კვლავ წააგო ბერლინის "ჰერტამ", რომელიც საკუთარ მოედანზე "ჰანოვერთან" 0:1 დამარცხდა და კიდევ უფრო მიუახლოვდა გასავარდნ ზონას. ერთადერთი, რაც პოზიტიურ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, ის არის, რომ **ლევან კობიაშვილი** ამ შეხვედრაში "ჰერტას" კაპიტანი იყო. ვეტერანმა ქართველმა ამჯერადაც მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა და "შპორტალმა" მისი გარჯა, 3,5-ით შეაფასა, რაც დედაქალაქელთა შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

მეორე ბუნდესლიგაში მოიგო **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუემ" – შინ "აუეს" 2:1 აჯობა და ბოლოდან ბოლოსწინა პოზიციამდე "აღზევდა". "კარლსრუეს" კაპიტანი იაშვილი, რომელსაც "შპორტალმა" 4-იანი დაუწერა, ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. საგოლე კომბინაციებში მას მონაწილეობა არ მიუღია.

გადავინაცვლოთ ჰოლანდიაში, სადაც "ვიტესმა" **გურამ კაშიას** გარეშე მოუგო "ბრედას". არნემელებმა შინ 1:0 გაიმარჯვეს, მათმა ქართველმა კაპიტანმა კი ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა. ჩვენებურთაგან ამ შეხვედრაში მონაწილეობა მხოლოდ **გიორგი ჭანტურიამ** მიიღო, რომელიც თამაშში 66-ე წუთზე ჩაერთო. **ვაკო ყაზაიშვილი** განაცხადში არ ყოფილა. "ვიტესი" ერედივიზიეში მე-7 ადგილზეა და ევროპის ლიგაზე გასასვლელად იბრძვის.

თურქეთში "ქაისერისფორმა" "გენჩლერბირლიგისთან" საკუთარ მოედანზე 2:3 წააგო. **შოთა არველაძის** გუნდმა მესამე გოლი ბოლო წუთზე გაუშვა. **ზურაბ ხიზანიშვილმა** "ქაისერის" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა და პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. "ქაისერი" მე-9 საფეხურზეა, **აკაკი ხუბუტიას** "სამსუნსფორი" კი დღეს "ქარაბუქსფორს" სტუმრობს.

საბერძნეთში "ერგოტელისმა" შინ ოფის-თან 0:1 წააგო, ამ შეხვედრაში "ერგოტელისის" მცველ **გიორგი შაშიაშვილს** მონაწილეობა არ მიუღია, იგი განაცხადშიც არ იყო.

კვიპროსზე "ანორთოსისი" სტუმრად "არისთან" 0:1 დამარცხდა და თუკი ორი კვირის წინ თანალიდერი იყო, დღეს ერთპიროვნულ ლიდერ "ომონიას" 5 ქულით ჩამორჩება. **დავით კვირკველიამ** მატჩს "ანორთოსისის" სათადარიგოთა სკამიდან უყურა.

დაბოლოს, კიდევ ერთი გოლის შესახებ, რომელიც ქართველმა ამხანაგურ მატჩში გაიტანა – "კრასნოდარმა" მოლდოვის ჩემპიონ "დაჩიას" 1:0 სძლია. კრასნოდარელთა კაპიტანმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** კიშინიოველთა კარი თავური დარტყმით დალაშქრა. მის გარდა, ამ მატჩში "კრასნოდარის" შემადგენლობაში **ნუკრი რევიშვილმა** და **ოთარ მარცვალაძემაც** ითამაშეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXII ტური


ეს წუთია ნენემ პენალტით პსჟ წინ გაიყვანა

# ანჩელოტი საფრანგეთში ისევ უდანაკარგოა

**დიჟონი–ვალანსიენი 1:2**

**გოლები:** 0:1 კოადი (2), 0:2 დანიჩი (43), 1:2 ტილი (90)

**აიაჩო–ნიცა 1:1**

**გოლები:** 1:0 ედუარდო (57-პენ), 1:1 გონსალვეში (85)

**მონპელიე–ბრესტი 1:0**

**გოლი:** 1:0 დერნისი (41)

**პსჟ–ევიანი 3:1**

**გოლები:** 0:1 კამბონი (45), 1:1 ნენე (47), 2:1 ნენე (79-პენ), 3:1 გამეირო (89)

**ბორდო–ტულუზი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჟუსი (1), 2:0 ობრანიაკი (40)

**მარსელი–ლიონი 2:2**

**გოლები:** 1:0 შეირუ (16), 2:0 ბრანდაო (34), 2:1 გომისი (36), 2:2 დიავარა (45 ს.კ.)

| | |
|---|---|
| **ნანსი-რენი** | 0:0 |
| **სტ. ეტიენი-ლორიანი** | გადაიდო |
| **კანი-ოსერი** | გადაიდო |
| **სოშო-ლილი** | გადაიდო |

**კარლო ანჩელოტის** გუნდმა მეტისმეტი ქება-დიდების მოსმენის შემდეგ კინაღამ აუტსაიდერ "ევიანთან" წაიფორხილა. იტალიელი სპეციალისტი ახლოს იყო ფრანგულ კარიერაში პირველი ქულების დაკარგვასთან, მაგრამ "ახლოს იყო", "კინაღამ", "თითქმის" და ასე შემდეგ ცნებები არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ტაბლოზე დაფიქსირებული შედეგი. დარწმუნებული ვართ, კარლეტო ყოველ ფეხბურთელს დეტალურად აუხსნის მის მიერ დაშვებულ შეცდომას. თუმცა ეს უკვე სხვა თემაა.

ყველასდა გასაოცრად, სტუმრებმა დედაქალაქელებს შემტევი ფეხბურთი შესთავაზეს, რითაც დებიუტში ცოტა დააბნიეს კიდეც, თუმცა მალე ყველაფერი დალაგდა და "როგორც წესია" სახიფათო მომენტები უფრო მეტად **სტეფან ანდერსენის** კართან იქმნებოდა. "ლურჯ-წითლები" ბოლო ფაზაში არაკონცენტრირებულები იყვნენ და მომენტებს აფუჭებდნენ. ყველაზე სუსტად ცენტრალური ნახევარდაცვა გამოიყურებოდა, რადგან აშკარა იყო, რომ **ტიაგო მოტასა** და **მომო სისოკოს** ერთმანეთის ისე კარგად ჯერ კიდევ არ ესმით, როგორც საჭიროა. პირველი ნახევრის მიწურულს სტუმრებმა კუთხური იდეალურად გაითამაშეს და **სედრიკ კამბონმა** ბურთი ორიოდე მეტრიდან თავით გაიტანა - 0:1.

ამან მასპინძლები ძალიან გააბრაზა, რის გამოც მეორე ტაიმში ტემპს მოუმატეს. მალე გამოჩნდა, რომ ინდივიდუალური ოსტატობით მეტოქეს ერთი ორად აღემატებოდნენ. 47-ე წუთზე **ნენემ** ერთი მეტოქე ჩამოიშორა, მერე მეკარეც მოატყუა და ახლო კუთხეში გაიტანა. შემდეგ მან პენალტით დუბლი შეასრულა. ბრაზილიელმა შექმნა უკანასკნელი მომენტიც, როცა მცველი ბურთს ოდნავ შეეხო და მიმართულება შეუცვალა, მაგრამ იქვე გაჩნდა **კევინ გამეირო**, რომელმაც დაამატა და ანგარიში 3:1 გახადა.

შემოდგომაზე ფრანგი ჟურნალისტები უკვე იმაზე ბჭობდნენ, გავარდებოდა თუ არა "ბორდო". ამის საფუძველი მათ ნამდვილად ჰქონდათ - გუნდი ხომ მე-18 ადგილამდე დაეშვა. თუმცა **ფრანსის ჟიიომ** შეძლო იმ გზის მონახვა, რომლითაც გუნდს უნდა ევლო. თავად წარმოიდგინეთ, უფსკრულამდე დაშვების შემდეგ ჟირონდელებმა 10 შეხვედრა ჩაატარეს, სადაც 5 მოგება, 4 ფრე და 1 წაგება აქვთ. აქედან მათ ორი ფრე თასზე ითამაშეს და პენალტების სერიაში ორივე მოიგეს. პირიქით, დაღმავალ ხაზზეა "ტულუზი" – ბოლო 11 შეხვედრაში 3 მოგება, 3 ფრე და 6 წაგება აქვს. მატჩის დასაწყისი სტუმართათვის შოკისმომგვრელი გამოდგა. "იისფერების" კაპიტან **დანიელ კონრეს ჟუსიმ** ბურთი მოედნის ცენტრში წაართვა და ანგარიში 30-ე წამზე გახსნა – 1:0. პირველი ტაიმის დასასრულს კი **ლუდოვიკ ობრანიაკმა** საჯარიმოდან დიდებულად დაარტყა – 2:0.

"მონპელიემ" ზუსტად იმ დონეზე ითამაშა, როგორც წელს შეგვაჩვია. მათ მთელი 90 წუთის განმავლობაში მატჩის სადავეები ხელთ ეპყრათ და ის, რომ ანგარიში უფრო სოლიდური არ გახდა, მთლიანად სტუმართა გოლკიპერის **სტივ ელანას** დამსახურებაა, ვინც 8-ჯერ (!) გადაარჩინა თავისი გუნდი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 22 | 15 | 4 | 3 | 38-19 | 49 |
| 2. მონპელიე | 22 | 14 | 4 | 4 | 42-23 | 46 |
| 3. ლილი | 21 | 10 | 9 | 2 | 36-21 | 39 |
| 4. ლიონი | 22 | 12 | 3 | 7 | 36-25 | 39 |
| 5. მარსელი | 22 | 10 | 8 | 4 | 33-21 | 38 |
| 6. რენი | 22 | 10 | 6 | 6 | 32-25 | 36 |
| 7. ტულუზი | 22 | 9 | 7 | 6 | 22-22 | 34 |
| 8. სტ. ეტიენი | 21 | 9 | 6 | 6 | 24-24 | 33 |
| 9. ბორდო | 22 | 7 | 9 | 6 | 24-23 | 30 |
| 10. ლორიანი | 21 | 6 | 8 | 7 | 21-24 | 26 |
| 11. ბრესტი | 22 | 4 | 12 | 6 | 20-21 | 24 |
| 12. ვალანსიენი | 22 | 6 | 5 | 11 | 22-26 | 23 |
| 13. ევიანი | 22 | 5 | 8 | 9 | 29-35 | 23 |
| 14. ნანსი | 22 | 5 | 8 | 9 | 22-29 | 23 |
| 15. აიაჩო | 22 | 5 | 7 | 10 | 25-39 | 22 |
| 16. დიჟონი | 22 | 6 | 4 | 12 | 25-41 | 22 |
| 17. კანი | 21 | 5 | 5 | 11 | 24-32 | 20 |
| 18. ნიცა | 22 | 4 | 7 | 11 | 22-26 | 19 |
| 19. ოსერი | 21 | 4 | 7 | 10 | 28-35 | 19 |
| 20. სოშო | 21 | 4 | 7 | 10 | 22-36 | 19 |

**ბომბარდირები:** 15 - ოლივიე ჟირუ (მონპელიე), 11 – ნენე (პარი სენ-ჟერმენი), 10 - კევინ გამეირო (პარი სენ-ჟერმენი), 9 – ლოიკ რემი (მარსელი)

**მომდევნო ტური**

11 თებერვალი: ოსერი-ლორიანი, ბრესტი-დიჟონი, ევიანი-მარსელი, ლიონი-კანი, მონპელიე-აიაჩო, ვალანსიენი-ნანსი, რენი-სოშო.

12 თებერვალი: ლილი-ბორდო, ნიცა-პსჟ, ტულუზი-სტ ეტიენი

**ლევან ბიბილაშვილი**

● ბენდელას თასი

# გადამწყვეტი ეტაპი

გრძელდება **ზაზა ბენდელიანის** თასი 21-ე გათამაშება: ჯგუფური ეტაპი უკვე დამთავრდა და დღეიდან პლეი ოფის მატჩები დაიწყება. ვიდრე მეოთხედფინალის წყვილებს გაგაცნობდეთ, ორივე ჯგუფის საბოლოო სატურნირო მდგომარეობა გვინდა შემოგთავაზოთ.

**A ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 4 | 1 | 3 | 0 | 10-6 | 10 |
| 2. ზოოვეტი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 7 |
| 3. ზესტაფონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-11 | 6 |
| 4. ტორპედო | 4 | 1 | 2 | 1 | 7-7 | 5 |
| 5. იუსი ბესტი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-5 | 5 |

**B ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-0 | 15 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 11-5 | 8 |
| 3. აეტი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-10 | 7 |
| 4. მეტალურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-11 | 5 |
| 5. დილა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |

აქვე, „ბენდელას თასის" საინტერესო სიახლეზეც ვთქვათ: ტურნირის რეგლამენტის თანახმად, 3 ან მეტი ბურთით მოგების შემთხვევაში გამარჯვებულ გუნდს 4 ქულა ეწერება, მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ორივე გუნდი თითო ქულას იწერდა, პენალტების სერიაში გამარჯვებულს კიდევ 1 ქულა ემატებოდა. თუმცა, ეს ყველაფერი ჯგუფურ ეტაპზე იყო, ახლა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პლეი ოფები იწყება. აი, მეოთხედფინალური წყვილებიც:

6 თებერვალი: **აეტი-ზოოვეტი (თბილისი, „ბენდელა") დასაწყისი 10 საათი**

6 თებერვალი: **დინამო-მეტალურგი (რუსთავი, „ფოლადის" სტადიონი) დასაწყისი 15 საათი.**

6 თებერვალი: **ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია (თბილისი, „ოლიმპი" 12 საათი)**

7 თებერვალი: **სპარტაკი-ტორპედო (თბილისი. „ავაზა-ვისოლი", 14:30)**

ნახევარფინალური მატჩები 9 თებერვალს ჩატარდება, ფინალი-11 თებერვალს.



დაბოლოს, „ბენდელას თასის" მოქმედ გამარჯვებულზე-ცხინვალის „სპარტაკი" ერთადერთი გუნდია, ჯგუფურ ეტაპზე ქულათა მაქსიმუმი რომ აიღო! ამას გარდა, **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა ყველაზე მეტი გოლი გაიტანა და საკუთარი კარი ოთხივე შეხვედრაში მშრალად შეინახა.

*შენიშვნა: „ბენდელას თასზე" ქულათა დარიცხვის წესი განსხვავებულია. გამარჯვება 4 ქულად ფასობს, დიდი ანგარიშით მომგებ გუნდს კი დამატებით პრემიალური ქულაც ერიცხება.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტური

# ბაიერნს რაღაც სჭირს

## დორტმუნდი უკვე ერთპიროვნული ლიდერია

### ნიურნბერგი–ბორუსია (დ) 0:2

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი – ფოილნერი, მარო (80. ბუნიაკუ), ვოლშაიდი, ჰლუშეკი – კოენი (60. ჩენდლერი), სიმონსი – ჰეგელერი, დიდავი, აიგლერი (59. ესვაინი) – პეკჰარტი.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიუჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი (22. ლაიტნერი), კელი – ბლაშჩიკოვსკი (88. გიუნდოგანი), კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი (72. ბარიოსი).

**გოლები:** 0:1 კელი (48), 0:2 ბარიოსი (82)

**გაფრთხილება:** ფოილნერი (ნიურნბერგი)

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 3-8; **კარში დარტყმა:** 12(3)-11(61); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 45 572

### ჰერტა–ჰანოვერი 0:1

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – მორალესი, ჰუბნიკი, ნოიმანი, **კობიაშვილი** – ოტლი (83. რუკავიტსია), ნიმაიერი – ებერტი (66. რონი), ლუსტენბერგერი, რამოსი – ლასოგა.

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჩერუნდოლო, ეგიმანი, კ. შულცი (36. ავევორი), პანდერი – პინტუ, შმიდებახი (46. დიუფი) – შტინდლი, რაუში – შლაუდრაფი, აბდელაუ (89. სობიეხი).

**გოლი:** 0:1 აბდელაუ (68)

**გაძევება:** ნოიმანი (75. ჰერტა)

**გაფრთხილება:** ჩერუნდოლო, სობიეხი (ჰანოვერი)

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 16-24; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 15(3)-9(4); **ბურთის ფლობა:** 48%-53%.

**მაყურებელი:** 36 997

### შალკე–მაინცი 1:1

**შალკე (4-1-2-1-2):** უნერშტალი – ჰიოგერი, პაპადოპულოსი, ჰიოვედესი, ფუხსი – მატიპი – ობასი, დრაქსლერი (46. ხურადო) – რაული (74. პუკი) – მარიკა (46. ფარფანი), ჰუნტელაარი.

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო – პოსპეხი, ბუნგერტი, ნოვესკი, ზაბავნიკი – კირხჰოფი – მ. კალიგიური (69. ნ. მიულერი), სოტო (83. მალი) – პოლანსკი (75. ბაუმგარტლინგერი) – ზიდანი, ჩუპო-მოტინგი.

**გოლები:** 0:1 ზიდანი (15), 1:1 ობასი (59)

**გაფრთხილება:** ობასი, ფუხსი – კირხჰოფი, პოსპეხი

**კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 19-18; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 10(2)-15(2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 60 557

### ლევერკუზენი–შტუტგარტი 2:2

**ლევერკუზენი (4-1-2-1-2):** ლენო – ჩორლუკა, შვააბი, მ. ფრიდრიხი, კადლეცი – რაინარტცი – კასტრო, როლფესი – ლ. ბენდერი (72. სემი/84. რენატო) – კისლინგი, შიურლე.

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი – ბულარუზი, ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო – კვისტი (79. ჰაინალი), გენტნერი – ოკაზაკი (76. ჰარნიკი), შიბერი – იბიშევიჩი, კაკაუ.

**გოლები:** 1:0 კისლინგი (11), 1:1 შიბერი (23), 2:1 როლფესი (47-პენ), 2:2 ჰარნიკი (89)

**გაძევება:** კადლეცი (63. ლევერკუზენი), მოლინარო (92. შტუტგარტი)

**გაფრთხილება:** კისლინგი – კვისტი, შიბერი, იბიშევიჩი, კაკაუ, ჰარნიკი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 19-29; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13(6)-14(4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 27 929

### ვოლფსბურგი–ბორუსია (მ) 0:0

**ვოლფსბურგი (4-2-2-2):** ბენალიო – ტრეში, რუსი, ფელიპე, როდრიგესი – ჟოსუე, ირჟაჩეკი – სისოკო (46. მანჯუკიჩი), მ. შეფერი – დეჟაგა (62. სიო), პოლტერი (82. ოხსი).

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე, ბრუვერსი, დანტე, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ჰერმანი, არანგო – როისი, ჰანკე (75. დე კამარგო).

**გაფრთხილება:** ირჟაჩეკი - იანტშკე

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 16-8; **თამაშგარე:** 8-13; **კარში დარტყმა:** 11(2)-5(0); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 30 000

### ჰოფენჰაიმი–აუგსბურგი 2:2

**ჰოფენჰაიმი (4-1-2-2-1):** შტარკე – ბეკი, ვესტერგაარდი, კომპერი, ჯონსონი – ვილიამსი – რობერტო ფირმინიო, სალიჰოვიჩი (71. ვაისი) – მლაპა (75. ლაკიჩი), ბაბელი – მუსონა (71. ვუკჩევიჩი).

**აუგსბურგი (4-2-3-1):** იენტცში – ვერჰეგი, ს. ლანგკამპი, კალსენ-ბრაკერი, დე იონგი – ბაიერი, ჰოსოგაი – მ. ნდიენგი (88. ბრინკმანი), იორლი, ვერნერი (61. კოო) – მიოლდერსი.

**გოლები:** 0:1 მიოლდერსი (31), 1:1 მლაპა (38), 2:1 სალიჰოვიჩი (51-პენ), 2:2 ს. ლანგკამპი (72)

**გაფრთხილება:** ვილიამსი, სალიჰოვიჩი, ბაბელი, ვესტერგაარდი – ს. ლანგკამპი, ბაიერი

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 13(4)-11(5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 22 500

### ჰამბურგი–ბაიერნი 1:1

**ჰამბურგი (4-2-2-2):** დრობნი – დიკმაიერი, ვესტერმანი, რაიკოვიჩი, აოგო – რინკონი, იაროლიმი (92. ტეშე) – სალა (75. ილიჩევიჩი), იანსენი – პეტრიჩი (71. სონი), გერერო.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ტიმოშჩუკი (61. ალაბა), ბოატენგი, ბადშტუბერი, ლამი – შვაინშტაიგერი, კროოსი (64. ოლიჩი) – რობენი, თ. მიულერი, რიბერი – გომესი.

**გოლები:** 1:0 სალა (23), 1:1 ოლიჩი (71)

**გაფრთხილება:** ვესტერმანი, რინკონი – ბოატენგი, კროოსი

**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 13(1)-22(8); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 57 000

### ფრაიბურგი–ვერდერი 2:2

**ფრაიბურგი (4-2-2-1-1):** ბაუმანი – ზორგი, კრმასი, ჰიონი, ლუმბი – ფლუმი, მაკიადი – შმიდი (74. დ. კალიგიური), როზენტალი (62. სანტინი) – პუცილა (56. რაიზინგერი) – იენდრიშეკი.

**ვერდერი (4-2-2-2):** ვიზე – ფრიტცი, აფოლტერი, სოკრატისი, ჰართერცი – იგნიოვსკი, იუნუზოვიჩი – თრაიბული (76. შმიტცი), ექიჩი (63. მარინი) – როზენბერგი, პისარო.

**გოლები:** 0:1 პისარო (29), 1:1 მაკიადი (32), 1:2 პისარო (47), 2:2 შმიდი (70)

**გაფრთხილება:** იენდრიშეკი, დ. კალიგიური – პისარო, ექიჩი

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 20-19; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 18(6)-8(2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 22 000

### კაიზერსლაუტერნი–კიოლნი 0:1

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ტრაპი – დიკი, იაია, როდნი, ბუგერა (63. იესენი) – ტიფერტი, ბორისიუკი – შაჰანი, იორგენსენი (78. სვიერჩოკი) – ვაგნერი, შეხტერი (46. კირხი).

**კიოლნი (4-2-2-1-1):** რენზინგი – სერენო, მაკენა, ჟერომელი, აიხნერი – ლანიგი (70. იშაკი), რიტერი – კლემენსი, პეჟკო (70. როში) – იაიალო – ნოვაკოვიჩი (88. პეცონი).

**გოლი:** 0:1 როში (72)

**გაძევება:** ბორისიუკი (40. კაიზერსლაუტერნი)

**გაფრთხილება:** როდნი, შაჰანი

**კუთხური:** 3-9; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 6(3)-18(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 38 043

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 20 | 13 | 4 | 3 | 45-14 | 43 |
| 2. ბაიერნი | 20 | 13 | 2 | 5 | 47-14 | 41 |
| 3. შალკე | 20 | 13 | 2 | 5 | 46-25 | 41 |
| 4. ბორუსია (მ) | 20 | 12 | 4 | 4 | 31-12 | 40 |
| 5. ვერდერი | 20 | 9 | 5 | 6 | 33-34 | 32 |
| 6. ლევერკუზენი | 20 | 8 | 7 | 5 | 28-27 | 31 |
| 7. ჰანოვერი | 20 | 7 | 9 | 4 | 22-24 | 30 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 20 | 6 | 6 | 8 | 22-24 | 24 |
| 9. კიოლნი | 20 | 7 | 3 | 10 | 29-40 | 24 |
| 10. ვოლფსბურგი | 20 | 7 | 3 | 10 | 24-36 | 24 |
| 11. შტუტგარტი | 20 | 6 | 5 | 9 | 26-28 | 23 |
| 12. ჰამბურგი | 20 | 5 | 8 | 7 | 25-34 | 23 |
| 13. მაინცი | 20 | 5 | 7 | 8 | 28-34 | 22 |
| 14. ნიურნბერგი | 20 | 6 | 3 | 11 | 19-31 | 21 |
| 15. ჰერტა | 20 | 4 | 8 | 8 | 25-31 | 20 |
| 16. კაიზერსლაუტ. | 20 | 3 | 9 | 8 | 15-24 | 18 |
| 17. აუგსბურგი | 20 | 3 | 8 | 9 | 19-33 | 17 |
| 18. ფრაიბურგი | 20 | 4 | 5 | 11 | 25-44 | 17 |

**ბომბარდირები:** 17 – გომესი (ბაიერნი); 16 – ჰუნტელაარი (შალკე), 15 – პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 14 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 12 – როისი (ბორუსია /მ/); 11 – აბდელაუ (ჰანოვერი); 10 – რაული (შალკე).

### II ბუნდესლიგა. XX ტური

**დინამო (დ)-ფიურტი 3:1**

გოლები: 1:0 კოხი (5), 2:0 პოტე (53), 2:1 სარარერი (63), 3:1 დედიჩი (73)

**პადერბორნი-უნიონი 3:2**

გოლები: 1:0 პრომშვიტცი (7-პენ), 1:1 მატუშკა (14), 2:1 ბრიუკნერი (50), 3:1 მეჰა (62), 3:2 სილვიო (69)

**დუისბურგი-ფრანკფურტი 1:2**

გოლები: 0:1 მიჩანსკი (17), 1:1 სუკალო (47), 1:2 მიჩანსკი (68)

**ალემანია-ზანკტ პაული 2:1**

გოლები: 1:0 აუერი (13-პენ), 2:0 დემაი (15), 2:1 ბოლი (39)

**ინგოლშტადტი-ფორტუნა 1:1**

გოლები: 1:0 იკენგი (24), 1:1 ლანგენეკე (30-პენ)

**კარლსრუე-აუე 2:1**

გოლები: 0:1 კიონიგი (17), 1:1 პ. გროსი (22), 2:1 ს. ჰაასი (55)

**აინტრახტი-ბრაუნშვაიგი 2:1**

გოლები: 0:1 კრუპკე (5), 1:1 ა. მაიერი (11), 2:1 ა. მაიერი (22)

**ბოხუმი-ჰანზა 2:1**

გოლები: 1:0 ფედერიკო (19), 1:1 ბორგი (63), 2:1 გელაშვილი (75)

**მიუნხენ 1860-კოტბუსი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფორტუნა | 20 | 12 | 7 | 1 | 44-21 | 43 |
| 2. აინტრახტი | 20 | 12 | 6 | 2 | 43-20 | 42 |
| 3. პადერბორნი | 20 | 12 | 6 | 2 | 32-17 | 42 |
| 4. ფიურტი | 20 | 12 | 4 | 4 | 42-17 | 40 |
| 5. ზანკტ პაული | 20 | 12 | 3 | 5 | 39-23 | 39 |
| 6. მიუნხენ 1860 | 19 | 10 | 2 | 7 | 40-28 | 32 |
| 7. უნიონი | 20 | 9 | 4 | 7 | 32-32 | 31 |
| 8. ბრაუნშვაიგი | 20 | 8 | 5 | 7 | 26-24 | 29 |
| 9. ბოხუმი | 20 | 8 | 3 | 9 | 27-30 | 27 |
| 10. დინამო (დ) | 20 | 7 | 4 | 9 | 36-35 | 25 |
| 11. კოტბუსი | 19 | 6 | 5 | 8 | 20-30 | 23 |
| 12. დუისბურგი | 20 | 5 | 5 | 10 | 25-29 | 20 |
| 13. აუე | 20 | 4 | 7 | 9 | 17-33 | 19 |
| 14. ალემანია | 20 | 3 | 9 | 8 | 19-27 | 18 |
| 15. ფრანკფურტი | 20 | 3 | 8 | 9 | 20-37 | 17 |
| 16. ინგოლშტადტი | 20 | 3 | 6 | 11 | 22-40 | 15 |
| 17. კარლსრუე | 20 | 4 | 3 | 13 | 21-44 | 15 |
| 18. ჰანზა | 20 | 1 | 9 | 10 | 14-32 | 12 |

**ბომბარდირები:** 13 – პრომშვიტცი (პადერბორნი); 11 – რიოსლერი (ფორტუნა); 10 – კრუპკე (ბრაუნშვაიგი), კრუსე (ზანკტ პაული), ა. მაიერი (აინტრახტი), ნიოთე (ფიურტი), ოკეანი (ფიურტი).

### III ბუნდესლიგა

**ბაბელსბერგი-პროისენ მიუნსტერი 0:2, შტუტგარტი II-ბურგჰაუზენი (გადაიდო), კარლ ცაისი-ჰაიდენჰაიმი (გადაიდო), არმინია-ზანდჰაუზენი 1:3, აალენი-რეგენსბურგი 2:1, დარმშტადტი-ვეენი 0:1, ხემნიტცი-უნტერჰახინგი 5:1, ობერჰაუზენი-ოფენბახი 1:1, ვერდერი II-ზაარბრიუკენი 2:2, ოსნაბრიუკი-ერფურტი (ხვალ).**

მე-20 ტურის უმთავრესი მოვლენა უთუოდ ის არის, რომ ბუნდესლიგას ბოლოს და ბოლოს ისევ ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს და რაც ასევე საინტერესოა, ეს არ არის მიუნხენის „ბაიერნი" - როგორც ბევრი ფიქრობდა. რეკორდმაისტერმა ჰამბურგში ვერ მოიგო (1:1), „შალკემ" საკუთარ მოედანზე „მაინცს" მხოლოდ ერთი ქულა დაატოვებინა (ასევე 1:1), მიონხენგლადბახის „ბორუსია" კი ვოლფსბურგში დამუხრუჭდა (0:0). მოწინავე ოთხეულიდან მხოლოდ „დორტმუნდმა" შეძლო სამი ქულის მოპოვება (2:0 ნიურნბერგში) და ცხრილს სათავეში ერთპიროვნულად სწორედ **იურგენ კლოპის** ბიჭები ჩაუდგნენ.

უშუალოდ დორტმუნდის კუთხით კი, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა უდავოდ **ლუკას ბარიოსის** გოლია. 27 წლის არგენტინელ გოლეადორს აქამდე ერთი გოლიც კი არ ჰქონდა გატანილი, რადგან სეზონი ტრავმით დაიწყო და ძირითადი შემადგენლობიდანაც ამოვარდა. ლუკასს



მიუნხენელებს ჰამბურგში ხასიათიც წაუხდათ და ლიდერობაც დაკარგეს

ამის გამო დორტმუნდიდან წასვლა უნდოდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა, BVB-ში დარჩა და აი, პარასკევს პირველი გოლიც შეაგდო. შესაბამისად, მისი ზეიმი ძალიან ემოციური იყო: ლუკასი დორტმუნდელ ფანებთან მიიჭრა და მუშტებს მკერდზე ისე იბრაგუნებდა, იფიქრებდით, ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ არისო – მონატრებულმა გოლმა ბარიოსი რამდენიმე წამით ჭკუიდან შეშალა!

მატჩის შემდეგ გაირკვა, რომ ბარიოსი „ბორუსიაში" თავისი სურვილით დარჩა. დორტმუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** თქვა, სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს ინგლისურმა „ფულჰემმა" ისეთი წინადადებით მოგვმართა, რომ ჩვენ უკვე თანახმა ვიყავით, მაგრამ BVB-დან წასვლა ბოლოს თავად ლუკასმა იუარაო. ეს თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა: *„თანაგუნდელები და ფანები სულ მეუბნებოდნენ, არ წახვიდეო. მეც ჩემს გულისთქმას მივენდე და გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი,* - თქვა ბარიოსმა მატჩის შემდეგ და იქვე დაამატა, - *ვარჯიშებზე თავს არ დავზოგავ და ვიცი, რომ მწვრთნელი ამას დამიფასებს."*

ცხადია, კლოპიც გახარებულია, ლუკასი დორტმუნდში რომ დარჩა და ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე პირველი გოლიც გაიტანა.

■ ■ ■

კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ „დორტმუნდი" „ბაიერნზე" გაცილებით უკეთეს ფორმაშია: „ბორუსიამ" ჰამბურგში ამას წინათ 5:1 მოიგო, მიუნხენელებმა კი იქ მხოლოდ 1:1-ს მიაღწიეს და ლიდერობაც დაკარგეს. რომ არა „ჯოკერი" **ივიცა ოლიჩი**, „ბაიერნი" სულაც დამარცხდებოდა – რეკორდმაისტერს ქულა სწორედ შეცვლაზე შესულმა ხორვატმა თავდამსხმელმა გადაურჩინა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ბაიერნი" ამ სეზონში აქამდე მხოლოდ ერთხელ, მე-14 ტურის შემდეგ არ იყო ლიდერი...

ამიტომაც იყო ბავარიული გრანდის სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** გაბრაზებული – მეორე წრე ძალიან ცუდად დავიწყეთ, 3-ქულიანი უპირატესობა გავანიავეთ, ახლა 2-ქულიანი ჩამორჩენა გვაქვს და უკვე ცხადია, რომ მაგრად დავიწნეხეთო. „ჰამბურგმა" კი ქულა ნაღდად დაიმსახურა, რადგან ექსბაიერნელი **ტორსტენ ფინკის** ბიჭებმა საკმაოდ დისციპლინირებული ფეხბურთი ითამაშეს, თავდამსხმელმა **პაულო გერერომ** კი სულაც ასეთი რამ თქვა, სულელური გოლი მივილეთ, „ბაიერნმა" დღეს ფრეც კი არ დაიმსახურაო.

ჰამბურგის პუბლიკამ 20 წლის იტალიელი ფეხბურთელის, აქამდე ბევრისთვის უცნობი **ჯაკოპო სალას** ბრწყინვალე გოლით გაიხარა. ამ ბიჭს ახლავე გაგაცნობთ: სალა 15 წლის იყო, როცა ბერგამოდან ლონდონში გადასახლდა და „ჩელსის" ფორმა მოირგო. ზაფხულში ის „ჰამბურგში" ჩაიყვანეს და მას მერე თითქმის სულ ტრავმირებული გახლდათ, ახლა კი, მესამე თამაშში პირველი გოლი გაიტანა და თანაც როგორი – მაკრატელა! სიხარულისგან გაოგნებული ვარო, ამბობდა ახალგაზრდა იტალიელი მატჩის შემდეგ.

„ბაიერნში" არავის არაფერი გახარებია და აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში რეკორდმაისტერმა „ჰამბურგი" 5:0 გაანადგურა. *„ეს თამაში აუცილებლად უნდა მოგვეგო! „ჰამბურგთან" 1:1 არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირველ ადგილზე ვიყოთ. რაღაც გვაკლია, უფრო სწორად დაგვაკლდა – ზამთრის პაუზის შემდეგ,"* - ეს **არიენ რობენის** სიტყვებია. კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** კი უფრო კონკრეტულად ისაუბრა: *„იდეები არ გვქონდა, გადამწყვეტ პასებს ვერ ვაკეთებდით. ქულებს იოლად ვკარგავთ და ეს არ მომწონს."* ერთადერთი ბაიერნელი, რომელსაც ნამდვილად ვერ დავძრახავთ, ოლიჩია.

ყველაზე ნაღდი განცხადება ექსბაიერნელმა **შტეფან ეფენბერგმა** გააკეთა – რამდენიმე კვირაა, ვხედავთ, რომ ფეხბურთის თამაში დორტმუნდელებს ბაიერნელებზე მეტად სიამოვნებთო.

მართალია და ეს უკვე სატურნირო ცხრილზეც აისახა.

■ ■ ■

*„შალკე" შენს გვერდითაა, რუდი!"* - აი, ასეთი შინაარსის ტრანსპარანტი გადმოფინეს გელზენკირხენელმა ფანებმა „ფელტინს არენაზე" და იქვე იყო **რუდი ასაუერის** ყველაზე ცნობილი ფოტოც: რუდი უეფას თასით და სიგარით. ვისაც ეს სახელი და გვარი არაფერს ეუბნება, შევახსენებთ, რომ რუდი ასაუერი „შალკეს" ყოფილი, ამ გუნდის უახლესი ისტორიის ყველაზე წარმატებული შეფია, რომელიც ახლა ძალიან ავადაა და სიკვდილს ებრძვის. გელზენკირხენელ გულშემატკივრებს კი ძალიან უნდოდათ, რომ „მაინცთან" გამარჯვება სწორედ ასაუერისთვის მიეძღვნათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა: ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ, „შალკე" საკუთარ მოედანზე „მაინცთან" მხოლოდ 1:1-ს დასჯერდა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მაინცელთაგან გოლი **მოჰამედ ზიდანმა** გაიტანა – ეგვიპტელი თავდამსხმელი „სახლში" დორტმუნდიდან იმ კვირაში დაბრუნდა და კარნავალელებს პირველივე შეხვედრაში უმნიშვნელოვანესი გოლით შეეწია. „შალკეს" გოლიც ახალწვეულის ანგარიშზეა: „ჰოფენჰაიმიდან" ნაყიდმა **ჩინედუ ობასი ოგბუკემ** წონასწორობა 59-ე წუთზე აღადგინა.

■ ■ ■

ხანდახან „როლს როისიც" ვერ დადის ისე, როგორც ჩვენ გვინდა – მიონხენგლადბახელებს ვოლფსბურგში ბევრი არაფერი გამოუვიდათ, თუმცა თამაშის მოგება მაინც შეეძლოთ და გადამწყვეტ მომენტში „გლადბახის" ლიდერმა **მარკო როისმა,** როგორც ვამბობთ ხოლმე, ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. 22 წლის გარემარბი 69-ე წუთზე „ვოლფების" კიპერ **დიეგო ბენალიოსთან** პირისპირ დარჩა და რვა მეტრიდან კარს ააცილა. მარკოს ამის გამო ძალიან რცხვენოდა და საფინალო სასტვენის შემდეგ ყველას მოუბოდიშა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებულ მომენტში როისს კიდევ უფრო უკეთეს პოზიციაში მყოფი **ჰანკესთვის** შეეძლო პასის მიცემა. მატჩის შემდეგ ამ უკანასკნელმა თქვა, როისმა მეც მომიხადა ბოდიშიო. თუმცა მიონხენგლადბახელთა დამრიგებელი **ლუსიენ ფავრი** ქულითაც კმაყოფილი დარჩა – ვოლფსბურგში მოგება ხომ ყველას უჭირს, ფრე ჩვენთვის კარგი შედეგიაო.

„ვოლფსბურგის" მწვრთნელ-მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** კი თავისი რეკორდი კიდევ გააუმჯობესა – მოედანზე ახალწვეული **იბრაჰიმ სისოკო** რომ შეუშვა, ეს რიგით 36-ე ფეხბურთელი გახლდათ მათ შორის, ვინც „დესპოტმა ფელიქსმა" ამ სეზონში გამოიყენა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მაგათმა თავისი საუკეთესო თავდამსხმელი **მარიო მანჯუკიჩი** დასაჯა – ამ უკანასკნელმა წინა ტურის შემდეგ თქვა, „ვოლფსბურგიდან" წასვლაზე ვფიქრობო და როგორც ჩანს, არც ვარჯიშებზე მონდომა ისე, როგორც მაგათი ითხოვს. სწორედ ამიტომ, „მგლების" საუკეთესო გოლეადორი შაბათს 45 წუთის მანძილზე სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

■ ■ ■

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბერლინის „ჰერტა" კრიზისშია. დედაქალაქელებმა ახალი მწვრთნელის, **მიხაელ სკიბეს** ხელში მესამე თამაშიც წააგეს და უკვე აღარ ეხუმრებათ! „ჰანოვერთან" (0:1) გუნდის კაპიტანი ჩვენებური **ლევან კობიაშვილი** იყო და ცუდია, რომ ბერლინელები ამ თამაშშიც დამარცხდნენ. „ჰანოვერმა" კი ისევ ისე ითამაშა, როგორც თამაშობს ხოლმე და ისევ **მოჰამედ აბდელაუს** გოლით მოიგო. ნორვეგიელი ფორვარდის ანგარიშზე ამ სეზონში უკვე 11 გოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ გოლების ნახევარი სწორედ მას გააქვს. ამ გამარჯვებით **მირკო სლომკას** შეგირდები საუკეთესო ექვსეულს „სათოფეზე" მიუახლოვდნენ.

„ლევერკუზენმა" ვერც „შტუტგარტს" მოუგო (2:2) და უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ „ფარმაცევტები" ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებას უნდა დაემშვიდობონ. „შტუტგარტი" კი, თავის მხრივ, ევროპა ლიგის საგზურზე ოცნებას ეთხოვება. „აუგსბურგმა" „ჰოფენჰაიმთან" სასიცოცხლო მნიშვნელობის ფრეს მიაღწია – ეს გუნდი გადარჩენისთვის უკვე, როგორც იტყვიან, კბილებითა და ფრჩხილებით იბრძვის...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

10 თებერვალი: ვოლფსბურგი-ფრაიბურგი.
11 თებერვალი: ბორუსია (დ)-ლევერკუზენი, მაინცი-ჰანოვერი, ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი, ვერდერი-ჰოფენჰაიმი, შტუტგარტი-ჰერტა, ბორუსია (მ)-შალკე.
12 თებერვალი: აუგსბურგი-ნიურნბერგი, კიოლნი-ჰამბურგი.

### თურქეთი. სუპერლიგა.

XXV ტური

**ანთალია-ტრაბზონი 2:1**

გოლები: 1:0 ბოირაზი (3), 1:1 იუმლუ (19), 2:1 გიოქჩექი (76-პენ)

**გაზიანთეფი-გალათასარაი 1:2**

გოლები: 1:0 პოპოვი (50), 1:1 ათესი (53), 1:2 ელმანდერი (66)

**მერშინი-სივასი 1:5**

გოლები: 0:1 კარაკასი (8), 0:2 კილიჩი (49), 1:3 ტისდელი (50), 1:3 კარაკასი (56), 1:4 კილიჩი (63), 1:5 რაინოხი (90)

**ქაისერი-გენჩლერბირლიგი 2:3**

გოლები: 0:1 დემირი (27), 1:1 ტროისი (45), 1:2 თუმი (57), 2:2 რივეროსი (71), 2:3 ჟეცი (90)

**ფენერბაჰჩე-ბეშიქთაში 2:0**

გოლები: 1:0 იობო (14), 2:0 სოუ (90)

**ბურსა-ორდუ 0:0**

**ესქიშეჰირი-ბუიუქშეჰირი დღეს**

**ქარაბიუქი-სამსუნი დღეს**

**ანკარაგიუჯუ-მანიშა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 25 | 16 | 6 | 3 | 47-18 | 54 |
| 2. ფენერბაჰჩე | 25 | 15 | 6 | 4 | 41-24 | 51 |
| 3. ბეშიქთაში | 25 | 13 | 6 | 6 | 35-25 | 45 |
| 4. გენჩლერბირ. | 25 | 12 | 7 | 6 | 38-30 | 43 |
| 5. ტრაბზონი | 25 | 12 | 6 | 7 | 44-28 | 42 |
| 6. სივასი | 25 | 11 | 8 | 6 | 44-36 | 41 |
| 7. ესქიშეჰირი | 24 | 10 | 5 | 9 | 25-27 | 35 |
| 8. ბუიუქშეჰირი | 23 | 9 | 6 | 8 | 32-33 | 33 |
| 9. ქაისერი | 25 | 10 | 3 | 12 | 28-30 | 33 |
| 10. ანთალია | 25 | 8 | 8 | 9 | 23-25 | 32 |
| 11. ორდუ | 25 | 8 | 8 | 9 | 22-26 | 32 |
| 12. ბურსა | 25 | 7 | 9 | 9 | 27-27 | 30 |
| 13. მერშინი | 25 | 8 | 6 | 11 | 25-31 | 30 |
| 14. მანიშა | 24 | 6 | 8 | 10 | 24-29 | 26 |
| 15. გაზიანთეფი | 25 | 6 | 8 | 11 | 23-29 | 26 |
| 16. ქარაბიუქი | 23 | 6 | 3 | 14 | 27-41 | 21 |
| 17. სამსუნი | 24 | 4 | 8 | 12 | 23-37 | 20 |
| 18. ანკარაგიუჯუ | 24 | 2 | 5 | 17 | 17-49 | 11 |

**ბომბარდირები:** 25 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 11 – თუმი (გენჩლერბირლიგი), 9 – ელმანდერი (გალათასარაი), ენერამო (სივასი), ვებო (ბუიუქშეჰირი).

# უცხოური ფეხბურთი

## ჯენოა–ლაციო 3:2

**ჯენოა (4-3-3):** ფრეი – გრანკვისტი, მესტო, **კალაძე**, კონსტანტი – ბიონდინი, კუჩკა, იანკოვიჩი (85. ბირსა) – სკული (78. ბელუსკი), პალასიო, ჯილარდინო.

**ლაციო (4-4-2):** მარკეტი – კონკო, დიაკიტე, სტანკევიჩუსი (67. ბიავა), გარიდო (61. როცი) - ლულიჩი, ლედესმა, გონსალესი, მათუზალემი – როკი (16. კანდრევა), კლოზე.

**გოლები:** 1:0 პალასიო (9), 2:0 იანკოვიჩი (24), 3:0 იანკოვიჩი (46), 3:1 ლედესმა (53-პენ.), 3:2 გონსალესი (89).

**გაფრთხილება:** მესტო, კონსტანტი, კუჩკა, ბიონდინი – სტანკევიჩუსი, როცი.

**კუთხური:** 4-11; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 8(5)-15(8); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 22 000

## მილანი–ნაპოლი 0:0

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი (46. ამელია) – აბატე, მექსე, ტიაგო სილვა, ანტონინი – ემანუელსონი, ვან ბომელი, ნოჩერინო – ზეედორფი (76. ამბროზინი) – რობინიო (86. მაქსი ლოპესი), იბრაჰიმოვიჩი.

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – არონიკა (81. პანდევი), კანავარო, კამპანიარო – ცუნიგა, ჯემაილი (76. ინლერი), გარგანო, მაჯო – ლავეცი, ჰამშიკი – კავანი.

**გაფრთხილება:** მექსე, ემანუელსონი, ვან ბომელი, ზეედორფი – დე სანქტისი, კავანი.

**გაძევება:** იბრაჰიმოვიჩი (62. მილანი).

**კუთხური:** 12-8; **ჯარიმა:** 7-15; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 12(5)-8(1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 65 000

## რომა–ინტერი 4:0

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – ტადეი, ჟუანი, ჰაინცე, ანხელი – გაგო (71. სიმპლისიო), დე როსი, პიანიჩი – ტოტი, ლამელა (73. ბოიანი), ბორინი (80. პიშიტელა).

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი (67. ფარაონი), ლუსიო, სამუელი (46. კორდობა), ნაგატომო – პალომბო, კამბიასო, ძანეტი, ობი – მილიტო, პაცინი (46. პოლი).

**გოლები:** 1:0 ჟუანი (13), 2:0 ბორინი (41), 3:0 ბორინი (49), 4:0 ბოიანი (89).

**გაფრთხილება:** ტადეი, ჟუანი, დე როსი – მაიკონი, ფარაონი.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10(6)-3(2); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 50 000

## კიევო–პარმა 1:2

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, აჩერბი, ანდრეოლი, დრამე – ბრედლი, სამარკო (46. ლუჩანო), ვაჩეკი (77. პალოსკი) – თერეუ (70. სარდო) – პელისიერი, მოსკარდელი.

**პარმა (3-4-3):** პავარინი – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი – მარიგა, ვალიანი (63. ბიაბიანი), მორონე, გობი, გალოპა (10. მოდესტო) – ჯოვინკო (90. ოკაკა), ფლოკარი.

**გოლები:** 1:0 თერეუ (50), 1:1 ლუჩანო (69), 1:2 ჯოვინკო (90).

**გაფრთხილება:** ვალიანი, მარიგა (პარმა).

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 23-15; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11(7)-8(5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 8 000

## ფიორენტინა–უდინეზე 3:2

**ფიორენტინა (3-5-2):** ბორუცი – ნატალი, გამბერინი, ნასტასიჩი – კასანი, ბეჰრამი, მონტოლივო, პასკუალი, ლაძარი – ამაური, იოვეტიჩი.

**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, ფერონეტი, დომიცი – ბასტა (67. ტორიე), პაციენცა, ისლა, ფერნანდესი, არმერო – ფლორო ფლორესი (59. აბდი) - დი ნატალე.

**გოლები:** 0:1 დი ნატალე (14), 1:1 იოვეტიჩი (39-პენ.), 2:1 კასანი (56), 3:1 იოვეტიჩი (84-პენ.), 3:2 ტორიე (89).

**გაფრთხილება:** მონტოლივო, ლაძარი (ფიორენტინა).

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 4-8; **კარში დარტყმა:** 13(7)-11(7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 26 000

## იუვენტუსი–სიენა 0:0

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბარცალი, კიელინი, დე ჩელიე - მარკიზიო, პირლო, ვიდალი – პეპე (38. ჯაკერინი), მატრი (76. კვალიარელა), ვუჩინიჩი (61. ბორიელო).

**სიენა (3-5-2):** პეგოლო – ვიტიელო, ტერცი, როსეტინი – დელ გროსო, გაცი, ჯორჯი (69. რეჯინალდო), ვერგასოლა, ბრიენცა – კალაიო (56. გონსალესი), დესტრო (73. პარავიჩინი).

**გაფრთხილება:** ბარცალი, კიელინი, ბორიელო – პეგოლო, პარავიჩინი.

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12(7)-7(2); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 35 000

## ლეჩე–ბოლონია 0:0

**ლეჩე (3-5-2):** ბენასი (27. ჟულიო სერჟიო) – ოდო, ტომოვიჩი, კაროციერი - კუადრადო, ჯაკომაცი, დელვეკიო, ბლაზი, ბრივიო – მურიელი (68. ბოჟინოვი), დი მიკელე (79. მილიონიკო).

**ბოლონია (3-4-1-2):** ჟილე – რაჯი, პორტანოვა, ანტონსონი – პერესი, გარიჩი (90. კრესპო), მუდინგაი, მორლეო – რამირესი (64. აკვაფრესკა) – ტაიდერი (78. დიამანტი), დი ვაიო.

**გაფრთხილება:** ოდო, ბლაზი, დელვეკიო – პორტანოვა, ანტონსონი, პერესი, მორლეო, რამირესი.

**გაძევება:** კაროციერი (73. ლეჩე).

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 8(3)-5(2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 11 000

## ნოვარა–კალიარი 0:0

**ნოვარა (4-3-1-2):** უიკანი – დელაფიორე, ლიზუძო, ჩენტურიონი, გარსია – ჯემიტი (90. რუბინო), პორკარი, პეშე – რიგონი (70. ჯედა) – მასკარა (82. მორგანელა), კარაჩოლო.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, კანინი, ასტორი, აგოსტინი – კონტი, დესენა, ნაინგოლანი (78. ეკდალი) – რიბეირო (89. ლარივეი) – ელ ქაბირი (56. იბარბო), პინილია.

**გაფრთხილება:** მორგანელა (ნოვარა).

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 17-18; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 7(4)-10(1); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 11 000

## პალერმო–ატალანტა 2:1

**პალერმო (4-3-2-1):** ვივიანო - პიზანო, სილვესტრი, მანტოვანი, ბალცარეტი – ბერტოლო (71. ასკუა), ბარეტო, დონატი – ზაჰავი (67. ილიჩიჩი) – მიკოლი, ბუდანი (76. ვასკესი).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – რაიმონდი, ლუკინი, სტენდარდო, პელუზო – კარმონა, ჩიგარინი, სკელოტო (46. ბრიგი), მორალესი – გაბიადინი (77. მარილუნგო), ტირიბოკი (27. ფრეძოლინი).

**გოლები:** 1:0 მიკოლი (29), 2:0 ბუდანი (49), 2:1 მორალესი (56).

**გაფრთხილება:** მანტოვანი, ზაჰავი – რაიმონდი, ჩიგარინი, მორალესი.

**გაძევება:** კონსილი (27. ატალანტა)

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 13-24; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 19(10)-7(2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 26 000

**ჩეზენა-კატანია** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 21 | 12 | 9 | 0 | 33-13 | 45 |
| 2. მილანი | 22 | 13 | 5 | 4 | 43-19 | 44 |
| 3. უდინეზე | 22 | 12 | 5 | 5 | 33-20 | 41 |
| 4. ლაციო | 22 | 11 | 6 | 5 | 34-22 | 39 |
| 5. ინტერი | 22 | 11 | 3 | 8 | 34-29 | 36 |
| 6. რომა | 21 | 10 | 4 | 7 | 35-25 | 34 |
| 7. ნაპოლი | 22 | 7 | 10 | 5 | 36-24 | 31 |
| 8. პალერმო | 22 | 9 | 4 | 9 | 32-32 | 31 |
| 9. ჯენოა | 21 | 9 | 3 | 9 | 31-40 | 30 |
| 10. ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 23-19 | 28 |
| 11. პარმა | 21 | 7 | 6 | 8 | 27-34 | 27 |
| 12. კალიარი | 22 | 6 | 9 | 7 | 20-22 | 27 |
| 13. კიევო | 21 | 6 | 6 | 9 | 17-27 | 27 |
| 14. კატანია | 19 | 5 | 8 | 6 | 22-28 | 23 |
| 15. ატალანტა | 21 | 7 | 8 | 6 | 25-27 | 23 |
| 16. ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 18-26 | 22 |
| 17. სიენა | 21 | 4 | 8 | 9 | 21-22 | 20 |
| 18. ლეჩე | 22 | 4 | 5 | 13 | 22-38 | 17 |
| 19. ჩეზენა | 21 | 4 | 4 | 13 | 13-31 | 16 |
| 20. ნოვარა | 21 | 2 | 7 | 12 | 18-40 | 13 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

ბომბარდირები: 16 – დი ნატალე (უდინეზე); 15 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 12 - დენისი (ატალანტა), კავანი (ნაპოლი), კლოზე (ლაციო), მილიტო (ინტერი), პალასიო (ჯენოა), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

## სერია B. XXVI ტური

**ალბინოლეფე-ვარეზე** 1:2

გოლი: 0:1 გრანუჩე (4), 1:1 ჯერმინალე (45), 1:2 გრანუჩე (62).

**ემპოლი-კროტონე** 1:1

**გოლები:** 0:1 სანსონე (13), 1:1 ბუშე (73).

**გროსეტო-სამპდორია** 0:1

**გოლი:** 0:1 ფოჯა (66).

**იუვე სტაბია-ლივორნო** 1:2

**გოლები:** 1:0 კაზერტა (10), 1:1 პაულინიო (20), 1:2 დიონისი (22).

**ნოჩერინა-ბარი** 1:1

**გოლები:** 0:1 კაპუტო (33), 1:1 მერინო (78).

**ვიჩენცა-ჩიტადელა** 1:4

**გოლები:** 0:1 ნარდო (23), 0:2 კარმინე (50), 0:3 კარმინე (55), 0:4 რობერტო (61), 1:4 პაოლუჩი (90).

**პადოვა-ვერონა** 0:0
**გუბიო-მოდენა** გადაიდო
**პესკარა-რეჯინა** გადაიდო
**სასუოლო-ასკოლი** გადაიდო
**ბრეშა-ტორინო** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პესკარა | 25 | 16 | 3 | 6 | 55-36 | 51 |
| 2. სასუოლო | 25 | 14 | 8 | 3 | 34-17 | 50 |
| 3. ტორინო | 25 | 14 | 8 | 3 | 29-15 | 50 |
| 4. ვერონა | 26 | 14 | 6 | 6 | 34-25 | 48 |
| 5. პადოვა | 26 | 13 | 6 | 7 | 38-28 | 45 |
| 6. ვარეზე | 26 | 11 | 8 | 7 | 33-25 | 41 |
| 7. რეჯინა | 25 | 9 | 9 | 7 | 41-32 | 36 |
| 8. ბარი | 26 | 10 | 8 | 8 | 31-28 | 36 |
| 9. ბრეშა | 25 | 9 | 8 | 8 | 27-26 | 35 |
| 10. სამპდორია | 25 | 7 | 13 | 5 | 30-21 | 34 |
| 11. ჩიტადელა | 26 | 9 | 7 | 10 | 32-34 | 34 |
| 12. იუვე სტაბია | 26 | 10 | 7 | 9 | 36-34 | 33 |
| 13. გროსეტო | 26 | 8 | 9 | 9 | 26-34 | 33 |
| 14. ლივორნო | 26 | 7 | 8 | 11 | 28-30 | 29 |
| 15. ვიჩენცა | 26 | 6 | 9 | 11 | 29-37 | 27 |
| 16. კროტონე | 26 | 6 | 9 | 11 | 26-34 | 27 |
| 17. მოდენა | 24 | 5 | 9 | 10 | 25-40 | 24 |
| 18. ემპოლი | 25 | 6 | 5 | 14 | 29-41 | 23 |
| 19. ალბინოლეფე | 25 | 5 | 8 | 12 | 27-40 | 23 |
| 20. გუბიო | 25 | 5 | 8 | 12 | 24-37 | 23 |
| 21. ასკოლი | 25 | 8 | 5 | 12 | 28-34 | 22 |
| 22. ნოჩერინა | 26 | 3 | 9 | 14 | 33-47 | 18 |

*შენიშვნა: ასკოლი – 7 ქულა, იუვე სტაბია - 4, ბარი – 2, კროტონე - 1 ქულა.*

**ბომბარდირები:** 17 – იმობილე (პესკარა); 15 – გ. სანსონე (სასუოლო); 13 – ტავანო (ემპოლი), საუ (იუვე სტაბია), აბრუსკატო (ვიჩენცა); 12 – სანსოვინი (პესკარა), 11 – სფორცინი (გროსეტო).

## ლეგა პრო 1/B

**ფოჯა-კომო 1:2, კარპი-ტერნანა 1:1, ფოლინო-რეჯანა 1:1, პავია-მონცა 0:0, პრო ვერჩელი-ბენევენტო 3:0, სორენტო-აველინო 2:0, ტრიტიუმი-პიზა 0:0, ვიარეჯო-ტარანტო 0:0.**

## ლეგა პრო 1/B

**ანდრია-ტრაპანი 1:2, კარარეზე-ტრიესტინა 3:0, ლატინა-ბარლეტა 1:1, პერგოკრემა-პრატო 0:0, სირაკუზა-ფერალპიზალო 1:0, სპეცია-კრემონეზე 0:0, ლანჩანო-ფროზინონე გადაიდო, ბასანო-სუდტიროლი დღეს.**

## იტალია. სერია A. XXII ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფაბიო ბორინი და ნაწყენი ინტერი

# ლიდერთა შავი დღე

## ინტერისთვის მთლად უკუნი

იშვიათი ამბავი მოხდა სერია A-ს XXII ტურში – სატურნირო ცხრილის პირველ ხუთეულში მყოფი გუნდებიდან გამარჯვება ვერც ერთმა ვერ მოიპოვა და შესაბამისად, ცხრილის ზედა ნაწილში ბევრი არაფერი შეცვლილა. თუმცა, გარკვეული დასკვნების გამოტანა მაინც შეგვიძლია – მაგალითად ის, რომ "იუვენტუსმა" თურმე შეიძლება დაკარგოს ქულები ქვედა ეშელონის გუნდებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიდერის მდევრებს შანსი კიდევ მიეცემათ; უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ "მილანს" სერიოზული თუ არა, მცირე ჩავარდნა მაინც აქვს და თუ **მასიმილიანო ალეგრიმ** დროზე არ იპოვა გამოსავალი, გუნდის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება; შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ "უდინეზესა" და "ლაციოსთვის" სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ ადრეა, "ინტერს" კი მაქსიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურზე შეუძლია ოცნება.... თუმცა, აქ ჩვენივე თავს შევეწინააღმდეგეთ – ერთი მხრივ, "იუვეს" კონკურენტებს დავუტოვეთ შანსი და იქვე, "უდინეზეს", "ლაციოს" და "ინტერს" ყველანაირი იმედები გადავუწურეთ – ანუ, უნდა გვეთქვა, რომ "იუვეს" ერთადერთ კონკურენტს, "მილანს" მიეცემა შანსი, გუნდს, რომელსაც თავის მხრივ, მცირე ჩავარდნა აქვს...

■ ■ ■

აი ამ ჩახლართული ანალიზის შემდეგ, კონკრეტულ შეხვედრებზე გადავიდეთ და თავდაპირველად "სან სიროზე" შევიხედოთ. ალეგრიმ ბევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, **სტეფან ელ შაარავი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა, შეტევის წინა ხაზზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩს რობინიო** შეუწყვილა, ფორვარდთა უკან კი **კლარენს ზეედორფი** გაამწესა. რაც შეეხება "ნაპოლის", გარკვეული პაუზის შემდეგ, **ვალტერ მაძარიმ** პირველად შეძლო სამი ტენორის, გნებავთ დიდი სამეულის მოედანზე ერთად გაყვანა – აქვე ვთქვათ, რომ **ლავეცი-ჰამშიკი-კავანის** ტრიო ურიგოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ციდან ვარსკვლავები მოწყვიტეს. აი მილანელმა შემტევებმა კი აშკარად შეირცხვინეს თავი – რობინიომ ტრადიცია არ დაარღვია და ერთი 100%-იანი მომენტი გაუშვა ხელიდან, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კი გასული სეზონის გმირობები გაიხსენა და არასპორტული საქციელისთვის გააძევეს. თამაში მთლიანობაში ნელ ტემპში წარიმართა, მომენტებიც პრაქტიკულად არ შექმნილა და სათქმელი ბევრი არაფერი გვაქვს – "მილანმა" უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა, "ნაპოლისთვის" კი მილანური ფრე შესაძლოა კრიზისიდან ამოსვლის საფუძველი გახდეს.

■ ■ ■

ბრწყინვალე შანსი გაუშვა ხელიდან "იუვენტუსმა", რომ ლიდერობა კიდევ უფრო განემტკიცებინა – თავად განსაჯეთ, ტურინელებს რომ საკუთარ კედლებში "სიენა" დაემარცხებინათ, "მილანს" მთელი სამი ქულით გაუსწრებდნენ და თუ ამას იმ გადადებულ შეხვედრასაც დავუმატებთ, "იუვეს" უპირატესობა უკვე საგრძნობი გახდებოდა. **ანტონიო კონტეს** გუნდმა მთელი 90 წუთი შეტევებში გალია, მაგრამ ბურთმა არაფრით ინება კარის ხაზის გადაკვეთა – კონტეს მუდმივად თავში ჰქონდა ხელები წაშენილი და სავარაუდოდ, გაფუჭებული მომენტების რაოდენობას ითვლიდა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ **ალესანდრო მატრის** საოცრად კარგად ეხერხება ბოძებული შანსების ხელიდან გაშვება – მარტო მას, მინიმუმ ჰეთთრიკის შესრულება შეეძლო. ერთი სიტყვით, "იუვემ" ვერაფრით გაუტანა "სიენას" და ტრიბუნებზე შეკრებილი 35 000 გულშემატკივარი გაწბილებული დატოვა.

■ ■ ■

გაწბილება თქვენ "ინტერის" ქომაგების უნდა იკითხოთ – **კლაუდიო რანიერის** გუნდი რომში ჩავიდა და ჯობდა არ ჩასულიყო – საწყალ **ჟულიო სეზარს** ოთხჯერ გამოატანინეს ბურთი საკუთარი კარიდან, მაშინ, როდესაც თვითონ მილანელებმა შეტევაში ხეირიანი ვერაფერი შექმნეს. დიახ, 4:0 დედაქალაქელთა სასარგებლოდ... **ლუის ენრიკე** ნამატჩევს ემოციებს ვერ მალავდა:

*"ეს იყო იდეალური ფეხბურთი ჩემი გუნდის შესრულებით და მე ამით ამაყი ვარ. შეგირდებმა ჩემი ყველა დავალება შეასრულეს და შედეგიც სახეზეა. "ინტერს" სულაც არ ჩაუტარებია ურიგო შეხვედრა, უბრალოდ, ჩვენ ვიყავით შეუჩერებელნი. დარწმუნებული ვარ, დღეს აბსოლუტურად ყველა მეტოქეს დავამარცხებდით".*

ანგარიში **ჟუანმა** გახსნა, კუთხურზე ჩავიდა მეტოქის საჯარიმოში და თავური დარტყმით თანამემამულე კიპერი უშანსოდ დატოვა, 1:0. ტაიმის მიწურულს **ფაბიო ბორინი** შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, **ვალტერ სამუელს** შესანიშნავად აუარა გვერდი და უზუსტესი დარტყმით რომაელთა უპირატესობა ორამდე გაზარდა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც იგივე ბორინი მეკარესთან პირისპირ დარჩა და შანსი ხელიდან აღარ გაუშვა, 3:0. და ბოლოს, თავისი გოლი შეცვლაზე შესულმა **ბოიან კრკიჩმაც** გაიტანა – სამი მილანელი მცველის გარემოცვაში დაიმორჩილა ბურთი, დასარტყმელ პოზიცაზე გავიდა და ზუსტადაც დაუბათქუნა, 4:0. ასეთ ანგარიშს ნამდვილად არავინ მოელოდა, თვითონ რომაელებიც კი გაკვირვებულნი ჩანდნენ.

■ ■ ■

წააგეს მესამე და მეოთხე ადგილზე მყოფმა გუნდებმაც, თანაც ერთნაირი ანგარიშით. "ლაციო" 3:0-ს აგებდა გაძლიერებულ "ჯენოასთან", შემდეგ ორი გაუტანა, მაგრამ მეტი ველარ შეძლო და დამარცხდა. 'უდინეზემ" **ანტონიო დი ნატალეს** გოლით გახსნა ანგარიში ფლორენციაში, მაგრამ შემდეგ მიჯრით გაუშვა სამი და გაცხადდა კიდეც, რომ ფრიულელებს ქულის ალება ალარ ეწერათ. თამაშის მიწურულს ერთი ბურთი გაქვითეს, მაგრამ წახდენილ საქმეს ამან ველარ უშველა. "ფიორენტინამ" მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა. სულ ეს იყო, დანარჩენზე სტატისტიკა მოგითხრობთ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

## მომდევნო ტური და გადადებული მატჩები

7 თებერვალი: კატანია-რომა
9 თებერვალი: ლაციო-ჩეზენა
11 თებერვალი: **უდინეზე-მილანი, კალიარი-პალერმო; 12 თებერვალი: პარმა-ფიორენტინა, კატანია-ჯენოა, ატალანტა-ლეჩე, ინტერი-ნოვარა, ბოლონია-იუვენტუსი.**
13 თებერვალი: **ნაპოლი-კიევო, სიენა-რომა; 15 თებერვალი: ატალანტა-ჯენოა, პარმა-იუვენტუსი.**
17 თებერვალი: **ინტერი-ბოლონია, ფიორენტინა-ნაპოლი.**

## ჰოლანდია. ერედივიზიონი.

XX ტური

**ჰეერენვეენი-როდა** 4:3

გოლები: 1:0 დოსტი (5), 1:1 მალკი (9), 2:1 ჯანმაატი (16), 2:2 მალკი (44), 2:3 ბულე (51), 3:3 სიბონი (63), 4:3 დოსტი (70).

**ექსელსიორი-ვენლო** 3:1

**გოლები:** 1:0 შენკეველდი (30), 2:0 შენკეველდი (68), 3:0 მაატსენი (73), 3:1 ვილდშუტი (85).

**ვიტესი-ბრედა** 1:0

**გოლი:** 1:0 ჰოფსი (20).

**აიაქსი-უტრეხტი** 0:2

**გოლი:** 0:1 დუპლანი (40), 0:2 დუპლანი (78).

**ჰერაკლესი-პსვ** 1:1

**გოლები:** 0:1 ლაბადი (19), 1:1 ევერტონი (76).

**ნიიმეგენი-ფეიენოორდი** 0:2

**გოლები:** 0:1 ბაკალი (6), 0:2 ფერნანდესი (48).

**გრონინგენი-ვაალვიკი** 0:3

**გოლები:** 0:1 ვოორდე (3 პენ.), 0:2 ანდერსონი (6 ს.კ), 0:3 რამოსი (64).

**დე გრააფსხაპი-ტვენტე** გადაიდო
**დენ ჰააგი-ალკმაარი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 20 | 12 | 6 | 2 | 53:22 | 42 |
| 2. ტვენტე | 19 | 11 | 6 | 2 | 52:19 | 39 |
| 3. ალკმაარი | 19 | 12 | 3 | 4 | 37:18 | 39 |
| 4. ჰერენვენი | 20 | 10 | 7 | 3 | 47:31 | 37 |
| 5. ფეიენოორდი | 20 | 11 | 4 | 5 | 41:26 | 37 |
| 6. აიაქსი | 20 | 9 | 7 | 4 | 49:30 | 34 |
| 7. ვიტესი | 20 | 9 | 5 | 6 | 25:20 | 32 |
| 8. გრონინგენი | 20 | 8 | 5 | 7 | 32:36 | 29 |
| 9. როდა | 20 | 9 | 1 | 10 | 37:45 | 28 |
| 10. ჰერაკლესი | 20 | 6 | 6 | 8 | 32:28 | 24 |
| 11. ვაალვიკი | 20 | 7 | 3 | 10 | 24:33 | 24 |
| 12. ნიიმეგენი | 20 | 7 | 2 | 11 | 20:29 | 23 |
| 13. ბრედა | 20 | 6 | 4 | 10 | 25:33 | 22 |
| 14. დენ ჰააგი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:36 | 22 |
| 15. უტრეხტი | 20 | 5 | 6 | 9 | 31:38 | 21 |
| 16. ექსელსიორი | 20 | 3 | 5 | 12 | 15:45 | 14 |
| 17. დე გრააფსხ. | 19 | 3 | 4 | 12 | 17:42 | 13 |
| 18. ვენლო | 20 | 3 | 4 | 13 | 19:50 | 13 |

**ბომბარდირები:** 19 – დოსტი (ჰეერენვეენი); 15 – დე იონგი (ტვენტე); 14 - გუიდეტი (ფეიენოორდი), მერტენსი (პსვ), მალკი (როდა). 11 – მატავუი (პსვ), სულეიმანი (აიაქსი), ტოივონენი (პსვ).

## ბილბაო-ესპანიოლი 3:3

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, სან ხოსე, აურტენეჩე - ი. პერესი (46. ანდერი), იტურასპე, დე მარკოსი - დ. ლოპესი (46. სუსაეტა), ფ. ლორენტე (75. ტოკერო), მუნიაინი.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი (81. კალუ უჩე), რომარიკი - კოუტინიო (65. ტიევი), ვერდიუ, ვეისი - რუი ფონტე (73. ალბინი).

**გოლები:** 1:0 დე მარკოსი (25), 1:1 რომარიკი (32), 1:2 ვეისი (47), 2:2 ფ. ლორენტე (57), 3:2 ხ. მარტინესი (64), 3:3 ალბინი (92)

**გაფრთხილება:** მუნიაინი, ლოპესი, იტურასპე, ანდერი, მარტინესი - ფორლინი, ალბინი, ვეისი

**კუთხური:** 13-4; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 20-16 (7-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 38 000

## ლევანტე-რასინგი 1:1

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, დელ ორნო, ხუანფრანი - ხ. ტორესი (70. პალიარდო), ფარინოსი - ელ ჟარი, რ. სუარესი (75. ღეზალი), ბოტელიო (64. ვალდო) - კონე.

**რასინგი (4-2-3-1):** მ. ფერნანდესი - ალვარო, ტორეხონი, ბერნარდო, კრისტიანი - დიოპი, ადრიანი - არანა, სამპერიო (91. ხ. ლუკე), მუნიტისი (55. აკოსტა) - სტუანი.

**გოლები:** 1:0 კონე (23), 1:1 არანა (61)

**გაფრთხილება:** ტორესი, ხუანფრანი - ალვარო

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 13-8; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 14-15 (6-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 7 600

## მალიორკა-ბეტისი 1:0

**მალიორკა (4-4-2):** კალატაიუდი - სენდროსი (67. ნუნიეში), ჩიკო, რამისი, პ. კასერესი - პერეირა, პინა (83. ჟოაო ვიქტორი), მარტი, გ. კასტრო - ვიქტორი, ჰემედი (62. ოგუნჯიმი).

**ბეტისი (4-4-2):** კასტრო - ჩიკა (46. მონტერო), მარიო, პაულაუ, ა. მარტინესი - ხუანმა, ირინეი (53. ბენატი), კანიასი, რ. კასტრო - სანტა კრუსი, პოსუელო (77. სევილია).

**გოლი:** 1:0 გ. კასტრო (23)

**გაფრთხილება:** რამისი, მარტი, კასერესი, ვიქტორი - მარიო, ირინეი

**გაძევება:** რამისი (86), ვიქტორი (90) - მარიო (75)

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 22-8; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 11-6 (4-1); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 13 000

## ხეტაფე-რეალი 0:1

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, კატა დიასი, მ. ტორესი, მასილელა - ხ. როდრიგესი, კასკერო (64. ლასენი) - რიოსი (57. გავილანი), ბარადა (69. არისმენდი), დ. კასტრო - მიკუ.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, კოენტრაო - დიარა, ჩაბი ალონსო - იოზილი (87. გრანერო), კაკა (62. კალეხონი), რონალდო - ბენზემა (72. იგუაინი).

**გოლი:** 0:1 სერხიო რამოსი (17)

**გაფრთხილება:** როდრიგესი, დიასი, კასკერო, მიკუ, არისმენდი, მასილელა

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-9; **კარში დარტყმა:** 5-14 (0-5); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 13 000

## ბარსელონა-სოსიედადი 2:1

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პუიოლი (75. აბიდალი), ადრიანო - ტ. ალკანტარა, ჯონათან დოს სანტოსი (75. ბუსკეტსი (83. პიკე)), ფაბრეგასი - კუენკა, მესი, ტელიო.

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, კადამურო - ბერგარა, არანბურუ - ჩაბი პრიეტო (83. აგირეჩე), პარდო (76. ხ. ლორენტე), გრიზმანი - იფრანი (57. ველა)

**გოლები:** 1:0 ტელიო (8), 2:0 მესი (72), 2:1 ველა (73)

**გაფრთხილება:** ი. მარტინესი, ლორენტე

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 18-8 (9-5); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 89 000

## სპორტინგი-ოსასუნა 1:1

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა, ბოტია (61. ი. ერნანდესი), გრეგორი, კანელია - რივერა, ნაჩო კასესი - დე ლას კუევასი (66. კოლუნგა), ანდრე კაშტრო, კარმელო - ბარალი (70. ეგურენი).

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, სერხიო, ფლანიო, სატრუსტეგი - პუნიალი, ნეკუნამი - დამია (46. ნინო), რ. გარსია, ტიმორი (66. კალეხა) - ლეკიჩი (87. ლოლო).

**გოლები:** 1:0 კარმელო (32), 1:1 ლეკიჩი (77)

**გაფრთხილება:** ბარალი, გრეგორი - პუნიალი, ტიმორი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 11-13 (5-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 18 500

## სევილია-ვილიარეალი 1:2

**სევილია (4-4-2):** ვარასი - კოკე (46. რეიესი), ფასიო, ესკუდე, ფ. ნავარო - ხესუს ნავასი, მედელი (46. ტროხოვსკი), რაკიტიჩი, დელ მორალი - კანუტე, ნეგრედო.

**ვილიარეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო, მუსაჩიო, ხ. ორიოლი - სენა, ბრუნო - კანი (82. მარჩენა), ბ. ვალერო (92. მარტინუჩიო), კამუნიასი - ხოსელუ (72. პერესი).

**გოლები:** 0:1 ბ. ვალერო (22), 1:1 ბრუნო (34 ს.კ.), 1:2 კამუნიასი (81)

**გაფრთხილება:** კოკე, ესკუდე - ბრუნო, გონსალო, კამუნიასი, კანი, ორიოლი

**გაძევება:** ორიოლი (92)

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 20-16 (8-8); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 34 000

## სარაგოსა-ვალეკანო 1:2

**სარაგოსა (4-4-2):** რობერტო - ლანძარო, და სილვა, პარედესი, ობრადოვიჩი - რუბენ მიკაელი (46. ლაფიტა), დუიმოვიჩი (61. მატეოსი), აპონიო, ლუის გარსია - არანდა (65. ხუან კარლოსი), პოშტიგა.

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** ხოელი - ტიტო, არიბასი, პულიდო, კასადო - მოვილია, ფუეგო - ტრაშორასი (26. არმენტეროსი), მიჩელი (83. პიტი), მიჩუ - რაიკო (46. დ. კოშტა)).

**გოლები:** 1:0 პოშტიგა (32), 1:1 დიეგო კოშტა (74), 1:2 მიჩუ (81)

**გაფრთხილება:** არანდა, ლუის გარსია, ლანძარო, პარედესი, ხუან კარლოსი, ობრადოვიჩი - პულიდო, მიჩუ, კოშტა

**კუთხური:** 5-11; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 10-9 (3-4); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 18 000

## ატლეტიკო-ვალენსია 0:0

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი (56. დომინგესი), ფილიპე ლუიში - ტიაგო, გაბი - ადრიან ლოპესი, დიეგო (80. კოკე), არდა თურანი (79. სალვიო) - ფალკაო.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - მიგელი, რამი, რუისი, მატიო (82. ბერნატი) - ალბელდა, ტ. კოსტა - პ. ერნანდესი, პიატი (67. ჟონასი), ალბა - სოლდადო (62. ადურისი).

**გაფრთხილება:** მირანდა, ფალკაო - დიეგო ალვეში, რუისი, ალბელდა

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 25-21; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9-7 (3-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 49 500

**გრანადა-მალაგა** დღეს; 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 21 | 18 | 1 | 2 | 71-19 | 55 |
| 2. ბარსელონა | 21 | 14 | 6 | 1 | 61-13 | 48 |
| 3. ვალენსია | 21 | 10 | 7 | 4 | 32-23 | 37 |
| 4. ლევანტე | 21 | 9 | 5 | 7 | 27-25 | 32 |
| 5. ესპანიოლი | 21 | 9 | 5 | 7 | 25-24 | 32 |
| 6. ბილბაო | 21 | 7 | 9 | 5 | 33-28 | 30 |
| 7. ატლეტიკო | 21 | 8 | 6 | 7 | 32-28 | 30 |
| 8. მალაგა | 20 | 8 | 4 | 8 | 24-29 | 28 |
| 9. ოსასუნა | 21 | 6 | 10 | 5 | 23-33 | 28 |
| 10. ხეტაფე | 21 | 7 | 6 | 8 | 22-27 | 27 |
| 11. სევილია | 21 | 6 | 8 | 7 | 22-24 | 26 |
| 12. ვალეკანო | 21 | 7 | 4 | 10 | 25-32 | 25 |
| 13. მალიორკა | 21 | 6 | 7 | 8 | 18-25 | 25 |
| 14. სოსიედადი | 21 | 6 | 6 | 9 | 23-30 | 24 |
| 15. ბეტისი | 21 | 7 | 2 | 12 | 23-30 | 23 |
| 16. ვილიარეალი | 21 | 5 | 8 | 8 | 20-29 | 23 |
| 17. რასინგი | 21 | 4 | 10 | 7 | 18-26 | 22 |
| 18. გრანადა | 20 | 6 | 4 | 10 | 14-27 | 22 |
| 19. სპორტინგი | 21 | 5 | 4 | 12 | 20-39 | 19 |
| 20. სარაგოსა | 21 | 2 | 6 | 13 | 16-38 | 12 |

**ბომბარდირები:** 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 23 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო), გონსალო იგუაინი (რეალი); 12 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 11 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 10 - ქარიმ ბენზემა (რეალი).

## სეგუნდა დივიზიონი. XXIII ტური

**ვილიარეალი II-ბარსელონა II** 0:0

გაძევება: ხაუმე (72. ვილიარეალი)

**უელვა-დეპორტივო** 0:1

გოლი: 0:1 ვალერონი (16)

**ალმერია-კორდობა** 2:1

**გოლები:** 0:1 ბ. გარსია (40), 1:1 კორონა (69), 2:1 ხ. ორტისი (90)

**სელტა-მურსია** 1:0

გოლი: 1:0 ორელიანა (64)

**ელჩე-ხირონა** 1:0

გოლი: 1:0 ჩუმეტრა (53)

**უესკა-საბადელი** 0:0

**ნუმანსია-ალკოიანო** 2:0

**გოლები:** 1:0 ნატალიო (23), 2:0 დე სერიო (62)

**ხერესი-ალკორკონი** 2:2

**გოლები:** 0:1 სალესი (10), 1:1 ი. ველესი (63), 1:2 კორდერო (70 ს.კ.), 2:2 ი. ველესი (89)

**ლას პალმასი-გვადალახარა** 3:2

**გოლები:** 1:0 ვიტოლო (5), 1:1 ჯონი (43), 1:2 ი. მორენო (50), 2:2 ვიერა (89), 3:2 დ. გონსალესი (90-პენ)

**გაძევება:** ა. მორენო (88. გვადალახარა), ვიერა (89. ლას პალმასი)

**კარტახენა-ერკულესი** 0:3

**გოლები:** 0:1 კალვო (15), 0:2 არბილია (25), 0:3 მიჩელი (72-პენ)

**ვალიადოლიდი-ხიმნასტიკი** 4:0

**გოლები:** 1:0 ოსკარი (21), 2:0 ოსკარი (37), 3:0 ოსკარი (45), 4:0 ხ. გუერა (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 23 | 15 | 3 | 5 | 37-24 | 48 |
| 2. ვალიადოლიდი | 23 | 12 | 9 | 2 | 38-18 | 45 |
| 3. სელტა | 23 | 13 | 4 | 6 | 37-19 | 43 |
| 4. ალმერია | 23 | 11 | 9 | 3 | 38-23 | 42 |
| 5. ერკულესი | 23 | 13 | 3 | 7 | 27-18 | 42 |
| 6. ელჩე | 23 | 12 | 4 | 7 | 38-22 | 40 |
| 7. კორდობა | 23 | 10 | 7 | 6 | 24-17 | 37 |
| 8. ნუმანსია | 23 | 8 | 9 | 6 | 28-24 | 33 |
| 9. მურსია | 23 | 9 | 6 | 8 | 28-29 | 33 |
| 10. ალკორკონი | 23 | 8 | 8 | 7 | 28-26 | 32 |
| 11. ბარსელონა II | 23 | 8 | 7 | 8 | 36-32 | 31 |
| 12. ლას პალმასი | 23 | 8 | 7 | 8 | 31-31 | 31 |
| 13. უელვა | 23 | 8 | 5 | 10 | 29-26 | 29 |
| 14. საბადელი | 23 | 7 | 8 | 8 | 27-39 | 29 |
| 15. გვადალახარა | 23 | 8 | 5 | 10 | 25-38 | 29 |
| 16. ხერესი | 23 | 6 | 6 | 11 | 24-32 | 24 |
| 17. ვილიარეალი II | 23 | 5 | 8 | 10 | 29-36 | 23 |
| 18. ალკოიანო | 23 | 5 | 8 | 10 | 23-35 | 23 |
| 19. კარტახენა | 23 | 4 | 8 | 11 | 15-29 | 20 |
| 20. უესკა | 23 | 4 | 7 | 12 | 24-38 | 19 |
| 21. ხირონა | 23 | 3 | 8 | 12 | 23-37 | 17 |
| 22. ხიმნასტიკი | 23 | 3 | 7 | 13 | 18-33 | 16 |

**ბომბარდირები:** 17 - ულოა (ალმერია); 10 - კამაჩო (უესკა), ხოსელუ (ვილიარეალი); 9 - პაუელი (ხიმნასტიკი), ანხელი (ელჩე), ხ. გუერა (ვალიადოლიდი).

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXI ტური

# შავი კატა და ბარსელონა

## თრილერი კათედრალზე, ტელიოს სადებიუტო გოლი და არბიტრები, არბიტრები...

**„კამპ ნოუზე" მატჩის პირველ ტაიმში მოულოდნელად, მოედანი შავმა კატამ გადაჭრა (არ ვხუმრობთ, ფოტომტკიცებულებაც გვაქვს) და... არა, „ბარსას" დაუგეგმავი ქულები არ დაუკარგავს, მაგრამ გუნდის ნახევარმცველმა სერხიო ბუსკეტსმა მძიმედ სანახავი ტრავმა კი მიიღო ბასკ კარლოს მარტინესთან ორთაბრძოლაში (ნახეთ, ფოტოზე, რა დღეშია ესპანელის მუხლი), მაგრამ, საბედნიეროდ, სულ ბოლო მონაცემით ისე არ წვიმს, როგორც ქუხს - ტრავმა ძალიან სერიოზული არ აღმოჩნდა. ტურის მიმოხილვას კი საუკეთესო მატჩით დავიწყებთ, რომელშიც არც „ბარსა" მონაწილეობდა და არც „რეალი".**

■ ■ ■

„სან მამესი" ესპანეთის უძველესი სტადიონი და საფეხბურთო გურმანთა უსაყვარლესი ადგილია, მას ტყუილად არ უწოდებენ „საფეხბურთო კათედრალს". ბასკურ ბასტიონს ბევრი სუპერმატჩი უნახავს, ერთ-ერთი ამათგანი კი შაბათის 6-გოლიანი თრილერი იყო „ბილბაოსა" და „ესპანიოლს" შორის.

ჩემპიონთა ლიგის ბოლო, მე-4 ადგილისთვის დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. იქ ჯერ „ლევანტეა", მაგრამ ყველა ხვდება, რომ ეს დროებითია. აი, „ბილბაო" და „ესპანიოლი" უშუალო კონკურენტები არიან და **მაურისიო პოჩეტინოს** გუნდმა სასწაულებრივ წაიღო ქულა ბასკთა ქვეყნიდან ბარსელონაში - 3:3. საერთოდ, 6-დან, პირველს თუ არ ჩავთვლით, ყველა გოლი ძალიან მაგარი იყო! და მათი აღწერა აშკარად ღირს.

მასპინძლებმა აშკარა უპირატესობა გოლად 25-ე წუთზე აქციეს, რაც მთლიანად „ესპანიოლის" მცველთა და მეკარის „დამსახურებაა", **დიდაკ ვილამ** ბურთი თავით უშნოდ მოიგერია, **ოსკარ დე მარკოსის** სუსტი დარტყმული კი კატალონიელთა სარეზერვო გოლკიპერმა **ფრანსისკო კასილიამ** ხელში ვერ შეიმაგრა და დაიწყო: 7 წუთში **კოფი ნდრი რომარიკი** საჯარიმოს გარეთ ჩაუსაფრდა ბურთს და ბრწყინვალედაც დაარტყა. შესვენებაზე **მარსელო ბიელსამ** გუნდს **ანდერი** და **სუსაეტა** დაახმარა, თუმცა ბასკებმა გოლი აქეთ გაუშვეს, გოლი კი არა სუპერგოლი - ალბათ, ამ ჩემპიონატის საუკეთესო გასროლა, სლოვაკმა **ვლადიმირ ვეისმა** დაახლოებით 25 მეტრიდან რაკეტასავით გასროლა ბურთი **გორკა ირაისოსის** კარის „ცხრიანში". ვისაც ინტერნეტზე ხელი მიგიწვდებათ, დაბეჯითებით გირჩევთ, მოიძიოთ და იხილოთ ვეისის შედევრი.

ამის შემდეგ „ატლეტიკმა" გაიხსენა ის, რითაც პრიმერას ნებისმიერ გუნდს სჯობს - მეორე სართულზე თამაში - ჯერ სუსაეტას ჩაწოდებულ საჯარიმოს დაუხვედრა **ფერნანდო ლორენტემ** თავი, შემდეგ მასპინძელთა ლიდერმა **ხავი მარტინესმა** ანდერის ჩამოწოდებულს მიუჩინა ადგილი „ესპანიოლის" კარში. და მაინც, სწორედ მარტინესმა დაალალატა გუნდი, მსოფლიოს ჩემპიონმა 92-ე წუთზე ზუსტად მაშინ წაიფორხილა, როცა **კალუ უჩე** საგოლე პასს უკეთებდა **ხუან ალბინს** და შეცვლაზე შემოსულმაც ისეთი ძალით დაარტყა, მეკარე მოხარულიც უნდა იყოს, რომ ბურთი შემთხვევით არ მოხვდა.

ამ თამაშში დებიუტი ჰქონდათ უჩეს და **ფილიპე კოუტინიოს** სტუმართა რიგებიდან, ხოლო **გაისკა ტოკერომ** (ბილბაო) ლა ლიგაში მე-100 მატჩი ითამაშა. *„ძალიან დამწყდა გული, რომ ვერ მოვიგეთ, მაგრამ გაბრაზებული კი არა, ამაყი ვარ"*, - განაცხადა ბასკთა არგენტინელმა თავკაცმა და მართალიცაა, **ბიელსამ** აშკარად დაატყო ხელი „ბილბაოს" თამაშს.

■ ■ ■

„ლევანტე" ინარჩუნებს მე-4 ადგილს, რადგან „ესპანიოლზე" ოდნავ უკეთესი ბურთების სხვაობა აქვს (+2 +1-ის წინააღმდეგ), მაგრამ ლიგის საგზურისთვის მომგები გუნდი შინ უნდა უგებდეს ერთ-ერთ აუტსაიდერ „რასინგს". **არუნა კონემ** ახლო მანძილიდან თავურით კი



სუპერმატჩის ერთ-ერთი გოლი, უტევს ხავი მარტინესი



კამპ ნოუს მინდორს შავმა კატამ გადაურბინა და... ...რამდენიმე წუთში სერხიო ბუსკეტსმა საშინელი ტრავმა მიიღო

დააწინაურა ვალენსიური კლუბი, მაგრამ ეს იყო და ეს, „ბაყაყებს" მეტისთვის არ მიუღწევიათ, თუმცა მომენტები საპასუხო გოლამდეც ჰქონდათ და მის მერეც (**ვალდოს** გასვლა). მოკლედ, მე-60 წუთზე **მანუელ არანამ** ცაციით **გოსტავო მუნუას** კარის „ცხრიანი" მოძებნა და „რასინგს" ქულა გადაურჩინა - 1:1.

■ ■ ■

ბალეარული კლუბი **ჩორი კასტროს** გარეშე უკვე წარმოუდგენელია, სწორედ ურუგვაელმა გაიტანა მატჩის ერთადერთი გოლი და 9-კაციანმა „მალიორკამ" „ბეტისი" დაამარცხა. მატჩის ბოლოს მსაჯმა **ივან რამისი და ვიქტორ კასადესუსი** გააგდო, თუმცა მანამდე „ბეტისი" იყო რიცხობრივ უმცირესობაში, მატჩის პირველი წითელი ბარათი თვალწინ **მარიომ** იხილა.

■ ■ ■

მეორე დღეს **კრიშტიანო რონალდო** 27 წლის გახდა, ბუნებრივია, ჩემპიონატის ბომბარდირს ძალიან სურდა ამის გოლით აღნიშვნა, მაგრამ მადრიდულ დერბიში არაფერი გამოუვიდა. ის კი არა, **ლეო მესი** თითქმის გაუთანაბრდა ბომბარდირთა დავაში. „რეალმა" კი რთული, მაგრამ ასე საჭირო სამი ქულა მოიპოვა „ხეტაფესთან". **ჟოზე მოურინიო** ამ ქულებს **სერხიო რამოსს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც მე-17 წუთზე იოზილის კუთხურს ძალიან ლამაზ ნახტომში თავით მეტოქის კარის „ცხრიანში" მიუჩინა ადგილი, **კარლეს პუიოლის** სტილში.

როგორც კი რთული მეტოქეა, ჟოზე ორი საყრდენით თამაშს არ თაკილობს, ასე იყო ამჯერადაც. თამაშს რაც შეეხება, „რეალის" უპირატესობა დიდი იყო, მაგრამ გოლი მეტი „სამეფო კლუბმა" ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, მსაჯმა ვერ დაინახა აშკარა პენალტი „რეალის" კარში, როცა **პეპემ** (ისევ პეპე სკანდალის ცენტრში!) ხელით ითამაშა. „მარკამ" მსაჯ **აიასა გამესს** 0 ქულა დაუწერა (10-ბალიანი სისტემით). ძალიან ცივი ამინდი, ძვირი ფასები... მაინც ვერ ახსნის რატომ ვერ გაივსო „კოლისეუმი" გრანდის სტუმრობისას.

■ ■ ■

„ბარსელონამ" მოკრძალებული ანგარიშით დაამარცხა „რეალ სოსიედადი" - 2:1. ლეო მესი საუკეთესო იყო, მან თავად გაიტანა და თანაგუნდელსაც გაატანინა, თუმცა ერთი ისეთი მომენტი გააფუჭა 100%-იანი რომ ეთქმის, მეკარეც მოატყუა და ცარიელ კარში ვერ გაიტანა (მცველებმა იყოჩაღეს). ანგარიში კი **კრისტიან ტელიომ** გახსნა (მესის დიდებული პასით), ეს 20 წლის ფორვარდის პირველი გოლია ლა ლიგაში. არც ამ შეხვედრის არბიტრი გამოდგა ხეირიანი, **კლოს გომესმა** (2-იანი „მარკას" შეფასებით) იქით-აქეთ თითო პენალტი არ დანიშნა.

■ ■ ■

რომ არა სერბი **დეიან ლეკიჩი**, „სპორტინგის" ახალი თავკაცი **ინიაკი ტეხადა** (რომელიც ჯერ მხოლოდ დროებითი მწვრთნელია) დებიუტშივე მოიგებდა, მაგრამ „ოსასუნას" სლავი შემტევის გოლმა, მასპინძელი **კარმელოსი** გააბათილა - 1:1. ამ მატჩზე კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ საშინელ ბუნებრივ პირობებში ჩატარდა.

■ ■ ■

„ვილიარეალის" მაგალითი ყველაზე ნათელია, თუ როგორ შველის გუნდს მწვრთნელის დროული შეცვლა, **ხოსე მოლინას** გუნდმა სტუმრად 2:1 მოუგო „სევილიას" და ალბათ საბოლოოდ შეუყენა წყალი **მარსელინოს** სკამს „სანჩეს პისხუანზე". გამარჯვების გოლი მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე **ხავიერ კამუნიასმა** გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## მომდევნო ტური

11 თებერვალი: **რასინგი-ატლეტიკო, ოსასუნა-ბარსელონა, ბეტისი-ბილბაო.**

12 თებერვალი: **ესპანიოლი-სარაგოსა, მალაგა-მალიორკა, რაიო ვალეკანო-ხეტაფე, ვალენსია-სპორტინგი, ვილიარეალი-გრანადა, რეალი-ლევანტე.**

13 თებერვალი: **რეალ სოსიედადი-სევილია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## არსენალი-ბლექბერნი 7:1

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი - კოშელნი (68. სანია), მერტეზაკერი, ვერმალენი, კოკლენი – არტეტა, სონგი (72. ბენაიუნი) - როსიცკი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (68. ანრი), უოლკოტი – ვან პერსი

**ბლექბერნი** (4-2-3-1): რობინსონი – დანი, ჟივე, მ. ოლსონი, ლოუი (36. ორი) - ნ'ზონზი, პეტროვიჩი - გამსტ-პედერსენი, დ. დანი (46. ჰენლი), ჰოილეტი - მოდესტე

**გოლები**: 1:0 ვან პერსი (2), 1:1 გამსტ პედერსენი (32), 2:1 ვან პერსი (38), 3:1 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (40), 4:1 არტეტა (51), 5:1 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (54), 6:1 ვან პერსი (62), 7:1 ანრი (90)

**გაფრთხილება**: კოშელნი, ვერმალენი – მოდესტე, ნ'ზონზი, მ. ოლსონი

**გაძევება**: ჟივე 43 (ბლექბერნი)

**კუთხური**: 11-1, **ჯარიმა**: 11-16, **თამაშგარე**: 3:1 **კარში დარტყმა**: 19-5(8-2), **ბურთის ფლობა**: 68%-32%

**მაყურებელი**: 59 643

## ნორვიჩი-ბოლტონი 2:0

**ნორვიჩი** (4-4-2): რადი – დრური, უითბრედი (40. ბენეტი), ნაუტონი, აიალა (23. მარტინი) - სარმენი, პიკლინგტონი, ჯექსონი (74. მორისონი), ფოქსი – ჰოლტი, ჰულაჰანი

**ბოლტონი** (4-4-1-1): ბოგდანი – ნაიტი, ს. რიკეტსი, უიტერი, მირსი - მუამბა (57. კ. დევისი), იგლზი (73. ტუნჩაი შანლი), პეტროვი, რეო-კოკერი – მ. დევისი, ნ'გოგი (82. სორდელი)

**გოლები**: 1:0 სარმენი (69), 2:0 პიკლინგტონი (85)

**გაფრთხილება**: არ ყოფილა

**კუთხური**: 4-7, **ჯარიმა**: 6-10, **თამაშგარე**: 3:2 **კარში დარტყმა**: 24-13(6-2), **ბურთის ფლობა**: 52%-48%

**მაყურებელი**: 26 358

## ქუინზ პარკი-ვულვერჰემ. 1:2

**ქუინზ პარკი** (4-4-2): კენი – ლ. იანგი (65. ჰოლი), ტაივო, ფერდინანდი, ონუოჰა – დერი (65. ტრაორე), ბარტონი, რაიტ-ფილიპსი, ტაარაბტი - ჯ. სისე, ზამორა (74. ჰალსი)

**ვულვერჰემპტონი** (4-4-1-1): ჰენესი – სტირმენი (47. დოილი), რ. ჯონსონი, კ. ფოლი, ბასონგი, უორდი – დ. ედვარდსი, ფრიმპონგი (24. ებანკს-ბლეიკი), ჯარვისი, ო'ჰარა (87. მილიაში), ს. ფლეტჩერი

**გოლები**: 1:0 ზამორა (16), 1:1 ჯერვისი (46), 1:2 დოილი (71)

**გაფრთხილება**: - რ. ჯონსონი, ს. ფლეტჩერი, ბასონგი

**გაძევება**: ჯ. სისე 34 (ქუინზ პარკი)

**კუთხური**: 7-3, **ჯარიმა**: 9-13, **თამაშგარე**: 0:2 **კარში დარტყმა**: 13-13(6-5), **ბურთის ფლობა**: 39%-61%

**მაყურებელი**: 17 351

## სტოკ სიტი-სანდერლენდი 0:1

**სტოკ სიტი** (4-4-2): სორენსენი – ჰუთი, შოუკროსი, უილკინსონი (85. შოტონი), დელაპი – უილანი, პენანტი (46. ვუდგეიტი), უილსონი, უოლტერსი – კრაუჩი, კემერონი (40. ფულერი)

**სანდერლენდი** (4-4-2): მინიოლე – ტერნერი, ოში, ბერდსლი, რიჩარდსონი - კოლბეკი, მაკლინი, ს. ლარსონი, კ. გარდნერი - სესინიონი, მეილერი (85. ელ. მუჰამადი)

**გოლი**: 0:1 მაკლინი (60)

**გაფრთხილება**: - ოში

**გაძევება**: ჰუთი 45 (სტოკ სიტი)

**კუთხური**: 5-5, **ჯარიმა**: 11-7, **თამაშგარე**: 0:2 **კარში დარტყმა**: 9-6(3-1), **ბურთის ფლობა**: 50%-50%

**მაყურებელი**: 27 717

## ვესტ ბრომვიჩი-სუონსი 1:2

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – მაკაული, ო. ოლსონი, შორი, დორანსი (71. კოქსი), მორისონი, მულუმბუ (64. შარნერი), რიდი, ტომასი (72. ტჩოი) - ფორჩუნი, ოდემვინგე

**სუონსი** (4-3-3): ვორმი – კოლკერი, რანხელი, ნ. ტეილორი, უილიამსი, ბრიტონი, დაიერი (88. რუტლეჯი), სიგურდსონი, სინკლერი, ალენი, გრემი

**გოლები**: 1:0 ფორჩუნი (54), 1:1 სიგურდსონი (55), 1:2 გრემი (59)

**გაფრთხილება**: მორისონი, შორი - ბრიტონი

**კუთხური**: 8-7, **ჯარიმა**: 12-5, **თამაშგარე**: 2:2 **კარში დარტყმა**: 21-16(7-2), **ბურთის ფლობა**: 37%-63%

**მაყურებელი**: 24 274

## უიგანი-ევერტონი 1:1

**უიგანი** (4-2-3-1): ალ-ჰაბსი – ბოსი, ფიგეროა, კოდუელი, სტამი (65. დ. ჯონსი) – ბოსეჟური, მაკარტური, მაკარტი, გომესი (65. როდალიეგა), მოზესი, დი სანტო (69. კრუსატი)

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – დისტენი, ჰეიტინგა, ბეინსი, ჰიბერტი (81. ანიჩებე) – ფელაინი, გიბსონი, პიენაარი, დონოვანი - ტ. კეჰილი (46. ფ. ნევილი), სტრაკუალურსი (60. იელავიჩი)

**გოლები**: 1:0 ფ. ნევილი (76) ს.კ-ში, 1:1 ანიჩებე (83)

**გაფრთხილება**: მაკარტური, ფიგეროა -

**კუთხური**: 4-3, **ჯარიმა**: 14-13, **თამაშგარე**: 2:6 **კარში დარტყმა**: 12-10(2-4), **ბურთის ფლობა**: 52%-48%

**მაყურებელი**: 18 340

## მანჩესტერ სიტი-ფულჰემი 3:0

**მანჩესტერ სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – ლესკოტი, სავიჩი, კოლაროვი, რიჩარდსი – ნასრი (55. მილნერი), ბერი – დ. სილვა, ა. ჯონსონი (90. დ. პისარო), აგუერო (80. დე იონგი) - ჯეკო

**ფულჰემი** (4-2-3-1): შვარცერი - ჰანგელანდი, სენდეროსი (73. რიისე), ბეირდი, კელი - ეტუჰუ (68. რუისი), მერფი - ს. დევისი, დაფი, დემბელე (85. გეცოვი) - დემპსი

**გოლები**: 1:0 აგუერო (10) პენ, 2:0 ბეირდი (30) ს.კ-ში, 3:0 ჯეკო (72)

**გაფრთხილება**: კოლაროვი – სენდეროსი, დემბელე, ბეირდი

**კუთხური**: 4-6, **ჯარიმა**: 10-7, **თამაშგარე**: 1:1 **კარში დარტყმა**: 16-13(4-5), **ბურთის ფლობა**: 47%-53%

**მაყურებელი**: 46 963

## ნიუკასლი-ასტონ ვილა 2:1

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – კოლოჩინი, უილიამსონი, სანტონი, სიმპსონი - პერჩი, რ. ტეილორი (34. ობერტანი), გატრი, ხონასი – ბა (90. ამეობი), ბესტი (14. პ. სისე)

**ასტონ ვილა** (4-4-2): გივენი – რ. დანი, კუელიარი, უორნოკი, ჰატონი – კლარკი (84. გ. გარდნერი), ს. პეტროვი, აირლანდი (46. ბენანი), ნ'ზოგბია (66. ჰესკი), კინი, ბენტი

**გოლები**: 1:0 ბა (30), 1:1 კინი (45), 2:1 პ. სისე (71)

**გაფრთხილება**: სიმპსონი – დანი, ბენტი

**კუთხური**: 4-4, **ჯარიმა**: 6-11, **თამაშგარე**: 2:3 **კარში დარტყმა**: 18-14(3-7), **ბურთის ფლობა**: 51%-49%

**მაყურებელი**: 48 569

## ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი 3:3

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ივანოვიჩი, კეჰილი, ლუისი, ბოსინგვა - ესიენი, მეირელეში – მალუდა, მატა, სტარიჯი (70. რომეუ) - ტორესი

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – რაფაელი (64. სქოულზი), ევანსი, ფერდინანდი, ევრა, გიგზი, კერიკი, ვალენსია, იანგი (53. ერნანდესი) - უელბეკი (85. პარკი), რუნი

**გოლები**: 1:0 ევანსი (36) ს.კ-ში, 2:0 მატა (46), 3:0 ლუისი (51), 3:1 რუნი (58), 3:2 რუნი (69), 3:3 ერნანდესი (84)

**გაფრთხილება**: ტორესი, ივანოვიჩი - ევრა

**კუთხური**: 6-6, **ჯარიმა**: 16-15, **თამაშგარე**: 0:4 **კარში დარტყმა**: 20-16(8-9), **ბურთის ფლობა**: 44%-56%

**მაყურებელი**: 41 668

### დღეს

**ლივერპული-ტოტენჰემი 00:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 24 | 18 | 3 | 3 | 63-19 | 57 |
| 2. იუნაიტედი | 24 | 17 | 4 | 3 | 59-24 | 55 |
| 3. ტოტენჰემი | 23 | 15 | 4 | 4 | 44-25 | 49 |
| 4. ჩელსი | 24 | 12 | 7 | 5 | 44-29 | 43 |
| 5. ნიუკასლი | 24 | 12 | 6 | 6 | 36-31 | 42 |
| 6. არსენალი | 24 | 12 | 4 | 8 | 46-34 | 40 |
| 7. ლივერპული | 23 | 10 | 8 | 5 | 28-21 | 38 |
| 8. სანდერლენდი | 24 | 9 | 6 | 9 | 33-24 | 33 |
| 9. ნორვიჩი | 24 | 8 | 8 | 8 | 34-39 | 32 |
| 10. სუონსი | 24 | 7 | 9 | 8 | 26-29 | 30 |
| 11. ევერტონი | 24 | 8 | 6 | 10 | 24-27 | 30 |
| 12. სტოკ სიტი | 24 | 8 | 6 | 10 | 23-36 | 30 |
| 13. ასტონ ვილა | 24 | 6 | 10 | 8 | 29-33 | 28 |
| 14. ფულჰემი | 24 | 6 | 9 | 9 | 29-35 | 27 |
| 15. ვესტ ბრომვიჩი | 24 | 7 | 5 | 12 | 24-34 | 26 |
| 16. ქუინზ პარკი | 24 | 5 | 6 | 13 | 25-41 | 21 |
| 17. ვულვზი | 24 | 5 | 6 | 13 | 27-44 | 21 |
| 18. ბოლტონი | 24 | 6 | 2 | 16 | 28-49 | 20 |
| 19. ბლექბერნი | 24 | 4 | 6 | 14 | 34-54 | 18 |
| 20. უიგანი | 24 | 3 | 7 | 14 | 21-49 | 16 |

**ბომბარდირები**: 22 – რობინ ვან პერსი (არსენალი), 16-16 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), დემბა ბა (ნიუკასლი), 15 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), 12-12 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი), ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი)

### ჩემპიონშიპი. XXIX ტური

**ვესტ ჰემი-მილუოლი 2:1**

**გოლები**: 1:0 კ. კოული (45), 1:1 ტროტერი (66), 2:1 რიდი (69)

**ბრაიტონი-ლესტერი 1:0**

**გოლი**: 1:0 ბაკლი (90)

**ბრისტოლ სიტი-ლიდსი 0:3**

**გოლები**: 0:1 სნოდგრასი (40), 0:2 მაკორმაკი (79), 0:3 ბეკიო (90)

**ბარნლი-პიტერბორო 1:1**

**გოლები**: 0:1 პ. ტეილორი (12), 1:1 როდრიგესი (87)

**კარდიფი-ბლეკპული 1:3**

**გოლები**: 1:0 მეისონი (59), 1:1 ფილიპსი (79), 1:2 ფილიპსი (83), 1:3 ფილიპსი (90)

**ქოვენთრი-იპსვიჩი 2:3**

**გოლები**: 0:1 ემანუელ-ტომასი (22), 1:1 კლინგენი (29) პენ, 2:1 დიგანი (45), 2:2 ჩოპრა (64), 2:3 ჩოპრა (90)

**უოტფორდი-ბარნსლი 2:1**

**გოლები**: 1:0 ეუსტეისი (33), 2:0 ეუსტეისი (68), 2:1 გოლბორნი (85)

**მიდლსბრო-კრისტალ პალასი 0:0**
**ბირმინგემი-საუთჰემპტონი 0:0**

**დერბი-ნოტინგემი გადაიდო**
**დონკასტერი-რედინგი გადაიდო**
**პორტსმუთი-ჰალ სიტი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვესტ ჰემი | 29 | 17 | 5 | 7 | 46-30 | 56 |
| 2. საუთჰემპტონი | 29 | 15 | 7 | 7 | 51-31 | 52 |
| 3. კარდიფი | 29 | 13 | 11 | 5 | 46-33 | 50 |
| 4. ბლეკპული | 29 | 13 | 9 | 7 | 48-36 | 48 |
| 5. ბირმინგემი | 28 | 13 | 8 | 7 | 46-27 | 47 |
| 6. მიდლსბრო | 29 | 12 | 11 | 6 | 33-30 | 47 |
| 7. ჰალ სიტი | 28 | 14 | 4 | 10 | 28-25 | 46 |
| 8. რიდინგი | 28 | 13 | 6 | 9 | 35-27 | 45 |
| 9. ლიდსი | 29 | 13 | 6 | 10 | 47-42 | 45 |
| 10. ბრაიტონი | 29 | 13 | 6 | 10 | 32-30 | 45 |
| 11. ბარნლი | 29 | 13 | 5 | 11 | 42-34 | 44 |
| 12. დერბი | 28 | 12 | 5 | 11 | 33-36 | 41 |
| 13. ლესტერი | 29 | 10 | 9 | 10 | 38-33 | 39 |
| 14. კრისტალ პალ. | 29 | 10 | 9 | 10 | 27-28 | 39 |
| 15. ბარნსლი | 29 | 11 | 6 | 12 | 42-46 | 39 |
| 16. უოტფორდი | 29 | 9 | 9 | 11 | 32-40 | 36 |
| 17. პორტსმუთი | 27 | 9 | 7 | 11 | 32-29 | 34 |
| 18. პიტერბორო | 29 | 9 | 7 | 13 | 46-48 | 34 |
| 19. იპსვიჩი | 29 | 10 | 4 | 15 | 46-57 | 34 |
| 20. ბრისტოლი | 29 | 8 | 6 | 15 | 25-41 | 30 |
| 21. მილუოლი | 29 | 7 | 8 | 14 | 28-39 | 29 |
| 22. დონკასტერი | 28 | 6 | 6 | 16 | 23-45 | 24 |
| 23. ნოტინგემი | 28 | 7 | 3 | 18 | 22-46 | 24 |
| 24. ქოვენთრი | 29 | 5 | 7 | 17 | 26-41 | 22 |

**ბომბარდირები**: 14 – რიჩარდ ლამბერტი (საუტჰემპტონი), 13 – როს მაკორმაკი (ლიდსი), 12 - დარიუს ჰენდერსონი (მილუოლი)

### ლიგა ერთი. XXIX ტური

**კარლაისლი-ჩესტერფილდი2:1, ჰადერსფილდი-მილტონი 1:1, შეფილდ უენს-იოვილი 2:1, უიკომბი-ტრანმერი 2:1, ჩალტონი-როჩდეილი გადაიდო კოლჩესტერი-შეფილდ იუნ გადაიდო, ნოთს ქაუნთი-სტივენეიჯი გადაიდო, ოლდჰემი-ლეიტონ ორიენტი გადაიდო, პრესტონი-ბრენტფორდი გადაიდო, სკანთორპი-უოლსოლი გადაიდო**

## ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტური

# სუპერმატჩი

კვირას საღამოს "სტემფორდ ბრიჯზე" სუპერმატჩი შედგა. მატჩამდე იყო ცნობილი, რომ "არისტოკრატებს" **ჯონ ტერისა** და **ფრენკ ლემპარდის** გარეშე მოუხდებოდათ თამაში. არ იყო დისკვალიფიცირებული **ეშლი კოულიც**. "ალისფერ ეშმაკებს" კი **ეშლი იანგი** და **დავიდ დე ხეა** დაუბრუნდნენ.

**ჰოვარდ ვების** მუშაობით "ეშმაკები" თავდაპირველად შეიძლება უკმაყოფილონიც დარჩენილიყვნენ, როცა ჯერ ეშლი იანგის, შემდეგ კი **დენი უელბეკის** წინააღმდეგ უხეში თამაში პენალტებად არ შეაფასა. ანგარიშის გახსნაში **ხუან მატას ჯონი ევანსი** და დავიდ დე ხეა დაეხმარნენ. საბოლოოდ გოლი ჩრდილოირლანდიელს "მიეწერა". მეორე ნახევარი "ჩელსიმ" არნახულ ტემპში დაიწყო. მატამ **ტორესის** განივი გადაცემა დაუმუშავებლად დასცხო. დე ხეას აღების შანსი არ ჰქონდა. იქვე დავიდ ლუისმა თავით ანგარიში გამანადგურებელი გახადა. თითქოს ყველაფერი დასრულებული იყო, მაგრამ სერ **ალექს ფერგიუსონი** ასე არ ფიქრობდა. რუნის საპენალტო დუბლისა და ერნანდესის თავურით მატჩი 3:3 დასრულდა.

■ ■ ■

"არსენალს" გულშემატკივრებმა თამაშამდე პრაქტიკულად ობსტრუქცია მოუწყვეს. ისინი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკის შეცვლას ითხოვენ – 2004 წლის შემდეგ ხომ გუნდს არაფერი მოუგია. "მეთოფეთა" ფანების ვნებებს კაცნაკლულ "ბლექბერნთან" მიღწეული შთამბეჭდავი გამარჯვებაც ვერ დააოკებს. ფანებმა ეს სტადიონზევე დაამტკიცეს. გოლების წვიმის მიუხედავად, საფინალო სასტვენისას "ემირიტსზე" მაყურებელი საკმაოდ შეთხელებული იყო. **არსენ ვენგერს** ალბათ მშვენივრად ესმოდა, რომ სტუმართა ნახევარდაცვა მის გუნდს მაქსიმალურად უნდა შეეზღუდა, რათა **ჯუნიორ ჰოილეტსა** და **დევიდ დანს** თავისი თამაში არ ეპოვნათ. საუკეთესო საშუალება მეტოქის გასატეხად კი სწრაფი გოლია. ყველაფერი ისე მოხდა, თითქოს სცენარი წინასწარ ყოფილიყო დაწერილი. სტუმართა დაცვამ ცუდად ითამაშა, რითაც **კოკლენმა** ისარგებლა და **ტეო უოლკოტს** ფლანგზე დაუგორა. ამ უკანასკნელმა ბურთი ცენტში **რობინ ვან პერსის** ფეხზე დაასვა – 1:0. ბლექბერნელებმა ნოკდაუნიდან გამოსვლას დიდი დრო მოანდომეს, მაგრამ გამოსვლით კი ძალიან ეფექტურად გამოვიდნენ - **მორტენ გამსტ-პედერსენმა** 23-24 მეტრიდან ეფექტური საჯარიმო გაიტანა. მასპინძლებმა მეორე გოლი ხუთ წუთში იმავე სტილში გაიტანეს, როგორითაც ანგარიში გახსნეს. განსხვავება ის იყო, რომ უოლკოტს პასი სიღრმიდან კოკლენის ნაცვლად **სონგმა** გაუკეთა. დაგვირგვინება ისევ ვან პერსის იყო – 2:1. ზუსტად ორ წუთში კი ვან პერსიმ ასისტენტობა ითავა და **ოქსლეიდ-ჩემბერლენი პოლ რობინსონს** პირისპირ შეატოვა. ახალგაზრდა ფეხბურთელმა გოლკიპერი იოლად მოატყუა და პროფესიული კარიერის პირველი გოლი ცარიელ კარში გაიტანა. თითქოს უბედურება იქამდე არ ჰყოფნიდა, **სტივ კინსა** და "ბლექბერნს" ახლა **გაელ ჟივემ** უღალატა. ვან პერსის წინააღმდეგ უხეში თამაშის გამო **ანდრე მარინერმა** ფრანგს წითელი ბარათი უჩვენა. მატჩის ბედი იქვე გადაწყდა. საბოლოოდ 18 წლის ოქსლეიდ-ჩემბერლენმა დუბლი მიითვალა. სამი შედეგიანი გადაცემა შეასრულა ტეო უოლკოტმა. შეხვედრის მიწურულს ოქსლეიდ-ჩემბერლენის ნაცვლად მინდორზე გამოსულმა **ტიერი ანრიმ** და ვან პერსიმ.სწრაფ კონტრშეტევაზე მეტოქეებს თავბრუ დაახვიეს. ჰოლანდიელმა "მეთოფეთა" ლეგენდას საგოლე პასი "ლანგრით მიართვა". ამისთვის ფრანგი ვეტერანი მეგობარს მადლობას ალბათ ძალიან დიდხანს ეუბნებოდა, როცა აღსანიშნავად გადაეხვია.



0:3-ზე მანჩესტერელთა ზეიმს ვინღა ელოდა...



ჯეკოსა და აგუეროს სიტი ისევ ლიდერია



რობინ ვან პერსიმ 3 გოლი გაიტანა, უოლკოტმა ამდენივე პასი მიითვალა

■ ■ ■

წინა ტურში **რობერტო მანჩინიმ დევიდ მოიესთან** და მის "ევერტონთან" წააგო. ამჯერად მას **მარტინ იოლი** დაუპირისპირდა, მწვრთნელი ვისაც "ტოტენჰემში" მუშაობისას "ქალაქელებთან" 7-დან 6 თამაში ჰქონდა მოგებული. უშუალოდ "ფულჰემს" კი 2004 წლიდან მოყოლებული "ეტიჰადზე" 8 შეხვედრაში მხოლოდ 1 წაგება ჰქონდა (2006/07 სეზონი 3:1).

მატჩი ისე დაიწყო, როგორც ველოდით – "სიტის" შეტევებით. მასპინძლებმა საკმაოდ მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს, ვისაც მხოლოდ თავდაცვისთვისღა ეცალა. ანგარიშის გახსნა მე-3 წუთზე **ედინ ჯეკოს** შეეძლო, თუმცა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებული **მარკ შვარცერი** დარტყმას იოლად გაუმკლავდა. ზეწოლა სტუმართა კარზე სულ უფრო იზრდებოდა. თითქოს გოლიც მწიფდებოდა. ასეც მოხდა, თუმცა... არბიტრმა **მაიკ დინმა**, ჩვენი აზრით, პენალტი შეცდომით დანიშნა. მე-10 წუთზე **ადამ ჯონსონმა კრის ბეირდთან** ბრძოლისას ფეხი აშკარად თავისივე ინიციატივით ჩატოვა, თანაც ვარდნა იქამდე დაიწყო, ვიდრე მეტოქეს შეეხებოდა. თერთმეტრიანი **სერხიო აგუერომ** აუღელვებლად გაიტანა - 1:0. ზუსტად 20 წუთში ბეირდის მარჯვენა ფეხი მეორედ მოექცა ყურადღების ცენტრში. მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი აგუერომ ადამ ჯონსონს დაუგდო. უკანასკნელმა კარის ხაზის წინ ჩაწოდება სცადა, მაგრამ ვინ აცალა? ბეირდმა ფეხი დაუხვედრა და ბედშავი შვარცერი მოძრაობაზე დაიჭირა. ორი წუთიც არ იყო გასული, რომ დინმა "ფულჰემი" დაინდო. არადა **ეტუჰუმ დავიდ სილვას** წინააღმდეგ ბევრად უფრო უხეშად დაარღვია თამაშის წესი ვიდრე ბეირმა ჯონსონის. რას ვიზამთ? **მიშელ პლატინის** თქმით ხომ, მსაჯის შეცდომები ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია და მას "გარკვეულწილად ალამაზებს კიდეც". 34-ე წუთზე თანაგუნდელის მსგავსად შვარცერი **ფილიპ სენდეროსმაც** გაწირა, მაგრამ მეკარეს ამჯერად ბედმა გაუღიმა და აილო ეს ბურთი.

მეორე ნახევარში თოვას მოუმატა. დრო და დრო სტადიონის თანამშრომლები გამოდიოდნენ ხოლმე და მთელ მოედანს ბუნებრივია ვერა, მაგრამ ხაზებს კი ასუფთავებდნენ, რათა ასეთუ ისე შესაძლებელი ყოფილიყო ფეხბურთის თამაში. მარტინ იოლმა გუნდს შეცვლებითაც ვერაფერი უშველა. პირიქით, სტუმართა შეტევების გასაძლიერებლად შემოსულ **ბრაიან რუისს** 2 წუთიც არ დასცალდა, რომ მისმა გუნდმა მესამე გოლიც მიიღო. სერხიო აგუერო საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა და მცველები თან გაიყოლა. **ედინ ჯეკოს** თავი მარტოსულად რომ არ ეგრძნო სერხიომ ბურთი მას დაუგორა. 4 მეტრიდან გოლის გატანა ბოსნიელს აღარ გასჭირვებია – 3:0.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### მომდევნო ტური:

11 თებერვალი: **მანჩესტერ იუნაიტედი-ლივერპული, ბლექბერნი-ქუინზ პარკი, ბოლტონი-უიგანი, ევერტონი-ჩელსი, ფულჰემი-სტოკ სიტი, სანდერლენდი-არსენალი, სუონსი-ნორვიჩი, ტოტენჰემი-ნიუკასლი**

12 თებერვალი: **ვულვერჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი, ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ყოველდღე -50% ფასდაკლება

ელექტრონიკა
ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას

ელექტრონიკის მაღაზიათა ქსელში ასორტიმენტის 1 დასახელების საქონელზე მაინც...
აქცია ძალაშია 2012 წლის 26 თებერვლის ჩათვლით

LE26C350D1 — 66სმ — 649.00 599.00 — SAMSUNG
LE32D403G1 — 81სმ — 699.00 649.00 — SAMSUNG
KLV-32BX300R — 81სმ — 849.00 749.00 — SONY
32PFL3605H/12 — 81სმ — 899.00 799.00 — PHILIPS
PS42C450B1 — 107სმ — 1149.00 979.00 — SAMSUNG

WIN81 — 529.00 509.00 — 5 კგ. 800 ბრ. — 85 / 53 / 60 — INDESIT

სპეციალური შეთავაზება:
Indesit WI 62
წარმოებულია იტალიაში
399 ლარი
600 ბრ. 5 კგ.
85 / 53 / 60
INDESIT

WF8590NMW8 — 599.00 549.00 — 6 კგ. 1000 ბრ. — მომსახურება 3 წელი — 85 / 60 — SAMSUNG
IWC5105 EcoTime — 629.00 599.00 — 5 კგ. 1000 ბრ. — 85 / 53 / 60 — INDESIT
AR 83 — 679.00 599.00 — 5 კგ. 800 ბრ. — 85 / 53 / 60 — Hotpoint ARISTON
AQXL 85 AQUALTIS — 849.00 649.00 — 6 კგ. 800 ბრ. — 85 / 60 — Hotpoint ARISTON

TS 2181 — 179.00 — 54სმ
29181 PF — 299.00 — 72სმ — THOMSON
VCC4130S31 — 129.00 99.00
VC5915VT31 — 149.00 129.00 — SAMSUNG
T2245TS — 81.00 69.00 — ROLSEN

T 14 — 619.00 499.00 — ნახ.მშრალი B კლასი 249 ლიტრი — გარანტია 3 წელი — 145 / 67 / 60 — INDESIT
B 15 — 699.00 599.00 — ნახ.მშრალი B კლასი 263 ლიტრი — გარანტია 3 წელი — 150 / 67 / 60 — INDESIT
RL32CSCSW1 — 749.00 699.00 — ნახ.მშრალი A კლასი 270 ლიტრი — მომსახურება 3 წელი — 174 / 67 / 60 — SAMSUNG
RL34SGSW — 949.00 749.00 — მშრალი A კლასი 286 ლიტრი — მომსახურება 3 წელი — 178 / 67 / 60 — SAMSUNG
HBM 1201.4 V — 1349.00 1199.00 — ნახ.მშრალი, ვენტილაციის სისტემით A კლასი 339 ლიტრი — გარანტია 3 წელი — Hotpoint ARISTON

შეიძინეთ !
სად გინახავთ სხვა ტექნიკა ამისთანა?
მით უფრო, რომ გიმონტაჟებთ კუხლევან და ამირანა!!!

გვეწვიეთ !
საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი

- ვარკეთილი. ახალი მაღაზია სავაჭრო ცენტრ ფრესკო-ში. ტელ: 2-236-007
- ახალი მაღაზია თელავში. ვარდოშვილის №1.
- დიღომი. ბელიაშვილის 8. ტელ: 2-518-815
- საბურთალო. ვაჟა-ფშაველას 39. ტელ: 2-236-008
- ისანი. ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია. ტელ: 2-478-676
- გლდანი. სავ. ცენტრი [illegible]. ტელ: 2-478-673
- სავ. ცენტრი [illegible], [illegible] 27. ტელ: 2-478-690
- სავ. ცენტრი [illegible], [illegible] 87-89. ტელ: 2-478-672
- რუსთავი. შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
- გორი. ჭავჭავაძის 24. ტელ: 0-370-224-257

SAMSUNG INDESIT SONY Panasonic TOSHIBA PHILIPS Hotpoint ARISTON TEFAL Rowenta Moulinex THOMSON

ელექტრონიკა
ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას
ტელ: 2 518 815

## უცხოური ფეხბურთი

### აფრიკის ერთა თასი. მეოთხედფინალები

# ჩისამბა ლუნგუ ნახევარფინალშია

## დიდიე ოვონომ პენალტებში ვერ ივარგა

**ზამბია-სუდანი 3:0**

**გოლები:** 1:0 სუნზუ (15), 2:0 კატონგო (66), 3:0 ჩამანგა (86)

**გაძევება:** საიფ ელდინი (65. სუდანი)

**შენიშვნა:** ჩისამბა ლუნგუ (ზამბია) 56-ე წუთზე შეცვალეს

**კოტ დივუარი-ეკვ. გვინეა 3:0**

**კოტ დივუარი:** კოპა - გოსო, ბამბა, კ. ტურე, ბოკა - კულიბალი (87. ებუე), ზოკორა (77. ბონი), ი. ტურე - გრადელი (85. კალუ), დროგბა, ჟერვინიო.

**გოლები:** 1:0 დროგბა (36), 2:0 დროგბა (69), 3:0 ი. ტურე (81)

**გაბონი-მალი 1:1 პენ. 5:6**

**გოლები:** 1:0 მულუნგუი (55), 1:1 დიაბატე (84)

**შენიშვნა:** დიდიე ოვონომ (გაბონი) შეუცვლელად ითამაშა

**განა-ტუნისი 1:1 დ.დ. 2:1**

**განა:** კვარასეი - ინკოომი, ბოიე, მენსა (53. ვორსა), ალჰასანი - დ. აიუ, აგიემანგ-ბადუ, ანანი, მუნტარი (64. სტევანოვიჩი) - ასამოა გიანი (100. ტაგოე), ასამოა.

**გოლები:** 1:0 მენსა (10), 1:1 ხელიფა (42), 2:1 დ. აიუ (101)

**გაძევება:** აბდენური (108. ტუნისი)

**ნახევარფინალები**

**ზამბია-განა**
**კოტ დივუარი-მალი**

ლელოს ჰქონდა ასეთი სათაური: „ჩისამბა ლუნგუ ზუგდიდშია“. მაშინ ვიუწყებოდით, რომ „ბაიას“ რიგებში ახალგაზრდა, პერსპექტიული ზამბიელი შემტევი ნახევარმცველი გამოჩნდა. მართლაც, **ლუნგუ** კარგად მოერგო სამეგრელოს და „ბაიას“ ლიდერიც გახდა. მან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც ითამაშა, ოღონდ, არაოფიციალური თამაშებში. საბოლოოდ, ლუნგუმ გადაწყვიტა, სამშობლოს გამოდგომოდა და ახლა 21 წლის ზამბიელი ნაკრებთან ერთად აფრიკის ერთა თასის ნახევარფინალში გავიდა, ეს ზამბიის პირველი ნახევარფინალია 16-წლიანი პაუზის შემდეგ. ზამბიის ნაკრებმა უპრობლემოდ დაამარცხა სუდანის (3:0), რაშიც წვლილი „ჩვენებურსაც“ მიუძღვის. 34-ე წუთზე მან დაუმუშავებლად დაარტყა სუდანელთა კარში, მაგრამ მეკარე **სალიმმა** იყოჩაღა. მანამდე **სტოფილა სუნზუმ** გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში, როცა ლუნგუ მოედანზე აღარ იყო, სამხრეთაფრიკელთაგან თავი **კრისტოფერ კატონგომ** და **ჯეიმს ჩამანგამ** გამოიჩინეს.

შაბათის მეორე შეხვედრაში კოტდივუარელებს არ გასჭირვებიათ, მასპინძლების, ეკვატორული გვინეელების დამარცხება - 3:0. ამ მატჩის გმირი „ჩელსის“ ფორვარდი **დიდიე დროგბა** იყო, ვეტერანმა ფავორიტთა პირველი ორი გოლი გაიტანა. „სპილოების“ მესამე გოლი **იაია ტურეს** ანგარიშზეა.

სამწუხაროდ, კიდევ ერთი „ჩვენებური“, თბილისის „დინამოს“ ექსგოლკიპერი **დიდიე ოვონო** გამოეთიშა გათამაშებას. გაბონისა და მალის შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 მორჩა. პენალტების სერიაში კი მალელებმა ყველა გაიტანეს, ხოლო გაბონელებმა ერთი გააცუდეს. პენალტი **პიერ-ემერიკ აუბამეიანგმა** ააცილა - მალი ნახევარფინალშია - 5:6.

განისა და ტუნისის ნაკრებთა მატჩის ბედი დამატებით დროში გადაწყდა, როცა **დედე აიუმ** გამარჯვების გოლი გაიტანა - 2:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დიდიე დროგბამ დუბლი შეასრულა

### გამოსათხოვარი მატჩი

# პალერმო დაგვემშვიდობა

ბუენოს აირესში „ლა ბომბონერას“ ცნობილ სტადიონზე ფეხბურთიდან გაცილება მოუწყვეს ცნობილ არგენტინელ ფორვარდ **მარტინ პალერმოს**. 38 წლის „ლოკომ“ უკანასკნელად ითამაშა საყვარელი ტრიბუნების თვალწინ. პალერმომ კარიერა „ესტუდიანტესში“ დაიწყო, 1997 წელს კი „ბოკა ხუნიორსში“ გადავიდა. 2001 წელს ის ევროპაში („ვილიარეალი“, „ბეტისი“, „ალავესი“) წავიდა, თუმცა სამი წლის მერე ისევ დაუბრუნდა „ბოკას“ და 2011 წლის ზაფხულამდე ერთგულად ემსახურა.

19-წლიანი კარიერა ლამაზად დასრულდა, თუმცა იყო ერთიც - „ალ ვასლიმ“ გუნდის თავკაცი **დიეგო მარადონა** არ გაუშვა საყვარელი შეგირდის გამოსამშვიდობებელ მატჩზე დასასწრებად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ბელგია. ჟუპილერლიგა

**XXIV ტური**

| | |
|---|---|
| ლიერსი-სტანდარდი | 0:2 |
| მეხელენი-კორტრიიკი | 0:0 |
| ლოკერენი-მონსი | 3:1 |
| ლოივენი-გენტი | 2:3 |
| სტ. ტრუიდენი-სრ. ბრიუგე | 0:1 |
| ვარეგემი-ვესტერლო | 3:1 |
| ანდერლეხტი-გენკი | 4:2 |
| ბრიუგე-ბეერსხოტი | 5:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 24 | 16 | 5 | 3 | 48-21 | 53 |
| 2. ბრიუგე | 24 | 14 | 4 | 6 | 42-26 | 46 |
| 3. გენტი | 24 | 14 | 4 | 6 | 53-27 | 46 |
| 4. სტანდარდი | 24 | 12 | 8 | 4 | 34-25 | 44 |
| 5. კორტრიიკი | 24 | 11 | 6 | 7 | 28-22 | 39 |
| 6. სრ. ბრიუგე | 24 | 10 | 7 | 7 | 30-28 | 37 |
| 7. გენკი | 24 | 10 | 7 | 7 | 48-35 | 37 |
| 8. მეხელენი | 24 | 8 | 7 | 9 | 34-41 | 31 |
| 9. ლოკერენი | 24 | 7 | 9 | 8 | 34-35 | 30 |
| 10. ბეერსხოტი | 24 | 7 | 8 | 9 | 35-38 | 29 |
| 11. მონსი | 24 | 7 | 7 | 10 | 40-45 | 28 |
| 12. ლიერსი | 24 | 5 | 9 | 10 | 20-32 | 24 |
| 13. ვარეგემი | 24 | 4 | 12 | 8 | 24-30 | 24 |
| 14. ლოივენი | 24 | 5 | 7 | 12 | 29-47 | 22 |
| 15. ვესტერლო | 24 | 4 | 5 | 15 | 22-42 | 17 |
| 16. სტ. ტრუიდენი | 24 | 2 | 7 | 15 | 25-52 | 13 |

**ლევან ბიბილაშვილი**

## ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ძიუდო. პარიზის დიდი მუზარადი




ამირან პაპინაშვილი (მარჯვნიდან მეორე) პარიზულ კვარცხლბეკზე

# მუზარადი საქადრისად ვერ მოვირგეთ

ჩვენი ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები პარიზის „დიდი მუზარადიდან“ ერთი მედლით ბრუნდება - 60 კილოგრამში **ამირან პაპინაშვილი** მესამე ადგილზე გავიდა. ამასთან, **ვალერი ლიპარტელიანი** (90) მეხუთე იყო, **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100) კი ერთი წრით ადრე, მერვედფინალიდან გამოვარდნენ.

თბილისის მსოფლიოს თასზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ პარიზში ისეთივე ტრიუმფალური შედეგის იმედი რომ არ უნდა გვქონოდა, ყველამ ვიცოდით, რადგან ეს შეუდარებლად ძლიერი შეჯიბრებაა: პარიზში მართლაც ბრწყინვალე შემადგენლობა შეიკრიბა, თუმცა ელიტას იაპონელი ლიდერები მაინც დააკლდნენ - მათ მხოლოდ მძიმესა და 100-ში ჰყავდათ წამყვანი ფალავნები, სხვა წონებში კი მეოთხე-მეხუთე ნომრები ჩაიყვანეს. ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ქართული ძიუდოსთვის დამახასიათებელი მთელი რიგი ხარვეზები, თუმცა, საბედნიეროდ, მწირმედლიანობის მიუხედავად, ზოგიერთი ის დადებითი ტენდენციაც გაგრძელდა, რაც ჯერ კიდევ თბილისში გამოჩნდა.

კონკრეტულად, კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ სწორი ჩავლება ჩვენებისთვის კვლავაც მთავარ პრობლემად რჩება და ამას სასწრაფოდ თუ არ მიეხედა, აზიელებთან და ფიზიკურად კარგად მომზადებულ გუნდებთან ყოველთვის გაგვიჭირდება. ცხადია, მისი ათვისება ერთბაშად არ მოხდება და მანამდე კოზირად ის უნდა ვაქციოთ, რაც ჩვენია და კარგად ვიცით. სწორედ ჩავლებების ხარვეზი მიგვაჩნია პაპინაშვილის, ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** (90), ლიპარტელიანის წაგების მიზეზად. პაპინაშვილმა ამ მედლით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სტაბილური მოჭიდავეა და მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ კორეელ **ვონ ჯიმ კიმს** ვერაფრით აუღო ჩავლება. შედეგად, წინა შეხვედრების საკმაოდ დამაჯერებლად მომგები აქ საპირისპირო სახით წარმოგვიდგა და იპონით წაგება ლოგიკური დასასრული იყო. არადა, ჩვენებურმა ფინელ **იუჰო რეინვალს** ვაზარით აჯობა, ბრიტანელი **ეშლი მაკენზის** - იუკოთი, აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ **ილგარ მუშკიევთან** კი შედარებით გაუჭირდა - მეტოქემ იუკოც აუღო და ორი გაფრთხილებაც მიალებინა, მაგრამ დამთავრებამდე 1.35-ით ადრე მშვენივრად დააიპონა. სამწუხაროდ, უზბეკ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **რიშოდ სობიროვისა** და უკრაინელ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **გიორგი ზანთარაიას** გარდა მას ტაქტიკოს აზიელებთანაც გაუჭირდება ჭიდაობა, თუ ამ კომპონენტს არ გამოასწორებს. კორეელმა ახლოსაც არ გაიკარა ის და შანსიც არ მისცა. არადა, ეს კიმი ჯერ მხოლოდ 19 წლისაა.

არც ზვიადაურს მისცა მოგების საშუალება მონღოლმა **ენკბატ ერდენებილეგმა**. სამწუხაროდ, ამ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს სპორტში წარმატებით დაბრუნების დიდი შანსი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში - ამ ოლიმპიადაზე მაინც, მერე კი ვნახოთ, როგორ ივარჯიშებს. ზვიადაურს სისწრაფეც აკლია და მხოლოდ იმის იმედზეც ვერ იქნება, რომ თანდაყოლილი ნიჭის წყალობით წამებში შეუძლია ილეთის შესრულება - მონღოლმა გდებამდე არც მიუშვა და პირველივე წრიდან გამოთიშა.

ლიპარტელიანი კუბელ მსოფლიოს პრიზიორ **ეშლი გონსალესთან** დამარცხდა. ეს მათი მეორე შეხვედრა იყო კარიერაში - პირველში ჩვენებურმა იმარჯვა ორი წლის წინათ. თუმცა მას შემდეგ კუბელმა საგრძნობლად მოუმატა და შარშან მსოფლიოზე მესამეზეც გავიდა. ამ შეხვედრამდე ლიპარტელიანს ნაკლები დრო ჰქონდა დასასვენებლად და იქნებ ამიტომაც ფიზიკურად ცოტა გადაღლილი ჩანდა, თორემ ზემოთ რომ დადებითი ტენდენციები ვახსენეთ, ერთ-ერთი მისი კარგი ფიზმომზადება და გამძლეობა იყო (ყოველ შემთხვევაში, ადრინდელთან შედარებით). კუბელთანაც აქტიურად დაიწყო ჭიდაობა და ორჯერ გააფრთხილებინა კიდეც, მაგრამ მეტოქემ სტატუს-კვო იუკოთი აღადგინა. ამ ეპიზოდში მსაჯის გადაწყვეტილება იქნებ ცოტა საკამათოც იყო, თუმცა დაახლოებით სამწუთნახევრის შემდეგ ლიპარტელიანს დაღლა დაეტყო და ინიციატივა მეტოქემ გადაიბარა. ციდან ვარსკვლავები არც იმას ჩამოუკრეფია, მაგრამ მყარი ჩავლებით ტაქტიკურად სწორად იჭიდავა, ოღონდ მეტი ქულა არ გაკეთებულა და შეხვედრაც დამატებითში გადავიდა. ლიპარტელიანს იქ რომ ეაქტიურა, მეტოქის ერთი გაფრთხილებაც კი მოგებას მოგვიტანდა, მაგრამ არაფერი მსგავსი. პირიქით - გონსალესმა აქეთ გააფრთხილებინა. მართალია, ჩვენებურმა რამდენჯერმე კი სცადა შესვლა, მაგრამ ეს ზუსტად იმ ტიპის ფანდი იყო, რასაც დღეს „ფალ-სტარტად“ მიიჩნევენ და დღევანდელი წესები სასტიკად ებრძვის. დიდად აქტიური არც კუბელი ყოფილა, მაგრამ სწორი ჩავლება კი ეჭირა და ქართველის გაფრთხილების საშიშროება ყოველ წამს რჩებოდა. დამთავრებამდე 15 წამით ადრე მთავარმა მსაჯმა დამხმარეები სათათბიროდაც მიიხმო და მეგონა, ლიპარტელიანს გაფრთხილებით დასჯიდნენ, თუმცა თათბირის შემდეგ ორთაბრძოლა გაგრძელდა, ოღონდ - კვლავაც უქულოდ და მოგებული მსაჯთა გამოსავლენი გახდა. სამივე მათგანმა გამარჯვება გონსალესს მიანიჭა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ შეხვედრის ესპანელი მთავარი არბიტრი ქართველებისადმი არაკეთილგანწყობაში ადრეც შეუმჩნევიათ და წლეულს თბილისის ტურნირზე მოწვევა ყოველმხრივ აარიდეს, თუმცა ამ შედეგისთვის ვერ დავემდურებით. ყოველ შემთხვევაში - კუბელის იუკოს მერე მაინც.

გაუმჯობესებულ ფიზიკურ კონდიციებთან ერთად ლიპარტელიანის თბილისურ ჭიდაობაში პროგრესი სტილის გამრავალფეროვნებაც იყო - მხოლოდ ამოსმულის იმედად არ რჩებოდა, და ტაქტიკური ჭიდაობისაც, როცა ეგრევე იპონით მოგებაზე არ მიდიოდა. ეს ტენდენციები ახლაც გაგრძელდა, თუმცა დიდი შედეგისთვის კვლავაც ძალიან ბევრი მუშაობა მართებს. თავიდან, დასვენებულზე პოლონელ **კრშიშტოფ ვეგლარცს** გაფრთხილებებით მოუგო, ყაზახ **ალექსანდრ კოსაჩევს** - ვაზარით. ვფიქრობთ, ლიპარტელიანს ნამდვილად მოუხდა ნაკრების მწვრთნელების - **გიორგი ვაზაგაშვილისა** და **ბორის ფირცხელიანის** ხელი, რომლებიც ტაქტიკაზე ბევრს ამუშავებენ. საბედნიეროდ, ქართველი მწვრთნელების (და არა მხოლოდ ამ ორის) მუშაობა გარკვეულ კომპონენტებში მთლიანად ნაკრებსაც დაეტყო, რაც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს.

ლიპარტელიანმა კვლავ შეინარჩუნა მერვე ადგილი სალიცენზიო რეიტინგში. თან შვედ ევროპის ჩემპიონ **მარკუს ნიმანსაც** ცოტათი გაექცა, რომელიც მისი კონკურენტია საუკეთესო ოქტეტში მოსახვედრად. აი, გონსალესთანაც რომ მოეგო, მაშინ აზერბაიჯანელ ევროპის მედალოსან **ელხან მამადოვსაც** გადაუსწრებდა, ახლა კი მათ კვლავ თანაბარი ქულათა მარაგი აქვთ - 766.

დასანანი იყო ჭრიკიშვილის წაგება ყაზახ **ისლამ ბოზბაიევთან** - დამთავრებამდე 4 წამით ადრე იუკოს იგებდა, მაგრამ უფრო თავად გაიხაზირა ვაზარი! სამწუხაროა, რომ კონცენტრაცია და ანგარიშის შენარჩუნება ვერ მოახერხა, პირველ წრეში კი მონღოლი **ტუვშინჯარგალ განი** დააიპონა.

მძიმე წონაში ხანჯალიაშვილმა თბილისის შემდეგ ამჯერადაც მოუგო ესპანელ **ანხელ პარას**, მეორე წრეში კი სუფთად წააგო მსოფლიოს ღია პირველობაში გამარჯვებულსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ უზბეკ **აბდულო ტანგრიევთან. ადამ ოქრუაშვილმა** კისრულით იუკო აართვა ეგვიპტელ **მოჰამედ მოტიეს**, მეორე შეხვედრაში კი ისიც წმინდად დამარცხდა ჰოლანდიელ **ლუუკ ვერბიხთან.**

**შალვა ქარდავასთვის** (66) ეს ტურნირი ბოლო შანსი იყო, რომელიც უკრაინელ **გევორქ გევორქიანთან** სუფთა მოგების შემდეგ იტალიელ **ფრანჩესკო ფარალდოსთან** მარცხით გაანიავა. სავარაუდოდ, ამ წონაში უახლოეს შეჯიბრებებში შანსი თბილისის ტურნირის მომგებ **ლაშა შავდათუაშვილს** მიეცემა.

წარუმატებლად გამოვიდა **ლომერ ჟორჟოლიანიც** (100) - პირველივე შეხვედრა დათმო კუბელ **ხოსე არმენტეროსთან**.

ჩვენი ნაკრები პარიზში ერთობლივ ვარჯიშებზეც დარჩება, ოღონდ - 5 ფალავანით, მათ კი მთავარი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერი** ტურნირის შედეგებიდან გამომდინარე აარჩევდა. ჩვენები მომავალ უქმეებზე ავსტრიულ ობერვარტშიც იჭიდავებენ მსოფლიოს თასზე, ოღონდ იქ მოასპარეზე გუნდს მწვრთნელი უახლოეს დღეებში დაასახელებს.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი**

**კაცები**

**60 კგ.** 1. რიშოდ სობიროვი (უზბეკეთი), 2. ვონ-ჯინ კიმი, 3. ინ-მინ იანგი (ორივე - კორეა), **ამირან პაპინაშვილი (საქართველო).**

**66 კგ.** 1. დავიდ ლაროსე (საფრანგეთი), 2. იუნ-ჰო ჩო (კორეა), 3. ცაგანბაატარ ხაშბაატარი (მონღოლეთი), სერგეი ლიმი (ყაზახეთი).

**73 კგ.** 1. ნიამ-ოჩირ საინჯარგალი (მონღოლეთი), 2. კრისტოფერ ვოლკი (გერმანია), 3. ჟილ ბონომე (საფრანგეთი), ზელიმხან ოზდოევი (რუსეთი).

**81 კგ.** 1. ოლე ბიშოფი (გერმანია), 2. ანტონიო კიანო (იტალია), 3. კეიტა ნაგაშიმა (იაპონია), სერგეი ტომა (მოლდოვა).

**90 კგ.** 1. დილშოდ ჩორიევი (უზბეკეთი), 2. რომან გონტიუკი (უკრაინა), 3. ეშლი გონსალესი (კუბა), კირილ დენისოვი (რუსეთი). **5. ვალერი ლიპარტელიანი (საქართველო).**

**100 კგ.** 1. ნაიდან ტუვშინბაიარი (მონღოლეთი), 2. იევგენიუს ბოროდავკო (ლატვია), 3. ტემუულენ ბატულგა (მონღოლეთი), რამზიდინ საიდოვი (უზბეკეთი).

**+100 კგ.** 1. ტედი რინერი (საფრანგეთი), 2. რაფაელ სილვა (ბრაზილია), 3. სუნ-მინ კიმი (კორეა), აბდულო ტანგრიევი (უზბეკეთი).

**ქალები**

**48 კგ.** 1. ტომოკო ფუკუმი (იაპონია), 2. სარა მენეზესი (ბრაზილია), 3. ალინა დუმიტრუ (რუმინეთი), ურანცეცეგ მუნკბატი (მონღოლეთი).

**52 კგ.** იუკა ნიშიდა (იაპონია), 2. ბუნდმაა მუნკბაატარი (მონღოლეთი), 3. ჟანეტ ბერმოი აკოსტა (კუბა), ანნა კარაკოსა (ესპანეთი).

**57 კგ.** 1. ტელმა მონტეირო (პორტუგალია), 2. აიკო სატო (იაპონია), 3. მარტი მალოუ (აშშ), აუტომნე რავია (საფრანგეთი).

**63 კგ.** 1. მიკი ტანაკა (იაპონია), 2. და-ვონ იოუნი (კორეა), 3. ალისე შლეზინგერი (ისრაელი), ელისაბედ ვილებორდსი (ჰოლანდია).

**70 კგ.** 1. ჰარუკა ტაჩიმოტო (იაპონია), 2. ლუსი დეკოსე (საფრანგეთი), 3. იე-სულ ჰვანი (კორეა), იორიკო კუნიჰარა (იაპონია).

**78 კგ.** 1. მაირა აგუიარი (ბრაზილია), 2. კაილა ჰარისონი (აშშ), 3. აკარი ოგატა (იაპონია), ოდრი ჩუმეო (საფრანგეთი).

**+78 კგ.** 1. მეგუმი ტაჩიმოტო (იაპონია), 2. ელენა ივაშენკო (რუსეთი), 3. ანე-სოფიე მონდიერე (საფრანგეთი), იდალის ორტისი (კუბა).

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიით და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებით და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

**ხუან ანტონიო სამარანჩი**

● ოლიმპიური საქართველო

## 2000-2004 წლები




ორი ოლიმპიური ციკლი დასჭირდა დამოუკიდებელი საქართველოს სპორტს, ვიდრე ქვეყანას ეროვნული დროშის ქვეშ პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მოევლინებოდა. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ საამაყო ოლიმპიური ტრადიციების საქართველოში ეს დღე აუცილებლად დადგებოდა. არც ის იყო ძნელი ამოსაცნობი, რომ დანატრებულ გამარჯვებას რომელიმე ფალავანი ან ძალოსანი მოგვიტანდა. სპორტის ამ სახეობების წარმომადგენლები მზად იყვნენ საამისოდ. გავიხსენოთ რა ახლოს იყო **გიორგი ასანიძე** საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან სიდნეიში. ოთხი წლის შემდეგ მან მაინც თქვა თავისი სიტყვა ოლიმპიურ ფიცარნაგზე და სიდნეის „ბრინჯაო“ ათენში „ოქროდ“ აქცია. მაგრამ პირველმა ეს ძვირფასი ჯილდო ქართულ სპორტს მაინც **ზურაბ ზვიადაურმა** მოუტანა. ასეთია ქრონოლოგია, რადგან, ტრადიციულად ოლიმპიურ ტურნირს ძიუდოისტები ძალოსნებზე ადრე იწყებენ და გამარჯვებულ-პრიზიორებიც ადრე ვლინდებიან. სიდნეიში გამოსვლით გულდაწყვეტილმა ძიუდოისტმა **ნესტორ ხერგიანმა** ათენში შეუპოვრად იბრძოლა და ოლიმპიურ ვერცხლის მედალს დაეუფლა. იგივე ჯილდო ხვდა წილად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **რამაზ ნოზაძეს**, რომლის ოლიმპიური დებიუტი ათენში შედგა. რამაზი ჩინებულად იყო მომზადებული და მეტის მიღწევაც შეეძლო. წინა წელს ახალგაზრდებს შორის გახდა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, დიდებში მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული, ხოლო მესამე იყო მსოფლიოზე. 2003-2004 წლებში მსოფლიოს თასიც მოიგო.

სულ ათენში 33 ჩვენი ათლეტი გავიდა ოლიმპიურ სარბიელზე სპორტის 11 სახეობაში (ყველა ჩვენი სპორტსმენის მიერ ნაჩვენებ შედეგებს გაზეთის ამავე გვერდზე გაეცნობით). ათენში გამარჯვებულებს და პრიზიორებს წარმოგიდგენთ 2004 წლამდე და ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მიღწეული შედეგების ჩათვლით. 28-ე ოლიმპიადამ დაგვანახა, რომ ქართული სპორტი სწორი გზით ვითარდებოდა. უკვე მომდევნო 29-ე თამაშებმა ეს პრაქტიკულად დაადასტურა. ყველაზე ხელდამშვენებულნი ჩვენი ოლიმპიელები სწორედ პეკინიდან დაბრუნდნენ 2008 წელს. მაგრამ ამაზე შემდეგ გამოშვებაში.

## საუკეთესოდ ზვიადაური დასახელდა

2004 წლის სპორტული შედეგების მიხედვით საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმმა საუკეთესო სპორტსმენად დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, ძიუდოისტი **ზურაბ ზვიადაური** დაასახელა.

● თქვენთვის, ერუდიტებო!

### ვიქტორინა

#### ეძღვნება XXIX ოლიმპიურ თამაშებს

**1. სად ჩატარდა 2004 წლის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები?**

ა - სიდნეიში
ბ - პეკინში
გ - არ ჩატარებულა

**2. რამდენი ოქროს მედალი მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა ზაფხულის 29-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - 1
ბ - 2
გ - 3

**3. რომელ ქვეყანას ხვდა წილად საერთო გამარჯვება 29-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - ჩინეთს
ბ - აშშ-ს
გ - რუსეთს

**4. საქართველოს ოლიმპიელებმა სპორტის რომელ სახეობაში მოიპოვეს ერთზე მეტი მედალი 29-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - თავისუფალ ჭიდაობაში
ბ - ძიუდოში
გ - ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

**5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 29-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - 30
ბ - 32
გ - 35

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ.

● საინტერესო ფაქტები

**1896** წელს ათენში თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების ჩატარება სულ 3 მილიონი 740 ათასი დრაჰმა დაჯდა, რაც მაშინდელი კურსით 542 300 დოლარი იყო. აქედან 332 ათასი დრაჰმა უცხოეთში მცხოვრებმა ბერძნებმა შეაგროვეს, 400 ათასი კი ოლიმპიური საფოსტო მარკების რეალიზაციამ მოიტანა.

■ ■ ■

**საერთოდ ათენში** 2004 წელს გამართულ ოლიმპიურ თამაშებში საქართველოში აღზრდილ-დაოსტატებული ორ ათეულზე მეტი სპორტსმენი ასპარეზობდა სხვა ქვეყნის სახელით.

■ ■ ■

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო ბრიტანელი **სესილია კოლეჯი**, რომელმაც ლეიქ პლესიდის 1932 წლის თამაშებზე იასპარეზა. მაშინ ის სულ რაღაც 11 წლისა და 3 თვის იყო. 1936 წლის ოლიმპიადაზე გერმანიაში, მან უკვე პირველი მედალი მოიპოვა (ვერცხლი). 2008 წელს კოლეჯი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

● საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე



## ზურაბ ზვიადაური

დაიბადა 02.07.1981, ახმეტა. **ძიუდო** (90 კგ). პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში (2004, ათენი, XXVIII ოლიმპიადა), მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (2001, 03), ევროპის ორგზის ჩემპიონი გუნდურ (2002, 03) და მესამე პრიზიორი პირად შეჯიბრებაში (2002), მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში (2002), მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (2000), მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების მეორე პრიზიორი (1998). ღირსების ორდენის კავალერი.

## გიორგი ასანიძე

დაიბადა 30. 08. 1975, საჩხერე. ძალოსნობა (77 და 85 კგ). 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (საუკეთესო შედეგი სამმა ძალოსანმა აჩვენა. მათ შორის მედლები პირადი წონის მიხედვით განაწილდა, საშეულში კი ყველაზე მძიმე ქართველი სპორტსმენი აღმოჩნდა). მსოფლიოს ჩემპიონი (2001) და მეორე პრიზიორი (2002), ევროპის სამგზის ჩემპიონი (2000, 01, 02) და მეორე პრიზიორი (1998). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1994, 95). აქტაცში დამყარებული აქვს ორი მსოფლიო რეკორდი: 168 კგ (77 კგ კატეგორიაში, 1998) და 186 კგ (85 კგ კატეგორიაში, 2000). საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1998, 2000, 01). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.



## წლები და შედეგები

### ოლიმპიადა: XXVIII, ათენი, 2004 წ.

**I ადგილი: ზურაბ ზვიადაური** - ძიუდო (90კგ); **გიორგი ასანიძე** - ძალოსნობა (85).

**II ადგილი: ნესტორ ხერგიანი** – ძიუდო (60); **რამაზ ნოზაძე** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (96).

**V ადგილი: დავით მარგოშვილი** - ძიუდო; **დავით პოღოსიანი** -თავისუფალი ჭიდაობა.

**VI ადგილი: ირაკლი ჭოჭუა** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

**I - VI ადგილებს** მიღმა დარჩნენ: **დავით ქევხიშვილი** (ძიუდო) - VII; **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა) - XIII, X; **ელდარ კურტანიძე** (თავ. ჭიდაობა) - VIII; **რუსუდან ხოფერია** (ბატუტი) - IX; **აკაკი ჩაჩუა** (ბ\რომაული ჭიდაობა) - IX; **ივერი ჯიქურაული** (ძიუდო) - IX; **რევაზ მინდორაშვილი** (თავ. ჭიდაობა) - XIII; **ალექსანდრე მოდებაძე** (თავ. ჭიდაობა) - XIV; **გელა სალირაშვილი** (თავ. ჭიდაობა) - XIV; **არსენ კასაბიევი** (ძალოსნობა)- XIV; **მირიან გიორგაძე** - ბ\რომაული ჭიდაობა) - XV; **ნიკოლოზ იზორია** (კრივი) - 1\8 ფინალი; **მუხრან ვახტანგაძე** (ბ\რომაული ჭიდაობა) - XVIII; **ოთარ თუშიშვილი** (თავ. ჭიდაობა) - XXI; **ილია გიორგაძე** (ტანვარჯიში) - XXII; **კონსტანტინე კუპატაძე** (კრივი) - მეორე წრე; **გრიგოლ მამრიკიშვილი** (ძიუდო) - I წრე; **ლაშა გუჯეჯიანი** (ძიუდო) - I წრე; **ხათუნა ნარიმანიძე** (მშვილდოსნობა) - 1\32; **ქრისტინე ესებუა** (მშვილდოსნობა) - 1/32; **მარიამ ქევხიშვილი** (მძლეოსნობა) - XXXIV; **დავით ილარიანი** (მძლეოსნობა) - XXXIV; **იულია დუბინა** ( მძლეოსნობა) - XXXI; **ზურაბ ხომასურიძე** (ცურვა) - კვალიფიკაცია; **მანუჩარ კვირკველია** (ბ\რ ჭიდაობა) - დისკვალიფიკაცია; **ირაკლი ლაბაძე** (ჩოგბურთი) - ტრავმა.

**მონაწილე** - 33. ოქრო - 2, ვერცხლი - 2. სულ 4 მედალი.



## რამაზ ნოზაძე

დაიბადა 16.10.1983, თბილისი. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** (96 კგ). ათენის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (2004), მსოფლიოს ჩემპიონი (2007) და მესამე პრიზიორი (2003), ევროპის ორგზის ჩემპიონი (2003; 2007), მსოფლიოს თასის ორგზის (2003, 04) და ევროპის თასის მფლობელი (2004). მსოფლიოსა (2003) და ევროპის ჩემპიონი (2003) ახალგაზრდებს შორის.

## ნესტორ ხერგიანი

დაიბადა 20.07.1975, მესტია. **ძიუდო** (60 კგ). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1998, 03) და შვიდგზის მესამე პრიზიორი (1999-02, 07, 08; 09). XXVIII ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (2004, ათენი), XXVII ოლიმპიადის მონაწილე (2000, სიდნეი - დამარცხდა სანუგეშო წრეში), მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (2007) და მესამე პრიზიორი (1999), ევროპის სამგზის (2002, 03, 07) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (2006; 08) გუნდურ პირველობაში, ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (1992), მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის სამბოში (1994). ღირსების ორდენის კავალერი.



● შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** ამბობენ, რომ ჭადრაკი ერთ დროს შედიოდა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. მართალი თუ არა ეს ცნობა?

**სანდრო ჭანტურია**
თბილისი

პასუხი: დიახ, მართალია. 1924 წელს პარიზში VII ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭადრაკიც იყო შეტანილი, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სათამაშოდ მხოლოდ მოყვარულები მიიწვია. ოლიმპიადის მიღმა დარჩნენ ა. ალიოხინი ა. ნიმცოვიჩი, ზ. ტარაში, მ. ვიდმარი და სხვა ცნობილი დიდოსტატები. შემდეგ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი უკვე თვით ჭადრაკის მესვეურებმა განაცხადეს. საგულისხმოა, რომ საერთაშორისო საჭადრაკო ორგანიზაცია (ფიდე) სწორედ პარიზის ოლიმპიადის საჭადრაკო ტურნირის დამთავრებისთანავე (1924 წლის 2 ივლისი) დაფუძნდა.




ასე რომ, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭადრაკი პირველად და უკანასკნელად პარიზის ოლიმპიადაზე გამოჩნდა 1924 წელს.

**„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/**

გაგრძელება ყოველი თვის პირველ ორშაბათს    პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## კალათბურთი. სუპერლიგა. XII ტური

საქართველოს ჩემპიონატმა იანვრის ძილის შემდეგ გამოიღვიძა, „თვალი გაახილა“ და სიახლეებიც შემოგვთავაზა. მთავარი მოვლენა მატჩისშემდგომი პრესკონფერენციების შემოღებაა, რაც ევროპაში დიდი ხანია კარგად აპრობირებული მეთოდია. ორი-სამი წლის წინათ პრესკონფერენციები თამაშების წინა დღეს იმართებოდა. სწორედ მაშინ ვწერდით - მწვრთნელებისა და ჟურნალისტების შეხვედრა არა ტურის წინ, არამედ მათი დასრულების შემდეგ უნდა გაიმართოს-თქო. კითხვა თამაშიდან გამომდინარე ჩნდება და მისასალმებელია, რომ ამიერიდან ყველაფერი ევროპულად, ცივილიზებულ ფორმებში მოექცევა.

ვერ ვიტყვით, ტური თანაბარი მატჩებით იყო დატვირთული, შესაბამისად, ყველა შეხვედრის ბედი ბოლო წუთებამდე გადაწყდა. საყურადღებოა, რომ გამარჯვებას იმ გუნდებმა მიაღწიეს, რომლებსაც ფარქვეშ საქმე კარგად ჰქონდათ. ასე იყო ბოლო შეხვედრაშიც, რომელშიც „სამედიცინომ“ სტუ დაამარცხა. სამწამიან ზონაში მეტოქეს ბურთი არ დაანება „მედიკოსმა“ აკაკი დვალიშვილმა, რომელმაც ბურთი 17-ჯერ მოხსნა, ერთით ნაკლები 16 ქულა ჩააგდო (12-დან 7 ორქულიანი, 5-დან 2 საჯარიმო). ასე და ამგვარად, ტურის საუკეთესო კალათბურთელად სწორედ დვალიშვილი დავასახელეთ.

საინტერესოა, რომ სწორედ ამ ტურში შსს-მ პირველმა შეაბიჯა 1000-იანებში. მის ანგარიშზე 1027 ქულაა.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ნარინჯისფერი ტური

**4 თებერვალი, თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**დინამო-ქუთაისი 79:55**

**14:15, 20:15, 25:16, 20:9**

**დინამო:** ს. ლეჟავა (5ქ, 3პ), სანაძე (19ქ, 5მ, 3პ), მარხვაშვილი (5ქ, 3პ), წივწივაძე (11ქ, 7პ, 6მ, 4ჩ), ზესევიჩი (2ქ), იულიჩი (19ქ, 9მ, 5დ), კარტერი (16ქ, 12მ), კეიდია, მეხრიშვილი, სუხიშვილი (2ქ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (3ქ, 5პ), ბაბუნაშვილი (5ქ), დიდია (8ქ, 7მ), ცეკვავა (5ქ), ტუკვაძე, დ. ბარბაქაძე (14ქ, 3ჩ), ლომინაშვილი, გ. ბარბაქაძე (4ქ, 7მ), კუჭავა, კოლუაშვილი (4ქ), ქორიძე (2ქ), მათიაშვილი (10ქ, 10მ, 2დ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ს. საინერსი.

**კომისარი:** რ. ხომერიკი.

მწვანე და ნარინჯისფერი ერთმანეთს ძალიან უხდება. ამ ფერებში გამოწყობილი „დინამო“ და „ქუთაისი“ ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე ანგარიშის მიხედვით ძალიან ახლოს იყვნენ და მინიმალური სხვაობით ქუთათურებმა იმარჯვეს. სუპერლიგის მე-12 ტურში კი გაგვახსენეს, რომ ერთი ცივი ფერია (მწვანე), მეორე - თბილი (ნარინჯისფერი). „დინამომ“ მეორე პერიოდის ბოლოს 12-ქულიანი სხვაობა მოიპოვა და მაშინ, როცა ყველა მწვანეებში გამოწყობილი ქუთათურების იერიშებს ელოდა, გადამწყვეტი შტურმი კვლავ დინამოელებმა მიიტანეს - მეოთხე პერიოდი 20:9 მოიგეს.

იმერლები მიმდინარე სეზონში სამქულიანებით გამოირჩევიან, პირველ წრეში „დინამოს“ არც მეტი, არც ნაკლები - 15 სამიანი ჩაუგდეს. როგორც ჩანს, ეს კარგად ახსოვდათ თბილისელებს და საპასუხო მატჩში სტუმრები პერიმეტრზე მაქსიმალურად შეზღუდეს. საბოლოოდ, ქუთათურებმა მათთვის უჩვეულოდ ცოტა, 3 სამქულიანი გამოიყენეს. შესაძლოა ეს იყო წაგების ერთ-ერთი მიზეზი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **კარტერი-ოლუიჩის** დუეტს (ჯამში 35 ქულა, 21 მოხსნა) ვერც ფარქვეშ აჯობეს. ამიტომ, უნდა ყოფილიყო წაგების სხვა, მთავარი მიზეზი, რაზეც პრესკონფერენციაზე ქუთათურთა თავკაცმა **დავით უსტიაშვილმა** ილაპარაკა:

*- „ქუთაისი“ გადაღლილი იყო. დიდი ენერგია შევალიეთ საქართველოს თასზე თამაშებს. ძალების აღდგენა კი ვერ მოვასწარით, რადგან ძირითადი ტვირთი 7-8 კალათბურთელზე გადადიოდა. გუნდმა ფიზიკურად მხოლოდ საწყისი 10 წუთი გაძლო.*

პრესკონფერენციაზე „დინამოს“ დამრიგებელმა **ირაკლი ხოშტარიამ** უშუალოდ თამაშის გარდა გუნდის მიზნებზე გაამახვილა ყურადღება:

*- ხელმძღვანელობა უპირობოდ I ან II ადგილებზე გასვლას არ გვთხოვს. ჩვენი მთავარი მიზანი პლეი ოფში კარგი პოზიციით შესვლაა. ნამდვილად არ გვინდა, პირველივე ეტაპზე „არმიას“ შევხვდეთ.*

**4 თებერვალი, თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**ოლიმპი-თსუ 103:80**

**36:13, 29:15, 18:22, 20:30**

**ოლიმპი:** გამყრელიძე (3ქ, 11პ), გულისაბედაშვილი (4ქ), ნანიტაშვილი (6ქ, 3პ), თავართქილაძე (2ქ, 3პ), მილუტინოვიჩი (11ქ, 13მ), მ. ბერიშვილი (18ქ, 7მ), სლიუკა (16ქ, 3პ), მუმლაძე, სულაბერიძე (2ქ), ტოდოროვიჩი (22ქ, 6მ), ჰოგერი (19ქ, 9მ).

**თსუ:** კოხრეიძე (4ქ, 5მ, 5ჩ), თავამაიშვილი (2ქ), ნინიაშვილი (3ქ, 6მ), ხიზანიშვილი (8ქ), შერმადინი (8ქ, 8მ), ზ. მაისურაძე (2ქ), ჩქარეული (8ქ), ბაქრაძე (8ქ, 3პ), ჩიკვილაძე (24ქ, 10პ, 3ჩ), ვ. ბერუაშვილი (13ქ).

**მსაჯები:** ი. ბერიშვილი, მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე.

**კომისარი:** მ. რატიშვილი

მატჩის შემდეგ თსუ-სთვის სამსაჯო მაგიდიდან ოქმი **მიხეილ ჩიტაშვილმა** აიღო, რომელიც შეხვედრას თვალს ტრიბუნებიდან ადევნებდა. მან თასის მატჩში მიიღო დისკვალიფიკაცია და სუპერლიგის მე-12 ტური გამოტოვა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ შეხვედრის შედეგი ძირეულად შეიცვლებოდა მოედანზე ჩიტაშვილი რომ ყოფილიყო.

„ოლიმპს“ ხომ მეტევისკენ საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე** უძღვება, რომელსაც ქართველებიც კარგად ეხმარებიან და ლეგიონერებიც. ლაშა შაბათს იუბილარი იყო, 26 წლისა გახდა. ძალთა არათანაბრობა განსაკუთრებით თვალსაჩინო წინა ხაზში იყო: „ოლიმპმა“ მოხსნებში 57:43 იმარჯვა, ხოლო მისმა მეფარეებმა (**ტოდოროვიჩმა, ჰოგერმა** და **მილუტინოვიჩმა**) ერთობლივად 52 ქულა მიითვალეს. მატჩის ბომბარდირი ივან ტოდოროვიჩი გახდა, რომლის ანგარიშზე 22 ქულაა (14-დან 11 ორქულიანი). სუპერლიგაში მისი დებიუტი სწორედ თსუ-სთან შედგა. დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ივანი თამაშს კიდევ უფრო გააუმჯობესებს და გუნდს დიდ დახმარებას გაუწევს. იგი ბოლომდე რომ ვერ გაუშინაურდა სპორტის სასახლის ფარებს (ან სათანადო ფორმაში არ არის), ამას ექვსივე საჯარიმოს აცილება მოწმობს.

„ოლიმპის“ დამრიგებელმა **გია კაზანჯიანმა** გვაცნობა, რომ **ნიკოლა ტუტუსმა** მატჩი კოჭის ტრავმის (გადაუბრუნდა) გამო გამოტოვა:

*- იოლი შეხვედრა გამოდგა, რაც პირველ ტაიმში დაცვაში კარგმა თამაშმა განაპირობა.*

თსუ-ს მწვრთნელი **ნუგზარ ჭეიშვილი:**

*- ჩვენი გუნდი იანვარში გადახალისდა, გაახალგაზრდავდა. გვყავს სამი ახალწვეული, რომლებთანაც ბევრს ვმუშაობთ, რომ გუნდს რაც შეიძლება მალე მოერგნენ. „ოლიმპისგან“ განსხვავებით სხვა მიზნები გვაქვს და მასთან მატჩში თავს ექსპერიმენტების უფლება მივეცით.*

*- გვქონდა შეცდომები, რომლებსაც განვიხილავთ და შემდეგი მატჩებისთვის გამოვასწორებთ,* - დასძინა თსუ-ს ახალწვეულმა **ბექა ჩიკვილაძემ.**

**4 თებერვალი, თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**სტუ-სამედიცინო 73:87**

**21:15, 10:27, 15:18, 27:27**

**სტუ:** თევზაძე (2ქ), ჭოხონელიძე, მაჩალაძე (8ქ), ხანიაშვილი (10ქ, 5მ, 4პ), კობიძე, დეკანოიძე (6ქ), ძიძიგური (7ქ, 8პ), კოპალიანი (14ქ, 7მ), ნოზაძე (12ქ), ანთაძე (14ქ, 5მ, 4პ).

**სამედიცინო:** ტომარაძე, პირველაშვილი (6ქ, 5მ), აბაიშვილი (10ქ, 5მ, 7პ), შვანგირაძე (15ქ), ჭოჭუა (17ქ), ილიჩი (21ქ, 10მ, 3პ), დვალიშვილი (16ქ, 17მ, 2პ, 3ჩ), სამოილოვიჩი (2ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი, ს. საინერსი.

პირველი მეოთხედის მიხედვით რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მატჩი თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში უნდა წარმართულიყო. საწყის 10 წუთში სტუ-მ 21:15 მოიგო, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ მედიკოსები მეორე წრის წინ თურქეთში კარგად მოემზადნენ და ტექნიკოსებს ბოლომდე კარგად რომ გაეგრძელებინათ, მეტოქე ბოლო წუთებამდე არაფერს დათმობდნენ. თუმცა პირველი მეოთხედის ანგარიშმა მოგვატყუა: მეორე ათწუთეულში „სამედიცინომ“ 17:0 გაქცევა მოაწყო და 35:23 დაწინაურდა. მას მერე ჩავარდნა არ მოსვლია და საბოლოოდ 87:73 გაიმარჯვა.

დავინტერესდით, მწვრთნელის აზრით, რა იყო მეორე მეოთხედში მკვეთრი შემოტრიალების მიზეზი.

*- პირველი მეოთხედი საკუთარ თავში დასაჯერებლად დაგვჭირდა. მეორიდან თამაში ავაწყვეთ, თვითრწმენაც შეგვემატა და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოვიპოვეთ. თუმცა საერთო სურათით კმაყოფილი არ ვარ, გვქონდა შეცდომები,* - აღნიშნა „სამედიცინოს“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა კახა შენგელიამ.

სტუ-ს თავკაც **ზურაბ ტომარაძეს** ვკითხეთ, რატომ გაუშვა ორი წამყვანი კალათბურთელი (ჩიკვილაძე და **ბერუაშვილი**)...

*- გუნდს აქვს მიზანი სუპერლიგას სათანადო რესურსი მოუმზადოს, ნიჭიერი მოთამაშეები ჩვენთან დაოსტატდნენ და შემდეგ უკეთეს გუნდებში წავიდნენ. რაც მეტი კალათბურთელით დაინტერესდებიან, მით უკეთესი. ჩვენ კი გეგმის მიხედვით მზადებას განვაგრძობთ და მომდევნო მატჩებში თამაშს უფროდაუფრო გავაუმჯობესებთ.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

**სატურნირო მდგომარეობა**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 10 | 10 | 0 | 895/628 | 20 |
| 2. ოლიმპი | 11 | 9 | 2 | 902/795 | 20 |
| 3. ქუთაისი | 11 | 8 | 3 | 934/837 | 19 |
| 4. შსს | 11 | 7 | 4 | 1027/892 | 18 |
| 5. სოხუმი | 11 | 7 | 4 | 906/847 | 18 |
| 6. სტუ | 11 | 5 | 6 | 913/959 | 16 |
| 7. დინამო | 11 | 5 | 6 | 918/965 | 16 |
| 8. სამედიცინო | 11 | 4 | 7 | 930/965 | 15 |
| 9. თსუ | 11 | 4 | 7 | 888/947 | 15 |
| 10. ბათუმი | 11 | 1 | 10 | 792/1001 | 12 |
| 11. რუსთავი | 11 | 0 | 11 | 766/1035 | 11 |

## კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# მეორეში...

„ატლანტა ჰოქსმა“ სატურნირო ცხრილში დაწინაურების კარგი შანსი გაუშვა ხელიდან - შინ „ფილადელფიასთან“ დამარცხდა. არადა, ეს გუნდი ჯორჯიელთა მთავარი კონკურენტია. მოგებით ფილადელფიელები აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-3 ადგილზე დამკვიდრდნენ (17 მოგება, 7 წაგება). „ატლანტა“ მეხუთეა - 16 გამარჯვება, 8 წაგება.

ყველაფერი მეორე პერიოდში გადაწყდა, რომელიც „ქორებმა“ 20:37 წააგეს. 10 ქულას მხოლოდ სამი ჯორჯიელი ასცდა, მეტოქესთან შედარებით ორჯერ ნაკლები. ყველაზე მეტი „ატლანტას“ გამთამაშებელმა **ჯეფ ტიგმა** ჩააგდო - 21 ქულა. **ზაზა ფაჩულიამ** ოთხი ქულა ისე მოაგროვა, ბურთი არ აუცილებია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ატლანტა-ფილადელფია 87:98**

**ზაზა ფაჩულია:** 23 წუთი, 4 ქულა (2-დან 2 ორქულიანი), 3 მოხსნა, 1 პასი, 2 შეცდომა, 1 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 10:18 | 2-2 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 8:04 | 4-7 | პასი: 1 (ჯონსონი 2ქ) |
| 7:43 | 4-7 | შეცდომა: 1 |
| 5:50 | 10-10 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| **II პერიოდი** | | |
| 9:49 | 25-25 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა |
| 9:48 | 25-25 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 7:16 | 31-30 | ორქულიანი: 2ქ |
| 0:48 | 50-38 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | | |
| 1:47 | 74-62 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | | |
| 9:44 | 83-68 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 8:18 | 85-73 | ორქულიანი: 4ქ |
| 6:58 | 88-75 | ფოლი: 1 |
| 6:58 | 88-75 | შეცდომა: 2 |
| 5:58 | 90-75 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

## კალათბურთი. ვიზიტი

# მელით, მას

თბილისს სამუშაო ვიზიტით ეწვია ფიბა-ს ინსტრუქტორი, ყოფილი მსაჯი და არბიტრთა მეთვალყურე ესპანელი **ვიქტორ მასი.**

*- იგი ორშაბათ-სამშაბათს ქართველ თემიდელებთან სემინარებს გამართავს. ასევე დაესწრება საქართველოს 20 წლამდელთა მატჩებს და დააკვირდება ჩვენი არბიტრების მოქმედებას, რომლებსაც საერთაშორისო ასპარეზისთვის ვამზადებთ,* - გვითხრა ფიბა-ს კომისარმა **მერაბ რატიშვილმა.**

მან იქვე გვაცნობა, რომ ბატონი ვიქტორი პირადი ინსტრუქტორია **მაკა კუპატაძისა,** რომელიც ფიბა-ს კატეგორიის არბიტრია, ქალთა ევროლიგის მატჩებსაც მსაჯობს, თუმცა კიდევ უფრო მაღალი დონისთვის ემზადება (რაც ვაჟთა ევროტურნირებისა და ევროპის ფარგლებს გარეთ თამაშების გაძღოლასაც გულისხმობს).

*- ვიქტორ მასს გავაცანი ჩვენი სიტუაცია, ავუხსენი, რომ გვჭირდება მხარდაჭერა და ჩამოსვლაზე სიამოვნებით დამთანხმდა. ეს ვიზიტი ფიბა-ს სპეციალურ პროგრამაში შევიდა. ვფიქრობ, ახალგაზრდა ქართველი არბიტრები ამ დღეებში გამოცდილი ინსტრუქტორისგან ბევრს ისწავლიან,* - განგვიმარტა მაკა კუპატაძემ.

**ვაჟა სიმონიშვილი**




## ჩოგბურთი

# ქვაცაბაიამ წლის მესამე ტიტული მოიგო!

29 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (186) კარიერის საუკეთესო წლები უკან მოიტოვა, თუმცა ის მაინც ახერხებს მე-2 ასეულში ადგილის შენარჩუნებას და საქართველოს მეორე ჩოგანიცაა. სამწუხაროდ, მაკას უიღბლო სერია ძალიან გაუგრძელდა - ოქტომბრის შუაში სევილიის ტურნირში მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ, შეხვედრა ველარ მოუგია. შაბათს მაკა პარიზის რიგით მე-20 საერთაშორისო ტურნირში ჩაება, რომლის საპრიზო ფონდიც 637 ათასი დოლარია. ქართველისთვის ყველაფერი ძალიან მალე და ცუდად დასრულდა, ჩახნაშვილმა ფრანგ **ჟული კოინთან** უშანსოდ წააგო - 0:6, 0:6.

23 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (382) გაცილებით სუსტ ტურნირებში გამოდის, მაგრამ მაკასგან განსხვავებით, წარმატებულად ირჯება. მალიორკაზე (ესპანეთი, 10 ათასი დოლარი) ქართველმა წლის მესამე ტიტული მოიპოვა. მე-3 ნომრად განთესილმა ქვაცაბაიამ ჯერ ესპანელ **კაროლინა პრატს-მილიანს** მოუგო - 6:4, 6:0, შემდეგ კი - ვენესუელელ **იზაბელა ფერნანდესს** - 6:0, 6:0. მეოთხედფინალში მან ჩეხი **იანა იანდოვა** (823) დაამარცხა - 6:4, 6:3. უჩვეულო სიცივეებმა ბალეარის კუნძულებსაც უწიეს. ამიტომაც ტურნირი გაიწელა - ნახევარფინალში ქვაცაბაიას მეტოქე ესპანელი **პილარ დომინგეს-ლოპესი** (788) იყო, რომელსაც ჩვენი თანამემამულე ძალიან იოლად გასცდა - 6:0, 6:1.

გუშინ ფინალური მატჩიც გაიმართა - ქვაცაბაია კვლავ გავიდა კორტზე და ამჯერად მე-7 ნომრად განთესილი მასპინძელი, **ივონე კავალიე-რეიმერსი** (522) დაამარცხა - 6:2, 6:3. როგორც ხედავთ, ჩვენებურმა ხუთივე მეტოქე ისე დაამარცხა, სეტი არ დაუთმია. ახალ სეზონში მას ფანტასტიკური შედეგი აქვს: 18 მატჩიდან 17 მოიგო და ოთხი ტურნირიდან სამში გაიმარჯვა!

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# უდანაკარგოდ მხოლოდ ბერაძეა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 18-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 50 გოგონა და ვაჟი მონაწილეობს. ეს შეჯიბრება შესარჩევი ტურნირიცაა, რადგან ჩემპიონები მსოფლიოს, ხოლო მეორე პრიზიორები ევროპის პირველობებზე გაემგზავრებიან.

გუშინ მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. გაუწყებთ მეწინავეთა პაექრობების შედეგებს.

**გოგონები.** ანა შამათავა - ნატო იმნაძე 0,5:0,5, ნათია ჯალაბაძე - ლიკა კობეშავიძე 0,5:0,5, ანა კუჭავა - თეკლა მაჭარაშვილი 1:0, ნანი უნაფქოშვილი - თათია კოხრეიძე 1:0, მარიამ ვალიშვილი - დეა გოგიშვილი 1:0, მარიამ ჭოლაძე - მარიამ ჯავახიშვილი 1:0.

**ვაჟები.** ნიკა ვოლკოვი - ირაკლი ბერაძე 0:1, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - კახაბერ წერეთელი 1:0, შალვა ნადირაშვილი - ირაკლი კელეპტრიშვილი 1:0, გიორგი სიბაშვილი - ნინო ხომერიკი 1:0, რევაზ ჭკუასელი - ნოე თუთისანი 0:1.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: **გოგონები.** კუჭავა (3) - შამათავა (3,5), იმნაძე (3,5) - უნაფქოშვილი (3), კობეშავიძე (3) - ჭოლაძე (3), კაკუტია (2,5) - ვალიშვილი (3). **ვაჟები.** ბერაძე (4) - ქუმსიაშვილი (3,5), თუთისანი (3) - ნადირაშვილი (3), წერეთელი (2,5) - სიბაშვილი (3).

**ვაჟა დანელია**

# მასპინძელს კოეფიციენტმა უშველა

პლოვდივში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში გასულ უქმეებზე ბოლო ორი ტურის პარტიები გათამაშდა. ქართველმა საერთაშორისო ოსტატმა **დავით ბენიძემ** მონაგარი 1,5 ქულით გაიმდიდრა და საბოლოოდ 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულას მოუყარა თავი: შაბათს მასპინძელ მომჩილ ნიკოლოვს დაუზავდა, გუშინ კი შავი ფიგურებით მისი თანამემამულე ...ამენ მლადენოვი დაამარცხა. მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ბულგარეთის ნაკრების წევრმა ივან ჩეპარინოვმა თანამემამულე პეტარ ბრენჩევს მოუგო. დაზავდნენ: ბრანკო ტადიჩი - კირილ გეორგიევი, ვალერი ლილოვი - მარიჯან პეტროვი, დეიან ანტიჩი - ზვონკო სტანოიოსკი, ვასილ სპასოვი - ალექსანდრ ინდიჯიჩი, მომჩილ ნიკოლოვი - გორან ტუდოროვიჩი, გეორგი ფილევი - გრიგორ გრიგოროვი.

ამდენად, ცხრა ტურის შემდეგ 7,5-7,5 ქულით და უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით პირველი-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, ჩეპარინოვმა, ბენიძემ, კირიგ გეორგიევმა (ბულგარეთი) და ტადიჩმა (სერბეთი) გაინაწილეს. 7-7 ქულით V-VIII ადგილები ანტიჩს (სერბეთი), სტანოიოსკის (მაკედონია), ლილოვსა და პეტროვს (ორივე - ბულგარეთი) ერგოთ. დავით ლომსაძემ 6 ქულით ასპარეზობა მე-40 ადგილზე დაასრულა.

**ვაჟა დანელია**



ნინო ბაციაშვილი

# ნინო ბაციაშვილი რუსეთში პირველია

საჭადრაკო ფესტივალის Moscow Open 2012-ის პროგრამით განსაკუთრებულ ინტერესს სტუდენტთა წრიული სისტემით გამართული შეჯიბრება იწვევდა: რუსეთის სახელმწიფო სოციალური უნივერსიტეტის თასისთვის 10-10 ქალ-ვაჟი იბრძოდა. ბათუმელმა დიდოსტატმა **ნინო ბაციაშვილმა** პირველი ტურიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ბოლომდე არ დაუთმია. მერვე ტურში ჩვენებურმა მასპინძელ მარინა სევერინას სძლია თეთრი ფიგურებით. მისმა უახლოესმა კონკურენტებმა კი ნახევარ-ნახევარი ქულა დაკარგეს: პოლონელი კარინა სუეპკოვსკა-ჰოროვსკა რუს დარია პუსტოვოიტოვას დაუზავდა, ბელარუსმა ნასტასია ზიაზიულკინამ კი რუმინელ ირინა ბულგამასთან გაიყო ქულა (დანარჩენი პარტიები: რუთ რადმინი (ინდოეთი) - დინა დროზდოვა (რუსეთი) 1:0, ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) - ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი) 0,5:0,5.

გუშინ ბოლო ტურში ბაციაშვილმა კვლავ გაიმარჯვა - ამჯერად შავი ფიგურებით დინა დროზდოვას აჯობა და 9 შესაძლებლიდან 7 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. ბოლო ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: გორიაჩკინა - ჰოროვსკა 0,5:0,5, ზიაზიულკინა - კაშლინსკაია 1:0, სევერინა - ბულმაგა 0:1, პუსტოვოიტოვა - რადმინი 0,5:0,5).

საბოლოო შედეგები: ბაციაშვილი - 7, ზიაზიულკინა - 6,5, ჰოროვსკა - 6, გორიაჩკინა - 5,5, რადმინი - 5, პუსტოვოიტოვა, კაშლინსკაია - 4,5-4,5, ბულმაგა - 3, სევერინა, დროზდოვა - 1,5-1,5 ქულა.

ვაჟებშიც ცხრა შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა 17 წლის უკრაინელმა დიდოსტატმა **იაროსლავ ჟერებუხმა**, რომელსაც გალელი დიდოსტატი, ევროპის ჩემპიონატების ორგზის პრიზიორი **ბაადურ ჯობავა** უწევს კონსულტაციებს. 6 ქულით მეორე ადგილზე მასპინძელი, ტურნირის რეიტინგფავორიტი მაქსიმ მატლაკოვი გავიდა, 5,5 ქულით, მესამე იყო ამერიკელი რეი რობსონი.

მოსკოვის საჭადრაკო ფესტივალზე რუსეთის თასის ეტაპში ქალთა შორის სხვადასხვა ქვეყნის 154 წარმომადგენელი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. ბოლო ტურის წინ ერთბაშად 5 მონაწილეს ჰქონდა 6,5-6,5 ქულა, მათ შორის **ნაზი პაიკიძეს**. გუშინ იგი შავი ფიგურებით ჩინელ ქიან ჰუანს დაუზავდა, ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ მასპინძელი ანასტასია ბოდნარუკი და თურქი ეკატერინა ატალიკი, ხოლო რუსეთის ქალთა ნაკრების ყოფილმა წევრმა მარია რომანკომ შავი ფიგურებით თანამემამულე მარია ფომინიხს აჯობა, 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და პირველობა გაინაღდა. 7-7 ქულითა და დამატებითი მაჩვენებლებით მეორე-მეშვიდე ადგილებზე ქიან ჰუანი (ჩინეთი), ბაირა კოვანოვა, ელმირა მირზოევა (ორივე - რუსეთი), ეკატერინა ატალიკი (თურქეთი) და ნაზი პაიკიძე (საქართველო) გავიდნენ. ვაჟებში საპრიზო სამეული კი ასე განაწილდა: იგორ ლისი - 7,5, ერნესტო ინარკიევი - 7, დმიტრი კოკარევი (სამივე - რუსეთი) - 7 ქულა.

ვაჟთა ტურნირის ერთადერთი ქართველი მონაწილე **ზურაბ ჯავახაძე** 6 ქულით 30-ე ადგილს დასჯერდა.

**ვაჟა დანელია**

რაგბი

ერთა თასი



# სტეუარის ყინვაში გამობრძმედილი გამარჯვება

ერთა თასის წლევანდელი გათამაშება ბუქარესტში რუმინეთისა და პორტუგალიის ნაკრებების დაპირისპირებით გაიხსნა. თამაში, რომელიც დიდი შანსი იყო, უამინდობის გამო გადაეტანათ, მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა - 15:7.

მატჩი ბუქარესტში სამგრადუსიან ყინვაში ჩატარდა. მოედანი თოვლით იყო დაფარული, თუმცა ქალაქის ხელმძღვანელების აქტიური გარჯის წყალობით მისი გადაწმენდა მოხერხდა და მატჩის კომისარმა მოედანი ვარგისად ჩათვალა. აღსანიშნავია, რომ მინდორი წითლად დახაზეს ხოლო ბურთი ყვითელი იყო.

ექსტრემალურ პირობებში რუმინეთის ნაკრებს პირველ ტაიმში ძალიან გაუჭირდა. სათამაშო უპირატესობას პორტუგალიელები ფლობდნენ და ტაიმიც მოიგეს - 7:5. „სტეუარი" მოწინააღმდეგის ლელოს პირველ ნახევარში მხოლოდ ორჯერ მიუახლოვდა.

მატჩის მე-7 წუთზე რუმინელთა მგეზავმა **დანუც დუმბრავამ** მოედნის საკუთარი ნახევრიდან ბურთი ფეხით პორტუგალიელთა 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან დაჰკიდა. იქ ყველას მასპინძელთა გარემარბმა **მადალინ ლემნარუმ** დაასწრო, ბურთს დაეუფლა და ფულბეკ **ანტონიო აგილარს** გვერდი ოსტატურად აუარა. ლემნარუს მიერ გატანილი ლელო დუმბრავამ ვერ გარდასახა - 5:0.

ამის შემდეგ მასპინძლებმა ტაიმის შუაწელში კიდევ ერთხელ შეუტიეს „ლობუშების" ლელოს ხუთმეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლით, მაგრამ უშედეგოდ. პორტუგალიელები ბურთს უფრო ხშირად ფლობდნენ, თუმცა ლელოს გატანა მხოლოდ რუმინელთა უხეში შეცდომის გამოყენებით შეძლეს. ამ შემთხვევაში თავი აგილარმა გამოიჩინა. მის მიერ გატანილი ლელო ცხრა ნომერმა **პედრო ლეალმა** გარდასახა - 7:5.

შესვენების შემდეგ მოედანზე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. რუმინელთა შერკინებამ იმძლავრა და მეტოქეს უკვე აშკარად ჩაგრავდა. პორტუგალიელებს პრობლემები ჰქონდათ დერეფანში თამაშის დროსაც.

მატჩის 62-ე წუთზე რუმინელებმა საჯარიმო აუტში გადაიტანეს. დერეფნის მოგების შემდეგ მოლის შეკვრის ნაცვლად ბურთი გრძელ ფრთაზე გაათამაშეს. რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ „ლობუშების" დაცვის ხაზი დებიუტანტმა **ანდრეი ურსაკემ** გაჭრა, რომელიც მეორეხაზელი **ვალენტინ ურსაკეს** ძმაა. შეცვლაზე შესულმა ფლორინ ვლაიკუმ გარდასახა - 12:7. მანვე მატჩის მიწურულს მონაგარს საჯარიმოც მიუმატა და პორტუგალიელები პრემიალური ქულის გარეშე დატოვა - 15:7.

შეგახსენებთ, რომ მორიგი ტური 11 თებერვალს გაიმართება. საქართველოს ნაკრები სტუმრად ითამაშებს ესპანეთის ეროვნულ გუნდთან. პორტუგალიელები რუსებს უმასპინძლებენ, რუმინელები კიდევ ერთხელ ითამაშებენ შინ, ამჯერად უკრაინის ნაკრებთან.

**რუმინეთი-პორტუგალია 15:7**

რუმინეთი: 15. იულიან დუმიტრაში, 14. მადალინ ლემნარუ, 13. ჩაბა გალი, 12. კრისტიან დინისი, 11. გეორგ კატუნა, 10. დანუც დუმბრავა, 9. ვალენტინ კალაფეტეანუ. 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. მარიუს ტინკუ, 3. ვლად ბადალიჩესკუ, 4. ვალენტინ ურსაკე, 5. კრისტიან პეტრე, 6. მიჰაი მაკოვეი, 7. ვიორელ პეტრე, 8. დანიელ კარპო.

16. ნადრეი რადოი, 17. ანდრეი ურსაკე, 18. ალინ კოსტე, 19. ანდრეი გორჩიოაია, 20. ფლორინ სურუჯუ, 21. ფლორინ ვლაიკუ, 22. კონსტანტინ გეარა.

2ლ: ლემნარუ, ა.ურსაკე. გ,ს: ვლაიკუ.

პორტუგალია: 15. ანტონიო აგილარი, 14. ედუარდო ემტევეში, 13. ფრედერიკო ოლივეირა, 12. კარლ მურეი, 11. ბერნარდო სილვირა, 10. იანიკ რიკარდო, 9. პედრო ლეალი. 1. ჟოაო ჟუნიორი, 2. მაიკ ტაჟერი, 3. ჟორჟე სეგურადო, 4. დავიდ დოს რეისი, 5. გონსალო უვა, 6. ვასკო უვა, 7. ჟულიენ ბარდი, 8. ჟუან სევერინო.

16. ვაშკუ მარკესი, 17. ჟოაო მატეუში, 18. ჯოზე და კოსტა, 19. რუი დორეი, 20. ლუის სოუსა, 21. ფრანსისკო პინტუ, 22. ჟოზე ლიმა

ლ: აგილარი. გ: ლეალი.

მსაჯი: ლეო კოლგენი (ირლანდია)

**ერთა თასი**

| |
|---|
| **11 თებერვალი** |
| ესპანეთი-საქართველო |
| **25 თებერვალი** |
| საქართველო-პორტუგალია |
| **10 მარტი** |
| რუმინეთი-საქართველო |
| **17 მარტი** |
| საქართველო-რუსეთი |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საქართველო - 22 ქულა, 2. რუმინეთი - 20, 3. პორტუგალია - 14, 4. რუსეთი - 11, 5. ესპანეთი - 10, 6. უკრაინა - 0.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ექვსი ერი

# ფავორიტებმა გამარჯვებით დაიწყეს

ექვსი ერის გათამაშება, როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტების გამარჯვებით დაიწყო. საფრანგეთის ნაკრებმა პარიზში „სტად დე ფრანსზე" „სკუადრა აძურას" უმასპინძლა და შარშანდელი მარცხის გამო რევანში აიღო - 30:12.

უნდა აღინიშნოს, რომ საწყის 20 წუთში იტალიელებმა მასპინძლებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. ანგარიში ამ დროისთვის თანაბარი იყო - 3:3. ფრანგებმა მეტოქის დაცვის შეცდომა კარგად გამოიყენეს. შუამარბმა **ორელიან რუჟერიმ** დროული გადაცემა მიიღო ქართული წარმოშობის ცხრა ნომერ **დიმიტრი იაშვილისაგან** და ფრანგთა ლელოების ანგარიში გახსნა. „ლე ბლომ" ჯამში მატჩში ოთხი ლელო გაიტანა.

საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა შეხვედრა ედინბურგში, სადაც შოტლანდიის ნაკრებმა მნიშვნელოვნად გადახალისებულ ინგლისის ეროვნულ გუნდთან წააგო - 13:6. გადამწყვეტი ამ შეხვედრაში „პომების" მგეზავის **ჩარლი ჰოჯსონის** მიერ მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილი ლელო გამოდგა.

**საფრანგეთი-იტალია 30:12**

საფრანგეთი: 15. მაქსიმ მედარი, 14. ვინსან კლერი, 13. ორელიან რუჟერი, 12. ვესლი ფოფანა, 11. ჟულიენ მალზიო, 10. ფრანსუა ტრინ-დუკი, 9. დიმიტრი იაშვილი. 1. ვენსან დებატი, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლა მასი, 4. პასკალ პაპე, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. ლუის პიკამოლი.

16. დიმიტრი შარჟევსკი, 17. ჟან-ბატისტ პუ, 18. იოან მაესტრი, 19. იმანოლ არინორდოკი, 20. მორგან პარა, 21. ლიონელ ბუქსი, 22. მაქსიმ მერმოსი.

4ლ: რუჟერი, მალზიო, კლერი, ფოფანა. 2ს,2გ: იაშვილი.

იტალია: 15. ანდრეა მასი, 14. ჯოვანი ვენდიტი, 13. ტომაზო ბენვენუტი, 12. ალბერტო სგარბი, 11. ლუკ მაკლინი, 10. კრისტოფ ბარტონი, 9. ედუარდო გორი. 1. ანდრეა ლო ჩიჩერო, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. მარტინ კასტროჯოვანი, 4. კორნელიუს ფან ზილი, 5. ქუენტინ გელდენჰაუზი, 6. ალესანდრო ძანი, 7. რობერტო ბარბიერი, 8. სერჯო პარისე.

16. ტომაზო დაპიკე, 17. ლორენცო ჩიტადინი, 18. მარკო ბორტოლამი, 19. სიმონე ფავარო, 20. ფაბიო სემენცატო, 21. ტობიას ბოტესი, 22. გონსალო კანალე.

3ს,: ბარტონი (2), ბოტესი. ა: ბარტონი.

მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელსი)

**შოტლანდია-ინგლისი 6:13**

შოტლანდია: 15. რორი ლამონტი, 14. ჯო ჟოუნზი, 13. ნიკ დე ლუკა, 12. შონ ლამონტი, 11. მაქს ევანსი, 10. დენ პარქსი, 9. კრის კაზიტერი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ევან მურეი, 4. რიჩი გრეი, 5. ჯიმი ჰამილტონი, 6. ალასდაირ სტროკოში, 7. როს რენი, 8. დევიდ დენტონი.

16. სკოტ ლაუსონი, 17. ჯოფ გროსი, 18. ალისტერ კელოკი, 19. ჯონ ბარკლი, 20. მაიკ ბლერი, 21. გრეგ ლაიდლოუ, 22. გრემ მორისონი.

2ს: პარქსი

ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. ბრედ ბარიტი, 12. ოუენ ფარელი, 11. დევიდ სტრიტლი, 10. ჩარლი ჰოჯსონი, 9. ბენ იანგზი. 1. ალექს კორბისერო, 2. დილან ჰარტლი, 3. დენ კოლი, 4. მორის ბოთა, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ კროფტი, 7. კრის რობშო, 8. ფილ დოუსონი.

16. რობ ვებერი, 17. მეთ სტივენსი, 18. ჟოფ პარლინგი, 19. ბენ მორგანი, 20. ლი დიქსონი, 21. ჯორდან ტერნერ-ჰალი, 22. მაიკ ბრაუნი.

ლ: ჰოჯსონი. 2ს,გ: ფარელი

მსაჯი: ჯორჯ კლანსი (ირლანდია)

**ირლანდია-უელსი 21:23**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საფრანგეთი - 2 ქულა, 2. ინგლისი - 2, 3. უელსი - 2, 4. შოტლანდია - 0, 5. იტალია - 0. 6. ირლანდია - 0.

**ბესიკ ჯანგავაძე**



დიმიტრი იაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი



ვიქტორია აზარენკა

## აზარენკამ ვერ ითამაშა

ფედერაციის თასზე ერთ-ერთი მთავარი მატჩი ამერიკის ქალაქ უორჩესტერში იმართებოდა - ადგილობრივი ნაკრები ბელარუსს მასპინძლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდები მსოფლიოს ჯგუფში არ თამაშობენ, ყველას აინტერესებდა მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანის **ვიქტორია აზარენკასა** და **სერენა უილიამსის** დაპირისპირება. მაგრამ ორთაბრძოლა არ შედგა, რადგან ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა ზურგის ტრავმის გამო უარი თქვა კორტზე გასვლაზე.

*„ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებიდანვე ვგრძნობდი ტკივილს ზურგის არეში და იმედი მქონდა, რომ ამერიკასთან მატჩისთვის მოვასწრებდი გამოჯანმრთელებას, მაგრამ დრო საკმარისი არ აღმოჩნდა,* - წერია აზარენკას ოფიციალურ განცხადებაში. - *სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ შევძელი აღდგენა. ეს დიდი იმედგაცრუებაა, მაგრამ პირველ რიგში, მთავარი ჯანმრთელობაა. უახლოეს დღეებში სამკურნალო პროცედურებს დავიწყებ“.*

აზარენკას არყოფნაში აშშ-ის ნაკრებმა პირველი დღის შემდეგ იოლად წაიყვანა ანგარიში - 2:0. **კრისტიან მაკჰეილმა** 6:0, 6:4 მოუგო **ანასტასია იაკიმოვას**, **სერენა უილიამსმა** კი ასევე ორ სეტში მოუგო **ოლგა გოვორცოვას** - 7:5, 6:0.

### ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| **რუსეთი-ესპანეთი** | **3:2** |
| 1:0 მარია შარაპოვა-სილვია სოლერ ესპინოსა | 6:2, 6:1 |
| 2:0 სვეტლანა კუზნეცოვა-კარლა სუარეს ნავარო | 6:3, 6:1 |
| 2:1 ნადია პეტროვა-კარლა სუარეს ნავარო | 0:6, 3:6 |
| 3:1 სვეტლანა კუზნეცოვა-სილვია სოლერ ესპინოსა | 6:2, 4:6, 6:3 |
| 3:2 მაკაროვა/პეტროვა-ლაგოსტერა/პ-სანტონხა | 3:6 უარი |
| **ბელგია-სერბეთი** | **2:3** |
| 0:1 კირსტენ ფლიპკენსი-ელენა იანკოვიჩი | 5:7, 5:7 |
| 1:1 იანინა ვიკმაიერი-ბოიანა იოვანოვსკი | 6:4, 6:4 |
| 2:1 იანინა ვიკმაიერი-ალექსანდრა კრუნიჩი | 6:1, 6:0 |
| 2:2 კირსტენ ფლიპკენსი-ბოიანა იოვანოვსკი | 2:6, 4:6 |
| 2:3 ვიკმაიერი/ვან უიტვანკი-იოვანოვსკი/კრუნიჩი | 6:7(2), 6:4, 1:6 |
| **იტალია-უკრაინა** | **3:2** |
| 1:0 სარა ერანი-კატია ბონდარენკო | 6:2, 6:3 |
| 1:1 ფრანჩესკა სკიავონე-ლესია ცურენკო | 1:6, 2:6 |
| 2:1 ფრანჩესკა სკიავონე-კატია ბონდარენკო | 6:7(6), 7:5, 6:4 |
| 2:2 სარა ერანი-ლესია ცურენკო | 1:6, 0:3 უარი |
| 3:2 პენეტა/ვინჩი-ცურენკო/სავჩუკი | 7:5, 0:6, 6:1 |
| **გერმანია-ჩეხეთი** | **1:4** |
| 0:1 საბინ ლისიცკი-ივეტ ბენეშოვა | 6:2, 4:6, 2:6 |
| 0:2 იულია გორჯესი-პეტრა კვიტოვა | 6:3, 3:6, 8:10 |
| 0:3 საბინ ლისიცკი-პეტრა კვიტოვა | 7:6, 4:6, 1:6 |
| 1:3 ანჟელიკ კერბერი-ლუსი ჰრადეცკა | 6:4, 6:4 |
| 1:4 გრონეფელდი/კერბერი-ბენეშოვა/ზ. ზახვალოვა | 3:6, 6:7(4) |

## რეკონსტრუქცია გადაიდო

საფრანგეთის ღია პირველობის არენის - „როლან გაროსის“ განახლება 2017 წლისთვის გადაიდო.

როგორც სააგენტო AP იუწყება, საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჯერჯერობით უარი თქვა სპორტული კომპლექსის ძველი შენობების დანგრევაზე. საქმე ისაა, რომ აქ პარიზელი ბავშვები ჩოგბურთში მეცადინეობენ და ძველ კორტებს იქამდე არ აიღებენ, სანამ პარიზში ნორჩი ჩოგბურთელებისთვის ალტერნატიული სკოლა არ აშენდება.

ავსტრალიის ღია პირველობის, უიმბლდონისა და აშშ-ის ღიას არენებისგან განსხვავებით, „როლან გაროსი“ ყველაზე კომპაქტურ ტერიტორიაზეა განთავსებული და ჩოგბურთის მოყვარულები და მოთამაშეები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ვიწრო გასასვლელებისა და მცირე არენების გამო.

განახლებული „როლან გაროსი“ გრუნტის 35 კორტს დაიტევს, მათ შორის იქნება ცენტრალური მოედანი, რომელზეც მოძრავი სახურავი დამონტაჟდება. ეს საშუალებას მისცემს ორგანიზატორებს მატჩები ღამით ან წვიმიან ამინდში ჩაატარონ.

● კალათბურთი

## მაკედონიას ახალი მწვრთნელი ჰყავს

მაკედონიის ახალი მთავარი მწვრთნელი **მარიან ლაზოვსკი** გახდა.

მისმა წინამორბედმა **მარინ დოკუზოვსკიმ**, რომელმაც მაკედონია 2011 წლის ევრობასკეტზე სენსაციურად მეოთხე ადგილზე გაიყვანა, არ გააგრძელა კონტრაქტი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციასთან. დოკუზოვსკის საკლუბო სამუშაოზე სურს კონცენტრირება - ცოტა ხნის წინ ის ბულგარეთის „ლუკოილ-აკადემიკის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

49 წლის ლაზოვსკი აქამდე მაკედონიის ნაკრებში დოკუზოვსკის ასისტენტად მუშაობდა. იგივე თანამდებობა ჰქონდა მას იმ დროსაც, როცა ნაკრებს **იოვიცა არსიჩი** ავარჯიშებდა.

ლაზოვსკის მთავარი ამოცანა იქნება მაკედონიის ლონდონის ოლიმპიადაზე გაყვანა. საკვალიფიკაციო ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მაკედონიელთა მეტოქეები იქნებიან ანგოლა და ახალი ზელანდია. კვალიფიკაციიდან ზაფხულის თამაშებზე სამი საუკეთესო გუნდი მოხვდება.

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

## გადარჩენილი მწვრთნელი

„ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ ოფიციალურად გამოაცხადა კონტრაქტის გაფორმება გამოცდილ ფორვარდ **კენიონ მარტინთან**, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა.

34 წლის კალათბურთელი, რომელმაც სეზონის პირველი ნაწილი ჩინეთის ლიგაში გაატარა, ადრე „ნიუ ჯერსისა“ და „დენვერის“ შემადგენლობაში თამაშობდა, სულ კი NBA-ში 654 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 13.5 ქულა და 7.2 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ხელმძღვანელობამ საბოლოოდ უარი თქვა „ორლანდოს“ ლიდერის **დუაიტ ჰოვარდის** შეძენაზე. ამერიკული პრესის ცნობით, კალიფორნიულ კლუბში გადასვლა თავად კალათბურთელმა არ მოისურვა. „ლეიკერსსა“ და „ორლანდოს“ შორის გაცვლაც რომ შემდგარიყო, „სუპერმენი“ ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით ახალი გუნდის ძებნას დაიწყებდა. ასეთი ვარიანტი კი „ლეიკერსს“ არ აწყობდა.

ჰოვარდს იმის გამო არ სურს „ლეიკერსში“ გადასვლა, რომ გუნდს ასაკოვანი ლიდერები ჰყავს (**კობი ბრაიანტი** და **პაუ გასოლი**). გარდა ამისა, ის შიშობს, რომ **შაკილ ო'ნილს** შეადარებენ, რომელიც 1996 წელს გადავიდა „ორლანდოდან“ „ლეიკერსში“.

■ ■ ■

„პორტლენდის“ უიღბლო ცენტრი **გრეგ ოდენი** მარჯვენა მუხლზე ართროსკოპიულ ოპერაციას გაიკეთებს. კალათბურთელი, რომელიც „ბლეიზერსმა“ 2007 წლის დრაფტის პირველ ნომრად აირჩია, მოედანზე ორი წელია არ გამოჩენილა. მან ოთხი სეზონის განმავლობაში რეგულარულ ჩემპიონატში ჯამში 82 მატჩი ჩაატარა. ოდენის საშუალო შედეგიანობა 9.4 ქულასა და 7.3 მოხსნას შეადგენს.

2012 წლის ზაფხულში ოდენი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს.

■ ■ ■

როგორც ESPN.com იუწყება, "ნიუ ორლეანის" ხელმძღვანელობამ გადაიფიქრა ცენტრ **კრის კამანის** სხვა გუნდში გაშვება. უახლოეს დღეებში გერმანიის ნაკრების კალათბურთელი გუნდს დაუბრუნდება. კამანის გადაბირება სურდათ "კლივლენდს", "ინდიანასა" და "ჰიუსტონს", მაგრამ "ჰორნეტსი" არ დააკმაყოფილა ამ გუნდების წინადადებამ.

შეგახსენებთ, რომ კამანი "ჰორნეტსში" "კლიპერსთან" გაცვლის შედეგად მივიდა, რომელშიც **კრის პოლი** იყო ჩართული. ამ სეზონში "ნიუ ორლეანის" ცენტრის ხელფასი 14 მილიონ დოლარს შეადგენს.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რამდენიმე კლუბს სურს მცველ **ჯეი არ სმიტთან** კონტრაქტის გაფორმება. ეს კალათბურთელი ლოკაუტის დროს ჩინეთის ლიგაში "ჟეციანის" ღირსებას იცავდა. ამერიკული პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ სმიტზე პრეტენზიას აცხადებენ "ლოს ანჯელეს ლეიკერსი", "ნიუ იორკი" და "სან ანტონიო". ყოფილი დენვერელი თებერვლის ბოლოს გახდება თავისუფალი აგენტი.

სმიტის გუნდი, რომლის რიგებშიც ამერიკელმა ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ მატჩში 60 ქულა დააგროვა, სავარაუდოდ, პლეი ოფში ვერ მოხვდება, რაც კალათბურთელს NBA-ში დაბრუნების საშუალებას მისცემს.

■ ■ ■

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ "მაიამის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და "ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** იანვრის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელა.

აღმოსავლეთის ლაურეატმა ჯეიმსმა 21 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 29.7 ქულა, 8.3 მოხსნა და 7.0 შედეგიანი პასი მიითვალა.

ბრაიანტმა იანვარში ერთით მეტი მატჩი ჩაატარა, ოდნავ უკეთესი შედეგიანობა (30.0) ჰქონდა, მაგრამ ჩამორჩა ლებრონს მოხსნებისა და პასების რაოდენობით – 6.1 და 5.4. კობი ჯერჯერობით მიმდინარე რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირია.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე ჩატარებული მატჩების მთავარი ინტრიგა შემდეგში მდგომარეობდა – შეინარჩუნებდა თუ არა **მაიკ დ'ენტონი** "ნიუ იორკის" მთავარი მწვრთნელის პოსტს. იტალიური წარმოშობის სპეციალისტის ბედი გუშინ "ნიქსისა" და "ნიუ ჯერსის" მატჩის შედეგზე ეკიდა.

ნიუიორკელები შინ თამაშობდნენ ერთ-ერთი აუტსაიდერის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც გაუჭირდათ მოგება. დ'ენტონი თანამდებობის შენარჩუნებას ბევრისთვის უცნობ **ჯერემი ლინს** უნდა უმადლოდეს. "მეორეწლიანმა" კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა – 25 ქულა და 7 პასი მიითვალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თამაში ბოლო მეოთხედში, რომლის წინ "ნიქსი" 2 ქულას აგებდა. ბოლო 12-წუთეულში ლინის 12-მა ქულამ მოუტანა მასპინძლებსა და მის მწვრთნელს ასე სასურველი გამარჯვება.

### 3 თებერვალი

**ტორონტო-ვაშინგტონი 106:89**

**22:22, 33:23, 25:24, 26:20**

**ტ:** ბარბოზა (19), ა. ჯონსონი (18+13 მოხსნა), კლეიზა (15), ჯ. ჯონსონი (13), დეროზანი (11+7 მოხსნა), კალდერონი (8+17 პასი+8 მოხსნა).

**ვ:** იანგი (21), უოლი (15), ბუკერი (13+7 მოხსნა), კროუფორდი (11).

**ორლანდო-კლივლენდი 102:94**

**18:17, 30:20, 24:16, 30:41**

**ო:** ჰოვარდი (19+16 მოხსნა+8 დაფარება), რიჩარდსონი (19), თურქოგლუ (18+7 მოხსნა), ანდერსონი (17+8 მოხსნა), ვაფერი (11).

**კ:** გი (20), ირვინგი (18+6 პასი), ჯეიმისონი (16+12 მოხსნა), სეშენსი (14+8 პასი), ვარეჟაო (12+15 მოხსნა).

**დეტროიტი-მილუოკი 88:80**

**26:26, 25:15, 21:20, 16:19**

**დ:** ნაითი (26+7 პასი), მონრო (18+11 მოხსნა), პრინსი (13+9 მოხსნა), სტაკი (10), მაქსიელი (8+12 მოხსნა).

**მ:** ჯენინგსი (20), ლივინგტონი (14), ილიასოვა (9+12 მოხსნა).

**ოკლაჰომა-მემფისი 101:94**

**25:30, 19:20, 25:27, 32:17**

**ო:** დურანტი (36+10 მოხსნა), ჰარდენი (24), უესტბრუკი (21+7 პასი).

**მ:** გასოლი (24+8 მოხსნა), გეი (23+8 მოხსნა), ალენი (17), მაიო (13), კონლი (11).

**დალასი-ინდიანა 87:98**

**28:29, 25:23, 16:24, 18:22**

**დ:** ნოვიცკი (30+7 მოხსნა), კარტერი (14), ტერი (10).

**ი:** ჯორჯი (30+9 მოხსნა+5 ჩაჭრა), უესტი (20), გრეინჯერი (16), კოლისონი (13+6 პასი ), ჰიბერტი (9+14 მოხსნა).

**ფილადელფია-მაიამი 79:99**

**24:25, 23:26, 16:16, 16:32**

**ფ:** იანგი (16), მიქსი (13), უილიამსი (13), ჰოლიდეი (11+7 პასი), იგუოდალა (10+7 მოხსნა+6 პასი).

**მ:** უეიდი (26), ჯეიმსი (19+12 მოხსნა+8 პასი), ჩელმერსი (13+7 მოხსნა), ბოში (12), მილერი (12), კოული (11).

**ნიუ ჯერსი-მინესოტა 105:108**

**19:23, 31:26, 25:31, 30:28**

**ნ-ჯ:** მოროუ (42), ჰემფრიზი (16+9 მოხსნა+4 დაფარება), ფარმარი (14+7 პასი), დ. უილიამსი (12+14 პასი).

**მ:** პეკოვიჩი (27+11 მოხსნა), ლავი (20+10 მოხსნა), ჯონსონი (10+8 მოხსნა), რუბიო (10+10 პასი+6 ჩაჭრა), ბიზლი (10).

**ჰიუსტონი-ფინიქსი 99:81**

**30:20, 29:19, 21:22, 19:20**

**ჰ:** მარტინი (16), სკოლა (14+8 მოხსნა), ლი (12), პატერსონი (12+7 მოხსნა), ბადინგერი (12+10 მოხსნა), დრაგიჩი (10).

**ფ:** გორტატი (15+12 მოხსნა), დადლი (15), ბრაუნი (12).

**ბოსტონი-ნიუ იორკი 91:89**

**27:28, 22:27, 20:17, 22:17**

**ბ:** პირსი (30+7 მოხსნა), გარნეტი (15+8 მოხსნა), ალენი (14).

**ნ-ი:** ენტონი (26+6 პასი), ჩენდლერი (20+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (16+11 მოხსნა), ფილდზი (11).

**დენვერი-ლეიკერსი 89:93**

**21:23, 20:21, 27:28, 21:21**

**დ:** ჰარინგტონი (24+8 მოხსნა), მილერი (16+7 პასი), ლოუსონი (14+7 პასი), ნენე (12).

**ლ:** ბინუმი (22+10 მოხსნა), ბრაიანტი (20+9 პასი), გასოლი (13+17 მოხსნა), გუდლოკი (13), ფიშერი (10).

### 4 თებერვალი

**ატლანტა-ფილადელფია 87:98**

**21:20, 20:37, 21:24, 25:17**

**ა:** ტიგი (21+6 პასი), ჯ. ჯონსონი (16), ა. ჯონსონი (14+13 მოხსნა), სმიტი (9+10 მოხსნა+7 დაფარება).

**ფ:** ვუჩევიჩი (15), იანგი (14), უილიამსი (14), ჰოვსი (14), ტერნერი (11), მიქსი (10+5 ჩაჭრა), იგუოდალა (9+8 მოხსნა+10 პასი).

**ინდიანა-ორლანდო 81:85**

**21:23, 18:16, 14:23, 28:23**

**ი:** გრეინჯერი (19+7 მოხსნა), ჰენსბრო (17+7 მოხსნა), ჯორჯი (13+7 მოხსნა), კოლისონი (10), ჰიბერტი (10).

**ო:** ჰოვარდი (27+8 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (17), ანდერსონი (12+7 მოხსნა), თურქოგლუ (9+10 მოხსნა).

**ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი 99:92**

**20:30, 26:18, 24:24, 29:20**

**ნ-ი:** ლინი (25+7 პასი), ჩენდლერი (17+9 მოხსნა), ენტონი (11), ჯეფრიზი (9+10 მოხსნა).

**ნ-ჯ:** დ. უილიამსი (21+11 პასი), ჰემფრიზი (20+12 მოხსნა+4 დაფარება), ფარმარი (19), მოროუ (11), ჯ. უილიამსი (10).

**მინესოტა-ჰიუსტონი 100:91**

**33:25, 22:17, 26:30, 19:19**

**მ:** ლავი (25+18 მოხსნა), რიდნური (22), რუბიო (13+11 პასი), პეკოვიჩი (11+9 მოხსნა), ბარეა (10).

**ჰ:** ლოური (24+11 პასი), სკოლა (24+8 მოხსნა), პატერსონი (14), პერსონი (11+7 მოხსნა).

**სან ანტონიო-ოკლაჰომა 107:96**

**25:21, 32:26, 31:23, 19:26**

**ს-ა:** პარკერი (42+9 პასი), ლეონარდი (15), დანკანი (13+15 მოხსნა).

**ო:** დურანტი (22+11 მოხსნა+4 დაფარება), ჰარდენი (19), უესტბრუკი (18+6 პასი), კუკი (13), იბაკა (10), ჯექსონი (10).

**იუტა-ლეიკერსი 96:[illegible]**

**22:25, 25:24, 20:18, 29:20**

**ი:** ჯეფერსონი (18+13 მოხსნა), მილსეპი (16+13 მოხსნა), ჰოვარდი (12), ფეივორსი (12+8 მოხსნა), კანტერი (10), უოტსონი (8+11 პასი).

**ლ:** ბრაიანტი (26), გასოლი (24+16 მოხსნა), ბინუმი (21+12 მოხსნა).

**პორტლენდი-დენვერი 117:97**

**33:26, 26:27, 26:18, 32:26**

**პ:** ბატუმი (33), ოლდრიჯი (29+9 მოხსნა), უოლასი (17), მეტიუზი (11), კემბი (4+20 მოხსნა).

**დ:** გალინარი (20), კუფუსი (16+12 მოხსნა), ლოუსონი (16), ბრიუერი (14).

**ვაშინგტონი-კლიპერსი 81:107**

**17:28, 17:30, 19:29, 28:20**

**თ:** უოლი (14+7 პასი), იანგი (14), კროუფორდი (12).

**კ:** გრიფინი (21+11 მოხსნა+8 პასი), ჯორდანი (18+11 მოხსნა), უილიამსი (17+8 პასი), ბატლერი (14+7 მოხსნა), ბილაპსი (12).

**დეტროიტი-ნიუ ორლეანი 89:87**

**25:23, 16:21, 24:17, 24:26**

**დ:** მონრო (24+16 მოხსნა), სტაკი (17), პრინსი (11), ჟერებკო (11), მაქსიელი (10).

**ნ-ო:** არიზა (26+7 მოხსნა), ვასკესი (14+9 პასი), ამინუ (14).

**კლივლენდი-დალასი 91:88**

**15:24, 28:27, 27:13, 21:24**

**კ:** ირვინგი (20+7 პასი), ჯეიმისონი (19+9 მოხსნა), ვარეჟაო (17+17 მოხსნა), გი (12).

**დ:** ნოვიცკი (24+8 მოხსნა), ტერი (17), უესტი (11+7 პასი), რაიტი (11+8 მოხსნა+4 დაფარება), ჰეივორდი (10).

**მილუოკი-ჩიკაგო 90:113**

**16:30, 27:37, 21:20, 26:26**

**მ:** გუდენი (24), ჰარისი (19).

**ჩ:** როუზი (26+7 მოხსნა+13 პასი), დენგი (21+9 მოხსნა), კორვერი (18), ნოა (14+9 მოხსნა), უოტსონი (13+6 პასი).

**ფინიქსი-შარლოტი 95:89**

**25:24, 17:24, 30:24, 23:17**

**ფ:** რედი (17), ლოპესი (13), გორტატი (12+12 მოხსნა), ნეში (11+10 პასი), მორისი (11+8 მოხსნა).

**შ:** უოკერი (22), უილიამსი (21+7 მოხსნა+6 პასი), დიაო (13), ბიიომბო (11+12 მოხსნა), ტომასი (8+13 მოხსნა).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 114:106 (ო)**

**27:28, 26:26, 34:22, 15:26, 12:4**

**ს:** ტორნტონი (28), ევანსი (26+9 პასი), კაზინსი (21+20 მოხსნა), ტომპსონი (15+16 მოხსნა), სელმონსი (14+6 პასი+5 ჩაჭრა).

**გ-ს:** რაიტი (24), რობინსონი (20), ელისი (18), ტომპსონი (16), კარი (11+9 პასი), ლი (10).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



## სამთო-სათხილამურო სპორტი

# ვონი ორმოცდაათიანებში გაერია

სამუდამოდ დაამახსოვრდება ამერიკელ **ლინდსი ვონს** გერმანიის კურორტ გარმიშ-პარტენკირხენში ჩატარებული სწრაფდაშვება. 13-გრადუსიან ყინვაში მსოფლიოს თასის ლიდერმა სეზონში მორიგ გამარჯვებას მიაღწია. ეს მოგება იმით არის აღსანიშნავი, რომ ვონისთვის ეს გახლდათ კარიერაში საიუბილეო – 50-ე გამარჯვება მსოფლიოს თასის ეტაპებზე.

*„ეს ნამდვილი სიგიჟეა. ჯერჯერობით არ გამაჩნია სიტყვები ჩემი გრძნობების გამოსახატავად. მსოფლიოს თასის ეტაპებზე 50 გამარჯვება – სერიოზული მიღწევაა ჩემს კარიერაში. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ასეთ შედეგს მივაღწევდი. ახლა უბრალოდ ბედნიერი ვარ. მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელი და დიდი ხანი მინდა დავრჩე დიდ სპორტში"*, - განაცხადა ვონმა სააგენტო "როიტერთან" კომენტარში.

სამთო-სათხილამურო სპორტში ბევრს არ აქვს მოპოვებული 50 გამარჯვება. ქალებს შორის ასეთი ორი მოთხილამურეა: ავსტრიელი **ანემარი მოზერ-პრიოლი** (62 მოგება) და შვეიცარიელი **ფრენი შნაიდერი** (55). კაცებშიც სამმა მოთხილამურემ გადალახა 50-მოგებიანი ზღვარი: შვედმა **ინგემარ სტენმარკმა** (86), ავსტრიელმა **ჰერმან მაიერმა** (54) და იტალიელმა **ალბერტო ტომბამ** (50).

მოზერ-პრიოლი 27 წლის ვონზე ახალგაზრდა იყო, როცა მსოფლიოს თასის ეტაპებზე გამარჯვება მოიპოვა, სამაგიეროდ, უფრო მეტი ხანი დასჭირდა ამ შედეგის მისაღწევად ფრენი შნაიდერს.

ვონს ამ სეზონში უკვე ცხრა მოგება დაუგროვდა, პირველად მსოფლიოს თასის ეტაპი კი მან 2006 წლის მარტში ნორვეგიაში მოიგო.

ამერიკელმა სწრაფდაშვებაში 41 მეასედი წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ შვეიცარიელ **ნადია კამერს**. თუმცა ეს გამარჯვება შეიძლება არც შემდგარიყო – მეორე საშუალედო ფინიშზე ვონის უპირატესობა 0.62 წამს შეადგენდა. დისტანციის მეორე ნახევარზე ლინდსი ერთ-ერთ მომენტში წაფორხილდა, მაგრამ წონასწორობა შეინარჩუნა და მაინც პირველი მივიდა ფინიშთან.

ვონისთვის გარმიშში წარმატება მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ მან აქ მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე სუსტად იასპარეზა და თავის საყვარელ სწრაფდაშვებაში მხოლოდ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამ მოგებით ვონმა კიდევ უფრო გაზარდა საერთო ჩათვლაში კონკურენტებზე უპირატესობა. ახლა მას 1350 ქულა აქვს და თითქმის ხუთასი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, სლოვენიელ **ტინა მაზეს**. გენერალურ კლასიფიკაციაში მესამეა მსოფლიოს თასის ამჟამინდელი მფლობელი, გერმანელი **მარია რიში**, რომელიც ვონთან 604 ქულას აგებს.

## ფორმულა 1

# ჰონორარები გაანაწილეს

ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობამ 2011 წლის სეზონში გამოსვლისთვის საპრიზო თანხები დაურიგა ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს. ჰონორარების ოდენობა შეესაბამება იმ პოზიციებს, რომელიც გუნდებმა კონსტრუქტორთა თასზე დაიკავეს.

1. **რედ ბული** - 59.5 მლნ. დოლარი; 2. **მაკლარენი** - 50.0; 3. **ფერარი** - 40.7; 4. **მერსედესი** - 34.5; 5. **ლოტუს-რენო** - 31.3; 6. **ფორს ინდია** - 28.2; 7. **ზაუბერი** - 21.8; 8. **ტორო როსო** - 18.8; 9. **უილიამსი** - 15.7; 10. **ლოტუსი** -12.5.

# ჰოლანდიელი ფორმულა 1-ში

26 წლის ჰოლანდიელმა **გიდო ვან დერ გარდემ** გუნდ "კატერჰემთან" სარეზერვო პილოტის კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულება 2012 წლის სეზონის ბოლომდე თანამშრომლობას ითვალისწინებს.

2008 წელს, "რენოს" მსოფლიოს სერიაში გამარჯვების შემდეგ, ვან დერ გარდე GP2-ის სერიაში გადავიდა, სადაც მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია - ამ დროის განმავლობაში მან მხოლოდ სამი ეტაპი მოიგო. ჰოლანდიელს რამდენჯერმე აქვს მონაწილეობა მიღებული ფორმულა 1-ის ტესტებში: 2007 წელს "სუპერ აგურისა" და "სპაიკერის" მანქანებით, 2008 წელს -"ფორს ინდიაში" და 2009 წელს – "რენოში", მაგრამ ფორმულა 1-ის გუნდთან კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ ახლა შეძლო.

ბოლო მომენტამდე ვან დერ გარდეს HRT-ის საჯინიბოში მეორე პილოტის როლს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გუშინ ესპანურმა გუნდმა დაადასტურა კონტრაქტი ინდოელ **ნარაიან კართიკეიანთან**, ასე რომ, გიდოს ისღა დარჩენოდა "კატერჰემის" მესამე პილოტის როლით დაკმაყოფილებულიყო.

ახალ გუნდში ჰოლანდიელი ზამთრის ერთ-ერთი ტესტისას მიუჯდება საჭეს, აგრეთვე სეზონის მსვლელობისას პარასკევის თავისუფალ პრაქტიკებში მიიღებს მონაწილეობას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 3 თებერვალი

**ოტავა-აილენდერსი 1:2 (ო)**

0:0, 1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ზ. სმიტი-13 (კონდრა-12, გონჩარი-25), 1:1 მ. მარტინი-6 (პარენტო-35), 1:2 იტონი-1 (იურჩინა-4, პარენტო-36).

**ფლორიდა-ვინიპეგი 2:1**

1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ვერსტიგი-20 (სამუელსონი-9, ბ. კემპბელი-34), 1:1 ლიტლი-12 (ლედი-11), 2:1 ბერგენჰაიმი-8 (გოკი-5, გარისონი-9).

**სტ ლუისი-ლ ანჯელესი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 ლანგენბრუნერი-4 (დ'აგოსტინი-9, პიეტრნაჯელო-17).

**კალგარი-ჩიკაგო 3:1**

1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ო. იოკინენი-13 (იგინლა-22, ტანგეი-19), 1:1 სიბრუკი-4 (პ. კეინი-33, შარპი-21), 2:1 ბოუმისტერი-4 (ბ. ჯონსი-3, ბეკლუნდი-7), 3:1 იგინლა-19 (ტანგეი-20, კ. ბატლერი-10).

**ანაჰაიმი-კოლამბუსი 2:3 (ო)**

1:0, 1:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 სელიანე-17 (ვიშნოვსკი-14, სბისა-14), 1:1 ბრასარი-8 (ნეში-17, ჯ. მური-4), 2:1 სელიანე-18 (პერი-18, გეტცლაფი-27), 2:2 ჯ. კარტერი-11 (ვერმეტი-16, პროსპალი-23), 2:3 ბრასარი-9.

### 4 თებერვალი

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 4:6**

0:3, 0:3, 4:0

**გოლები:** 0:1 ფოსტერი-3 (ელიაში-31, კოვალჩუკი-25), 0:2 კოვალჩუკი-21 (ზუბრუსი-16), 0:3 ზუბრუსი-14 (ვოლჩენკოვი-7, პონიკაროვსკი-11), 0:4 პარიზე-19 (კლარკსონი-9, ფოსტერი-9), 0:5 პონიკაროვსკი-9 (ბერნიე-1, ჯოზეფსონი-2), 0:6 ფოსტერი-4 (ელიაში-32, კოვალჩუკი-26), 1:6 სიმონდსი-16 (რინალდო-6, ბურდონი-2), 2:6 იაგრი-13 (მ. კარლი-23, კ. ჟირუ-39), 3:6 კ. ჟირუ-20 (იაგრი-25, ვორაჩეკი-21), 4:6 ვორაჩეკი-9 (მ. კარლი-24, კუტურიე-10).

**ბოსტონი-პიტსბურგი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 მალკინი-28 (კუნიტცი-19, ჯ. ნილი-22), 0:2 მ. კუკი-9 (ჯეფრი-2, დუპუი-18), 1:2 კორვო-3 (პ. ბერჟერონი-29, მარშანი-18).

**მონრეალი-ვაშინგტონი 0:3**

0:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 უაიდემანი-10 (ლეიჩი-17), 0:2 ჰენდრიქსი-3 (ლეიჩი-18, სიომინი-17), 0:3 სიომინი-13 (ბულიტი).

**კოლორადო-ვანკუვერი 2:3 (ბ)**

1:1, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კესლერი-16 (ედლერი-30, ბუთი-11), 1:1 დ. ჯონსი-10 (პ. შჩასტნი-19, რ. ო'რაილი-24), 2:1 მაკლემანი-7 (ვინიკი-11), 2:2 ბიეკსა-5 (ჰ. სედინი-44).

**ბულიტები გაიტანეს:** რეიმონდი (ვანკუვერი).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 6:3**

1:1, 4:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ნ. ტომპსონი-7, 1:1 ფლიშმანი-17 (ვერსტიგი-25, ვივერი-11), 2:1 ლეკავალიე-20, 3:1 სან ლუი-14 (შენონი-6, ლეკავალიე-22), 3:2 სამუელსონი-6 (ბერგენჰაიმი-2), 4:2 სტემკოსი-34 (დაუნი-15, ჰედმანი-5), 5:2 სან ლუი-15 (ლეკავალიე-23, შენონი-7), 5:3 ბერგენჰაიმი-9 (გოკი-6, სტრაჩანი-2), 6:3 სან ლუი-16 (სტემკოსი-23, ლეკავალიე-24).

**კაროლინა-ლოს ანჯელესი 2:1**

0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კოპიტარი-16 (ჯასტინ უილიამსი-26, ჯ. ჯონსონი-15), 1:1 ტლუსტი-11, 2:1 სკინერი-15 (ი. იოკინენი-21, ბოუმენი-4).

**აილენდერსი-ბაფალო 3:4 (ბ)**

3:1, 0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ნილსენი-8 (გრაბნერი-8), 1:1 გერბე-5 (სტეფორდი-16), 2:1 ბეილი-6 (ნილსენი-16), 3:1 ნილსენი-9 (ოკსოპო-16, შტრაიტი-26), 3:2 დ. როი-10 (ლეინო-9, პომინვილი-31), 3:3 გოსტადი-6 (მიერსი-7, ბოიესი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** ბოიესი (ბაფალო), პომინვილი (ბაფალო).

**ოტავა-ტორონტო 0:5**

0:2, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 კესელი-27 (ბოჟაკი-20, გარდინერი-15), 0:2 ფანოფი-8 (კესელი-26, ლუპული-33), 0:3 ბოჟაკი-9 (კესელი-27, ფრანსონი-12), 0:4 ლ. შენი-2 (ლუპული-34, ბოჟაკი-21), 0:5 ფრანსონი-4 (გრაბოვსკი-19, მაკარტური-12).

**ნეშვილი-სენტ ლუისი 3:1**

2:0, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ერატი-12 (ჰორნკვისტი-10, რ. სატერი-24), 2:0 ფიშერი-15 (ს. კოსტიცინი-16, ერატი-26), 2:1 პორტერი-3, 3:1 ს. კოსტიცინი-13 (ლეგუანდი-19, ერატი-27).

**დალასი-მინესოტა 2:1 (ბ)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 რიბეირო-11 (გოლიგოსკი-13, რობიდასი-12), 1:1 ბროძიაკი-15 (ნ. ჯონსონი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** ლ. ერიქსონი (დალასი), კულენი (მინესოტა), ჯეიმი ბენი (დალასი).

**ფინიქსი-სან ხოსე 5:3**

0:0, 3:2, 2:1

**გოლები:** 0:1 კუტური-22 (ქლოუ-18, მარლო-21), 1:1 ტორესი-8 (როუსივალი-6, ლენგკოუ-13), 2:1 კორპიკოსკი-12 (დოუნი-16, ბ. გორდონი-12), 2:2 მაკგინი-11 (ბერნსი-14, ქლოუ-19), 3:2 ჰანჟალი-6 (რეი უიტნი-28, ვრბატა-18), 4:2 კორპიკოსკი-13 (ბ. გორდონი-13, დოუნი-17), 4:3 მარლო-20 (ქლოუ-20, ჯ. ტორნტონი-33), 5:3 ვრბატა-24 (რეი უიტნი-29, ჰანჟალი-16).

**ედმონტონი-დეტროიტი 5:4 (ბ)**

3:1, 0:0, 1:3, 1:0

**გოლები:** 1:0 სემ განიე-10 (რაიან უიტნი-6, ჰემსკი-17), 2:0 ებერლე-21 (სემ განიე-22), 2:1 ფილპულა-16 (ზეტერბერგი-27), 3:1 სემ განიე-11 (რ. სმიტი-19, რაიან უიტნი-7), 3:2 ბერტუცი-11 (ზეტერბერგი-28, ფრანცენი-23), 3:3 დ. მილერი-10 (ჰელმი-12, ქლირი-15), 3:4 ბერტუცი-12 (ი. უაიტი-19), 4:4 ებერლე-22 (ჰემსკი-18, რ. სმიტი-20).

**ბულიტები გაიტანეს:** სემ განიე (ედმონტონი), ბერტუცი (დეტროიტი), ნიუჯენტ-ჰოპკინსი (ედმონტონი).

## TV პროგრამა

### 6 თებერვალი. ორშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტური. ატლეტიკო-ვალენსია.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური. ბორდო-ტულუზა.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. იუვენტუს-სიენა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური. პსჟ-ევიანი.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
22:00 იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. ფიორენტინა-უდინეზე.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ლივერპული-ტოტენჰემი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური. მარსელი-ლიონი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-მემფისი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ნიურნბერგი-დორტმუნდი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. საფრანგეთი-იტალია.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. მილანი-ნაპოლი.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. ფინალი. ტომაშ ბერდიხი-გაელ მონფისი. მონპელიე. საფრანგეთი.
00:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. მაქაბი-ბარსელონა.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ინტერი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ჩიკაგო.
21:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. ირლანდია-უელსი.
23:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**აფრიკის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ზამბია-სუდანი | 3:0 |
| კოტ დ'ივუარი-ეკ. გვინეა | 3:0 |
| გაბონი-მალი | 1:1 პენ. 4:5 |
| განა-ტუნისი | 1:1 დ.დ. 2:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| კიოლნი II-ბოხუმი II | 4:0 |
| მაინცი II-ვუპერტალი | 1:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბასტია-ტრუა | 5:1 |
| ლანსი-ამიენი | 1:1 |
| გინგამი-რეიმსი | 2:3 |
| არლი-ბულონი | 2:1 |
| შატორუ-კლერმონი | 2:1 |
| სედანი-ისტრი | 1:1 |

**პორტუგალია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| სანტა კლარა-გიმარაეში | 1:0 |
| ბრაგა-პორტიმონენსე | 1:0 |
| პენაფიელი-ნასიონალი | 1:2 |
| სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 0:1 |
| მორეირენსე-რიუ ავე | 1:0 |
| პორტუ-სეტუბალი | 2:0 |
| ეშტორილი-ფერეირა | 0:1 |
| ბენფიკა-მარიტიმუ | 3:0 |

**შოტლანდია**

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ისტ სტირლინგი-სტრანრარი | 2:2 |
| მონროუზი-ანენი | 1:1 |
| ქუინზ პარკი-ალოა | 1:2 |

**შოტლანდიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ინვერნესი-სელტიკი | 0:2 |
| აბერდინი-ქუინი | 1:1 |
| ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1:0 |
| მოზერველი-მორტონი | 6:0 |
| სტ. მირენი-როსი | 1:1 |
| რეინჯერსი-დანდი იუნ | 0:2 |
| ჰართსი-სტ. ჯონსტონი | 1:1 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| არისი-ანორთოსისი | 1:0 |
| ენოსისი-აეკ | 1:0 |
| ეთნიკოსი-აპოლონი | 0:1 |
| აელ-აპოელ | 0:0 |
| ნეა სალამისი-ოლიმპიაკოსი | 1:1 |
| ომონია-ანაგენისი | 2:0 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჰიკ-ჰონკა | 0:1 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ერგოტელისი-ოფი | 0:1 |
| კერკირა-იანინა | 1:2 |
| ლევადია-პანათინაიკოსი | 1:0 |
| ასტერასი-დოქსა | 1:0 |
| პანაიტოლიკოსი-ატრომიტოსი | 1:1 |
| აეკ-პანიონიოსი | 1:0 |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 0:2 |
| ქსანტი-არისი | 0:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ლუცერნი-ციურიხი | 1:1 |
| ბაზელი-სიონი | 0:0 |
| გრასჰოპერსი-თუნი | 0:1 |
| იანგ ბოიზი-სერვეტი | 3:1 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ახისარი-ბოლუ | 0:0 |
| ადანა-გიუნგორენი | 2:0 |
| ერჩიესი-ქართალი | 0:0 |
| გაზიანთეფი ბბ-გირესუნი | 0:0 |
| ქასიმფაშა-დენიზლი | 2:0 |
| თავშანლი-ქონია | 1:2 |
| ელაზიგი-ქარსიაქა | 0:2 |
| გიოზთეფე-რიზე | 1:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ტნს-ნითი | 1:2 |
| ბანგორი-პრესტატინი | 2:1 |
| ეირბასი-პორტ ტელბოტი | გადაიდო |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბალიმენა-კლიფტონვილი | 0:1 |
| გლენავონი-კერიკი | 3:2 |
| ლინფილდი-კრუზეიდერსი | 5:0 |
| ლისბურნი-პორტდაუნი | 0:2 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| უნ. კონსეპსიონი-აუდაქსი | 1:1 |
| პალესტინო-უაჩიპატო | 2:2 |
| ს. უონდერერსი-უნ. კატოლიკა | 2:1 |
| ლა სერენა-უნ. დე ჩილე | 1:3 |
| კოლო კოლო-ო'ჰიგინსი | 1:0 |
| ანტოფაგასტა-დეპორტესი | 1:1 |
| კობრელოა-ლა კალერა | 1:0 |
| უნ. ესპანიოლა-კობრესალი | 6:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| დეპ. მაკარა-დეპ. კიტო | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-ლიგა ლე ლოხა | 1:0 |
| ეს ნასიონალი-ტექნიკო | 0:0 |
| ოლმედო-ემელეკი | 0:2 |
| მანტა-ლდუ დე კიტო | 0:1 |

**მექსიკა**

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ატლასი | 0:0 |
| კრუს ასული-ხაგუარესი | 2:0 |
| მონტერეი-სან ლუისი | 3:0 |
| კერეტარო-ატლანტე | 2:3 |
| გვადალახარა-მორელია | 1:2 |
| ს. ლაგუნა-პუმასი | 2:1 |
| პუებლა-ტიხუანა | 1:1 |
| ტოლუკა-პაჩუკა | 3:4 |

### კალათბურთი

**NBA**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-მემფისი | 98:80 |
| მაიამი-ტორონტო | 95:89 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| რეტიმნო-კავალა | 80:83 |
| პანიონიოსი-პაოკ | 69:59 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| სარაგოსა-ვალენსია | 71:63 |
| ალიკანტე-სევილია | 86:82 (ო) |
| კახა ლაბორალი-გრან კანარია | 71:67 |
| მურსია-ხუვენტუდი | 76:54 |
| უნიკახა-ობრადოირო | 54:69 |
| ესტუდიანტესი-ბარსელონა | 65:80 |
| ლაგუნ არო-ვალიადოლიდი | 71:62 |
| რეალი-ბილბაო | 90:93 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-გიოტინგენი | 101:78 |
| ბამბერგი-ბონი | 97:66 |
| ბრემერჰავ.-ბრაუნშვაიგი | 92:87 (ო) |
| ალბა-ტრირი | 73:61 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| კაზერტა-მონტეპასკი | 78:80 |
| კანტუ-ვენეცია | 73:78 |
| სასარი-ვაროლი | 91:76 |
| ბოლონია-მილანი | 68:80 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-ანტალია | 105:89 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-სკა | 5:3 |
| ავტომობილისტი-ს. იულიაევი | 6:2 |
| ბარისი-ნეფტეხიმიკი | 7:4 |
| მეტალურგი (მ)-დინამო (რ) | 3:2 |
| ტრაქტორი-აკ ბარსი | 2:6 |
| იუგრა-ატლანტი | 2:1 (ბ) |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აკრონი-გრაცი | 4:3 |
| ალბა-ზალცბურგი | 4:3 (ბ) |
| ზნოიმო-ვენა | 2:4 |
| ოლიმპია-ლინცი | 6:3 |
| ზაგრები-კლაგენფიურტი | 3:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-იზერლონი | 8:0 |
| ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 2:3 |
| კრეფელდი-მიუნხენი | 2:1 |
| აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 1:0 |
| შტრაუბინგი-ჰანოვერი | 1:2 (ბ) |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სპარტა | 3:4 (ო) |
| რუსენბორგი-სტავანგერი | 6:5 (ბ) |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 1:5 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-ჟილინა | 2:3 |
| ნიტრა-კოშიცე | 2:1 |
| სკალიცა-მარტინი | 8:2 |
| სლოვანი-პოპრადი | 3:4 (ო) |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 4:5 (ბ) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-კლადნო | 2:3 |
| კარლოვი ვარი-სპარტა | 2:1 |
| ზლინი-პლზენი | 1:2 |
| ტრშინეცი-ლიტვინოვი | 6:4 |
| ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 2:1 (ო) |
| ბოლესლავი-პარდუბიცე | 5:4 |
| ბრნო-ვიტკოვიცე | 8:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. მონპელიე**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-მონფილსი | 6:2, 4:6, 6:3 |

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| იუჟნი-ლაჩკო | 6:2, 6:3 |

კრივი

# დონერმა კლასი დაამტკიცა

მოსაწყენი იანვრის შემდეგ, თებერვალში პროფესიულ კრივში ბევრი საინტერესო ბრძოლაა დანიშნული. მაგალითად, გასულ უქმეებზე სამი საინტერესო შეხვედრა გაიმართა.

ამერიკის ქალაქ სან ანტონიოში ორი საჩემპიონო ბრძოლა ჩატარდა. ერთ-ერთში თამაშდებოდა პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ვაკანტური ტიტული. რინგზე ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ნონიტო დონერი** (ეს მოკრივე The Ring-ის რეიტინგის საუკეთესო ათეულში შედის) და ამ ტიტულის ყოფილი მფლობელი, 27 წლის პუერტორიკოელი **ვილფდერო ვასკესი.**

პირველივე რაუნდიდან დონერი (27-1, KO18) უფრო ლაღად ჩხუბობდა და აკონტროლებდა ბრძოლის მსვლელობასა და ტემპს, ვასკესი (21-1-1, KO18) კი უფრო შებოჭილი იყო. ბრძოლის შუიდან მოყოლებული, ვასკესს რამდენჯერმე შეეძლო ინიციატივის მოპოვება, მაგრამ დონერი გარკვეული პაუზების შემდეგ ისევ ახერხებდა ბრძოლის სადავეების დაბრუნებას, მეცხრე რაუნდში კი მან ვასკესი ნოკდაუნში გაუშვა. ბოლო რაუნდებმა გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა, რის გამოც ერთმა მსაჯმა 12 რაუნდის შემდეგ უპირატესობა ვასკესს მიანიჭა - 116:112, მაგრამ ორმა მსაჯმა დონერს მოაგებინა (117:110, 117:110). გამარჯვებულიც სწორედ ფილიპინელი მოკრივე გახდა.

■ ■ ■

დონერისა და ვასკესის ბრძოლის ანდერკარდზე, სან ანტონიოს Alamodome-ში გათამაშდა WBC-ის ტიტული საშუალო წონაში (72.6-კილოგრამამდე წონითი კატეგორია). **ხულიო სესარ ჩავეს-უმცროსი** (44-0-1, KO31) ნოკაუტების ოსტატს **მარკო ანტონიო რუბიოს** (53-5-1, KO46) დაუპირისპირდა.

პირველ რაუნდში უფრო აქტიური რუბიო იყო, თუმცა ჩავესი ცდილობდა კორპუსში დარტყმების განხორციელებას. მეორე რაუნდიდან მოყოლებული კი ჩავესმა იგდო ხელთ ინიციატივა, თან უფრო აქტიური და ზუსტი იყო დარტყმების დროს.


ნონიტო დონერი

ბოლო ორ რაუნდს თუ არ ჩავთვლით, ჩავესს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა და ეს მსაჯების გადაწყვეტილებაშიც აისახა - 118:110, 116:112, 115:113.

■ ■ ■

ერთი ბრძოლა გაიმართა ფრანკფურტში, სადაც IBF-ის ტიტულისთვის იბრძოდნენ **იოან პაბლო ერნანდესი** (25-1, KO13) და **სტივ კანინგემი** (24-3, KO12).

ამ მოკრივეებს შორის პირველი ბრძოლა პირველ ოქტომბერს გაიმართა. მაშინ კანინგემი პირველივე რაუნდში მძიმე ნოკდაუნში აღმოჩნდა, თუმცა შემდეგ ამერიკელმა გაათანაბრა ბრძოლა და უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ მეშვიდე რაუნდში რეფერიმ საეჭვო გადაწყვეტილებით ბრძოლა შეაჩერა და გამარჯვება ერნანდესს მიანიჭა. ამერიკელის გუნდმა IBF-ში პროტესტი შეიტანა, რომელიც დააკმაყოფილეს და მატჩრევანში დანიშნეს.

მაგრამ რევანში არ შედგა. ისევე როგორც ოქტომბრის ბრძოლაში, ახლაც უფრო აქტიურად კუბელმა დაიწყო და უკვე მეოთხე რაუნდში ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე. ამას ამერიკელის კიდევ ერთი წაქცევა მოჰყვა. და ისევ, კანინგემი გონს მოვიდა და შემდეგ რაუნდებში თავად მოიპოვა მცირე უპირატესობა.

ბრძოლის მეორე ნაწილი ორმხრივ იერიშებში მიდიოდა, მაგრამ ბოლო რაუნდი ერნანდესმა პირწმინდად მოიგო და კინალამ ვადაზე ადრე დაასრულა შეხვედრა. ამან სამივე მსაჯს კუბელისთვის გამარჯვების მინიჭების საშუალება მისცა - 116:100, 116:110, 115:111 ერნანდესის სასარგებლოდ.

ჩოგბურთი

# აურზაური მაისურის გამო




დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის შემდეგ, მამაკაცთა ერთეულთა თანრიგის გამარჯვებულის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მიერ ტრიბუნებისკენ ნასროლმა მაისურმა.

**რაფაელ ნადალთან** ექვსსაათიანი ფინალის შემდეგ სერბმა ჩოგბურთელმა პუბლიკისთვის თავისი სათამაშო მაისურა გაიმეტა. თანაც, ჯოკოვიჩმა სუვენირი აშკარად ახალგაზრდა გოგონასკენ ისროლა, მაგრამ „ამანათი“ ადრესატამდე არ მისულა, რადგან მაისურა უფრო „გამოცდილმა“ და ასაკოვანმა ავსტრალიელმა **იაელ როტჩაილდმა** დაიჭირა. ეს კადრები სწრაფად გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით და „ქურდი“ ქალბატონის მისამართით საყოველთაო კრიტიკა წამოვიდა. ამან როტჩაილდი აიძულა აუქციონზე გამოეტანა ჯოკოვიჩის მაისურა.

როგორც გაზეთი Herald Sun წერს, აუქციონი სწორედ იმ 14 წლის გოგონას დედამ მოიგო, რომლის დაჯილდოებაც ჰქონდა განზრახული ნოვაკს. „საჩუქრის“ საბოლოო ფასი 5.5 ათასი დოლარია, რომელიც ახლა ქველმოქმედებას მოხმარდება.

ამბები

ველოსპორტი

## ლენსი აღარ იდევნება

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეწყდა ფედერალური გამოძიება **ლენს არმსტრონგისა** და მისი გუნდის - US Postal-ის საქმესთან დაკავშირებით.

გამოძიება დაახლოებით ორი წელი გრძელდებოდა. ის ეხებოდა US Postal-ში გამოსვლისას ლეგენდარული ამერიკელის მიერ დოპინგის გამოყენების ბრალდებას. პროკურორმა **ანდრე ბიროტემ**, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, განაცხადა, რომ საქმე დახურულია და არმსტრონგს არაფერი ემუქრება.

გამოძიების ერთ-ერთი მიზეზი გახდა მეორე ამერიკელი ველომრბოლის **ფლოიდ ლენდსის** განცხადება იმის შესახებ, რომ US Postal-ში ველომრბოლები დოპინგს იყენებდნენ.

თავის მხრივ, აშშ-ისა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოებმა გამოძიების მასალები მოითხოვეს და დამოუკიდებლად აწარმოებენ დოპინგ-სკანდალის გამოძიებას.

ბურთის ჰოკეი

## შვედეთი ისევ ჩემპიონია

ყაზახეთში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ბურთის ჰოკეიში. ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა შვედეთის ნაკრებმა, რომელმაც ურთულეს ფინალში დაამარცხა რუსეთის ნაკრები. სკანდინავები მეორე ტაიმის მსვლელობისას 2:4-ს აგებდნენ, მაგრამ ზედიზედ სამი გოლი გაიტანეს და 5:4 მოიგეს.

მესამე ადგილისთვის მატჩში მასპინძელმა ყაზახეთმა 10:5 გაანადგურა ფინეთი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო **მკითხველის ფავორიტი**
**საქართველოს 2011 წლის რჩეული სპორტსმენი და ათეული**

**წლეულს პირველად „ლელო“ ატარებს მკითხველთა გამოკითხვას 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. დღეიდან საშუალება გეძლევათ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს.**

**მკითხველის რჩეული გამოვლინდება საერთო ხმების შეჯამებით**

მოცემულ ბარათზე ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი კანდიდატებიდან გთხოვთ, შეარჩიოთ მხოლოდ ერთი საუკეთესო სპორტსმენი, შემოხაზოთ შესაბამისი ნომერი, ამოჭრათ ბარათი და „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში - სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში - ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

*ან დარეკეთ რედაქციაში და თქვენი პასუხი ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე:* ***2 19 60 53,*** *ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე).*

**ხმის მიცემა შეგიძლიათ აგრეთვე საიტზე WWW.SPORTALL.GE**
**გამოკითხვა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება**

1. **აბუთიძე ალექსი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III; ევროპა-III
2. **ბასილაია დიმიტრი** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
3. **ბახტაძე მიხეილ** - კრივი: ევროპა-III
4. **ბოდაველი მინდია** - სამბო: ევროპა-II
5. **გაბრავა ვილენ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III
6. **გამთენაძე ირაკლი** - მკლავჭიდი: ევროპა-II
7. **გორგოძე მამუკა** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
8. **გორელაშვილი შოთა** - კარატე: ევროპა-II
9. **დაუთაშვილი ვასილ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-II; ევროპა-III
10. **ესებუა ქრისტინე** - მშვილდოსნობა: მსოფლიო-II
11. **ვეკუა ჰენრი** - კარატე: ევროპა-I
12. **კვაჭატაძე ზაალ** - კრივი: ევროპა-III
13. **კვიკვინია გენადი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-I; ევროპა-II და II
14. **კალაძე კახა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
15. **კობიაშვილი ლევან** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
16. **კაშია გურამი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
17. **კუზანაშვილი უშანგი** - სამბო: მსოფლიო-II; ევროპა-I
18. **კუცია ნიკო** - სამბო: მსოფლიო-III; ევროპა-III
19. **ლავერაშვილი თეონა** - კიკბოქსინგი: მსოფლიო-II
20. **ლაშხი რევაზ** - ბ/რ ჭიდაობა: ევროპა-I
21. **ლიპარტელიანი ვარლამ** - ძიუდო: ევროპა-III
22. **ლორიაშვილი დავით** – სამბო: მსოფლიო-III
23. **მამულაშვილი კახა** - სამბო: ევროპა-II
24. **მარსაგიშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-II; მსოფლიო ახალგაზრდებში-I; ევროპა ახალგაზრდებში-I
25. **მაჭავარიანი გია** - ძალოსნობა: ევროპა-II
26. **ოქრუაშვილი ადამ** - სუმო: ევროპა-III (აბსოლუტურში); ქართ/ჭიდაობა: საქართველოს სამგზის ფალავანი
27. **ოძელაშვილი ნინო** - სამბო: მსოფლიო-III
28. **პავლიაშვილი მირიან** - სამბო: ევროპა-III
29. **ჟორჟოლიანი ლომერ** - ძიუდო: ევროპა-II; სამბო: მსოფლიო-II
30. **სალუქვაძე ნინო** - ტყვ. სროლა: მსოფლიოს სუპერთასი-II
31. **სანიკიძე ვიქტორ** - კალათბურთი: პოპულარობის ინდექსით
32. **ფაჩულია ზაზა** - პოპულარობის ინდექსით
33. **შუკვანი ბეთქილ** - ძიუდო: ევროპა-II
34. **ცერცვაძე ავთანდილ** - სუმო: ევროპა-III
35. **ცინცაძე ავთანდილ** - სამბო: მსოფლიოს ჩემპიონატი-I
36. **ცირეკიძე ირაკლი** - ძიუდო: მსოფლიოს ჩემპიონატი III; ევროპა-III
37. **ცხადაია მანუჩარ** - ბ/რ ჭიდაობა: მსოფლიო-II
38. **ხინჩეგაშვილი ვლადიმერ** - თ/ჭიდაობა: ევროპა-II; ევროპა (ახალგაზრ დებში)-I; მსოფლიო ახალგაზრდებში-I
39. **ხოსიტაშვილი ჯაბა** - კრივი: ევროპა-III
40. **ხუციშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-III

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, ვინც 2011 წელს გახდნენ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულები პრიზიორები, ან ორივე ერთად.*

*საუკეთესო სპორტსმენს „ლელოს“ სპეციალური პრიზი გადაეცემა.*